# ლელო

№100 (12 170)

1 მაისი სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი


# დაბრუნება საკვირველი



## კარიერა? ცოტა მადროვეთ...

**შოთა არველაძე: ამ წაგებით ცხოვრება არ მთავრდება**

ინტერვიუ 3



დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის ყაზბეგის გათამაშება

## გარკვეულის გასარკვევად

საპასუხო ნახევარფინალების წინ

**დღეს სასწაულებს არ ელოდებიან** 2



2

## ცხადაძემ ისევ სიონს მიაშურა

ცხადაძე ათი დღის წინ:

**უამბიციო გუნდში მუშაობა არ მინდა**

სიონის პრეზიდენტი გია არევაძე გუშინ:

**ცხადაძე არსადაც არ წასულა, მას გუნდთან ჯერ კიდევ ვალდებულება აქვს**

ვრცლად...



# შევა ვერ შევა



**მოურინიოს ახალი თავსატეხი: ენფილდზე ვერც შევჩენკო ითამაშებს**

წინასამატჩო 6

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ყიფიანის სახელობის
საქართველოს თასის
ყაზბეგის გათამაშება

### საპასუხო ნახევარფინალური მატჩები

# დარჩა რამე გასარკვევი?

**16:10 სიონი-ამერი**
**პირველი მატჩი: 0:3**
1 მაისი. ბოლნისი. თ. სტეფანია
არბიტრი: **ლ. ფანიაშვილი**
ასისტენტები: **ზ. მენთეშაშვილი, მ. ...რუშაძე**

**16:00 ბათუმი-ზესტაფონი**
**პირველი მატჩი: 0:4**
1 მაისი. ბათუმი. ადელი
არბიტრი: **ლ. სილაგავა**
ასისტენტები: **ლ. მიქელაძე, ზ. ...ვარიძე**

საქართველოს თასის გათამაშების ...ანმეორებით მატჩებს ინტრიგა, ფაქ...ობრივად, არ შერჩა. პირველ შეხვედ...ებში ისეთი ანგარიშები დაფიქსირდა, ...ასწაული იქნება, შარშანდელის მსგავ...ად, პრესტიჟული ჯილდოსთვის ერთ...ანეთს "ამერი" და "ზესტაფონი" რომ ...რ დაუპირისპირდნენ.

ბოლნისელებს, შესაძლოა, სხვა სი...ტუაციაში ჰქონოდათ 0:3-ის გაბათი...ლების მცირე იმედი, მაგრამ კლუბში ...ოლო დროს ისეთი ამბები მოხდა, ორი ...ატჩის ჯამში "ამერის" ძლევა ფანტას...ტიკის სფეროს განეკუთვნება. ექსჩემ...პიონები ბოლო პერიოდში ვერც **კახა ცხადაძის** ხელმძღვანელობით ბრწყი...ავდნენ და თამაშის ხარისხი ვერც მისი ...ადადგომის შემდეგ გამოასწორეს. ...ნიშვნელოვანი და მოულოდნელი ისაა, ...რომ რამდენიმედღიანი განშორების ...შემდეგ, დიდია იმის ალბათობა, რომ ..."სიონს" ცხადაძე დაუბრუნდეს და ...უნდს დღესვე უხელმძღვანელოს.

გლდანელები ამ შეხვედრასაც უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებიან და კარგად ესმით, რომ მოდუნება ძვირად შეიძლება დაუჯდეთ. შეგახსენებთ, პირველ მატჩში "ამერმა" **დოლიძის** გოლითა და **წინამძღვრიშვილის** დუბლით მოიგო.

მნიშვნელოვანი საკადრო დანაკლისი არც მასპინძლებს აწუხებთ და არც სტუმრებს. ბოლნისელებს **ევოჩე** და **უგრეხელიძე** ჰყავთ ტრავმირებულნი, **სანიკიძე** კი დისკვალიფიცირებულია, თბილისელებს კი **მჭედლიშვილი** და **ნადირაშვილი** დააკლდებათ.

"სიონი"-"ამერის" პირდაპირ ტელერეპორტაჟს საზოგადოებრივი მაუწყებელი გადასცემს.

კიდევ უფრო ნაკლები ინტრიგა აქვს ბათუმურ მატჩს. "ზესტაფონმა" "ბათუმის" ყველა ამბიციას პირველივე თამაშში გასცა პასუხი და, დღეს ყოველგვარი გართულებების გარეშე გაიფორმებს ფინალის საგზურს. შესაძლოა, **თემურ მახარაძემ** რამდენიმე წამყვან მოთამაშეს დასვენების საშუალება მისცეს. დისკვალიფიკაციის გამო, სტუმართა რიგებში **სევასტი თოდუა** ვერ ითამაშებს.

ზესტაფონში აჭარული კლუბის კარში ორი გოლი **ფიფიამ** გაიტანა, თითო კი **კვასხვაძემ** და **იონანიძემ**.

ბათუმელები მომავალ მატჩებზე უფრო ფიქრობენ, მათ სხვა საზრუნავი აქვთ, თუმც ჩემპიონატში საკმაო რაოდენობის ქულები დააგროვეს და წესით, უმაღლეს ლიგაში ადგილი უპრობლემოდ უნდა შეინარჩუნონ.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ამერი-სიონი. პირველი მატჩი

17-წლამდელთა ნაკრები

# გაგვანადგურეს

საერთაშორისო ტურნირზე - "ევ...როპა უნიტა", საქართველოს 17-წლამ...დელთა ნაკრებმა მესამე ადგილისთვის ...მატჩიც წააგო. ხორვატიის ნაკრებმა ...ჰერბერტ ცანკერის გუნდს დიდი ანგა...რიშით სძლია - 5:1. ფეხბურთის ფედე...რაციის პრესსამსახურის ცნობით, ჩვე...ნი ნაკრებიდან ის ერთადერთი გოლი ..."ოლიმპის" აკადემიის ნახევარმცველმა **ერეკლე ფილიამ** პენალტით გაიტანა.

ხორვატებთან მატჩში ჰერბერტ ცანკერის კრებულის სასტარტო შემადგენლობა ასეთი გახლდათ:

საქართველო: **ნიორაძე, ჭანკვეტაძე, ახალბედაშვილი, მირცხულავა, რიგვავა, გორდეზიანი, მეუნარგია, ბაგალიშვილი, ფილია, მელიქიშვილი, შეყილაძე.**

**დავით ცაგაძე**



კახა ცხადაძე

# ცხადაძე სიონს უბრუნდება

ორი კვირის წინათ "ამერთან" სათასო მატჩის შემდეგ ბოლნისის "სიონის" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადამდგარი **კახა ცხადაძე** დღეს, შესაძლოა, ისევ ვიხილოთ ბოლნისური კლუბის მწვრთნელის პოსტზე. ახალი ამბავი კლუბის გენერალურმა მენეჯერმა **ჯემალ ჭიპაშვილმა** გვითხრა: *"იმ თამაშის შემდეგ კახა შოკში იყო და განცხადება გადადგომის შესახებ ცხელ გულზე გააკეთა. შემდეგ კახა დაფიქრდა და მიხვდა, რომ მას ფეხბურთის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია. ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ იგი კვლავ ბოლნისის "სიონის" მთავარი მწვრთნელი იქნება".*

რა შეიცვალა ამ ორ კვირაში და რამ გადააწყვეტინა ცხადაძეს კლუბში დაბრუნება, ვერ გეტყვით. ცხადაძესთან გუშინ ამ საკითხზე დაკავშირება ვერ მოვახერხეთ.

*"ჩემი მწვრთნელობის პერიოდში „სიონს" ასე საშინლად არ უთამაშია. პასუხისმგებლობას მეც ვგრძნობ, ვფიქრობ, ამ კლუბში საკუთარი თავი ამოვწურე, ამიტომაც დღეიდან „სიონის" მწვრთნელი აღარ ვარ"*, - ეს მისი ორი კვირის წინანდელი განცხადებაა. ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ ყველაფერი ასე შეტრიალდებოდა.

"სიონის" პრეზიდენტი **გია არევაძე** კი საერთოდ მისი გუნდიდან წასვლას უარყოფს:

- კახა ცხადაძე დაბრუნდა? რა, სადმე წავიდა? მე ის არსად არ გამიშვია.

**- კი მაგრამ თავისი პირით არ განაცხადა, რომ გუნდიდან წავიდა?**

- მეც მინდა ნიუ იორკში წასვლა, მაგრამ სადაა... თქვენ რა, თქვენ, ნებასურვილზე აცდენთ სამსახურს? კახა ცხადაძეს ჩემთან არაფერი შეუთანხმებია წასვლის შესახებ. ხელშეკრულების თანახმად მას გუნდთან ვალდებულებები აკავშირებს. ასე რომ, იგი ჩვეულებრივ გუნდის მთავარი მწვრთნელია და არაფერი გასაოცარი არ იქნება იმაში, რომ ხვალ ის გუნდს უხელმძღვანელებს.

**ავთო ცეცხლაძე**

***ყველაფერი ეს, როგორც ზემოთ ვთქვით გუშინ მოხდა და ცხადაძესთან ამ ამბავთან დაკავშირებით გასაუბრება ვერ მოხერხდა, თუმცა მანამდე მას ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი არჩევნებთან დაკავშირებით გაესაუბრა.***

## დროა, ფედერაციაში პროფესიონალები მოვიდნენ

საპრეზიდენტო არჩევნებში **ნოდარ ახალკაცის** კანდიდატურა ვეტერანთა კავშირმა წარმოადგინა. თუმცა ოფიციალურ ტურნირებში საქართველოს ნაკრების პირველი კაპიტანი, თვლის, რომ ვეტერანთა პოზიციის ასე ცალსახად "ახალკაცისტებად" წარმოჩენა რეალობას არ ასახავს და თავისი თაობის მოთამაშეთა პოზიციას აფიქსირებს:

- პირადად მე და ჩემი მეგობრები გიორგი ნემსაძის გუნდს მივაკუთვნებთ თავს - მურთაზ შელია, გოჩა ჯამარაული, მიხეილ ყაველაშვილი და ა.შ. გიორგის თანადგომა ჩვენს ვალად მიგვაჩნია. ეს მხოლოდ სიტყვები არაა, ვეტერანთა დიდი ნაწილის პოზიციაა.

**- როგორაა ვეტერანთა დიდი ნაწილის პოზიცია, როდესაც ვეტერანთა კავშირმა ნოდარ ახალკაცის კანდიდატურა წამოაყენა?**

- ჩვენ ამ ადამიანებს უდიდეს პატივს ვცემთ. მათ საქართველო ასახელეს და უდიდესი წარმატებებს მიაღწიეს. თუმცა ვეტერანების პოზიცია ცალსახა არაა. ახალი თაობის ვეტერანთა უმეტესობა ნემსაძეს ვემხრობით.

რა თქმა უნდა, გამონაკლისებიც არიან, მაგალითად, რეზო არველაძე, მაგრამ მისი მშვენივრად გვესმის. რეზო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია, ახალკაცის გვერდით მუშაობს და მის გუნდს წარმოადგენს.

მიმაჩნია, რომ საქართველოში ყველა სფერო პროფესიონალებმა უნდა მართონ. ახალი თაობის დროც დადგა. მათი, ვინც საქართველო მსოფლიოს გააცნო. სამწუხაროდ, ამის მნიშვნელობას დღეს ბევრი ვერ აცნობიერებს. პირადად მე ერთი წელი დამჭირდა საიმისოდ, გერმანელებისთვის რომ ამეხსნა - ცხადაძე იყო ქართველი და არა რუსი. ყველა საბჭოელი ხომ უმრავლესობას რუსი ვეგონეთ. ჩვენმა თაობამ პირველად გაიტანა საქართველოს სახელი, იწვალა და ქვეყანას სახელი არ შეურცხვინა. ამ თაობამ ევროპაში ისწავლა და გაითავისა თანამედროვე ფეხბურთი, საფეხბურთო მენტალიტეტი და დროა, ჩვენს თაობის ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშე ფედერაციის სათავეში მოვიდეს.

სხვათა შორის, დარწმუნებული ვარ, რომ ქვეყნის პრეზიდენტი მხარს გიორგის კანდიდატურას დაუჭერს. გიორგის და მის გუნდს ქართული ფეხბურთის სწორ გზაზე დაყენება და განვითარება რომ შეუძლია, ამაში ეჭვიც არ მეპარება.

**- ქართული ფეხბურთის დღევანდელობას როგორ შეაფასებდით?**

- კატასტროფაა! სხვა სიტვა არ შეეფერება. კლუბები ევროპაში ვერაფერს აღწევენ, ნაკრები ჯგუფის აუტსაიდერია, ეროვნული ჩემპიონატი ხალხს არ აინტერესებს. კატასტროფას სხვას რას ჰქვია? კი, დღეს ბევრი ლეგიონერი გვყავს და ნაკრები მათ იმედად არის. თუმცა მათ შემცვლელი ადრე თუ გვიან დასჭირდებათ და სად უნდა მოვძებნოთ? საქართველოს ჩემპიონატში ვზრდით მაღალი კლასის ფეხბურთელებს?

მე ჩემი სიტყვების პასუხისმგებელი ვარ. ეს ყოველივე იმიტომ კი არ ხდება, რომ ნიჭი არ გაგვაჩნია. მიზეზი ისაა, რომ ქართულ ფეხბურთს პროფესიონალების ხელი აკლია. ამიტომაც არის საფეხბურთო მეურნეობა გაპარტახებული, ინფრასტრუქტურა, ფაქტობრივად, არ არსებობს, ქვეყანაში ორი-სამი ნორმალური სტადიონი არაა და რომელ წინსვლაზეა ლაპარაკი?

უამრავი პრობლემაა, ყველას უცებ ვერც ვიხსენებ. უპირველესად, ვითარება ბავშვთა ფეხბურთსა და ეროვნულ ჩემპიონატში უნდა შეიცვალოს. საამისოდ კი ავტორიტეტული და მეურნე კაცის ხელია საჭირო. ნაკრებსა და "დინამოში" ჩვენ ერთად დიდი დრო გაგვიტარებია, კარგად გავიცანი და მის თვისებებსაც ვიცნობ. ამდენად, ამ სიტყვებს ტყუილად არ ვამბობ. გიორგის საქმის კეთებაც შეუძლია და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია - უანგარო ადამიანია. ქართულ ფეხბურთში ეს თვისება ძალიან ბევრს ნიშნავს.

**- კი, მაგრამ ნემსაძის მოსვლით რადიკალურად რა უნდა შეიცვალოს?**

- დარწმუნებული ვარ, რომ ვითარება აუცილებლად შეიცვლება, რადგან გიორგის გვერდში პროფესიონალები, ფეხბურთში ჭიპმოჭრილი ადამიანები დაუდგნენ. სამწუხაროდ, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, იმავეს ახალკაცზე ვერავინ იტყვის - მის გვერდით ფეხბურთში კარგად გათვითცნობიერებული ადამიანი ბევრი არაა.

გიორგისა და მისი გუნდის გამარჯვებით არა მარტო ფეხბურთი, ქვეყანაც მოიგებს. ფეხბურთი დიდი ინდუსტრიაა და ევროპული ტენდენციების დამკვიდრება საქართველოშიც შეგვიძლია. საამისოდ კი, დროა, ყველა სფეროში პროფესიონალები მოვიდნენ.

**მერაბ მამულაშვილი**

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ჩიხურა

# ქასრაშვილს დაბრუნებას სთხოვენ

## ცხინვალი ან კოლხეთი...

ეროვნული ჩემპიონატის გასული ტურის მატჩის შემდეგ "ჩიხურას" მთავარმა მწვრთნელმა **ხვიჩა ქასრაშვილმა** თანამდებობა დატოვა. *"დიახ, "ჩიხურაში" აღარ ვარ, გადაწყვეტილება თავად მივიღე. მეტს ვერაფერს გეტყვით, ჩემი წასვლის მიზეზებზე უახლოეს დღეებში ვისაუბრებ"*, - გვითხრა ქასრაშვილმა.

საჩხერული კლუბის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **ბადრი ბრეგვაძემ** ჩვენთან საუბარში იმედი გამოთქვა, რომ მწვრთნელი გადაწყვეტილებას შეცვლის და სეზონს "ჩიხურაში" ჩაამთავრებს. *"ხვიჩას წასვლა ჩვენთვის ძალიან საწყენია. თუმცა ჯერ მაინც არ ვკარგავ იმის იმედს, რომ მას გადავარწმუნებთ. სეზონის მსვლელობისას მწვრთნელის შეცვლა ნამდვილად არ შედის ჩვენს გეგმებში, დიდი იმედი მაქვს, რომ ქასრაშვილი დაბრუნდება"*, - აცხადებს ბრეგვაძე. გუნდის დამრიგებლის წასვლის მიზეზებზე საუბარი არც მან ისურვა.

ბრეგვაძე კლუბის სამომავლო გეგმებსაც შეეხო. მოგეხსენებათ, "ჩიხურას" პერსპექტივა საკმაოდ ბუნდოვანია. საჩხერელები უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვიან, მაგრამ საკითხავი ისაა, აქვს თუ არა ამ ბრძოლას აზრი. შეიძლება, მოვლენები იმგვარად განვითარდეს, რომ უმაღლესში ასპარეზობის უფლების შენარჩუნების მიუხედავად, "ჩიხურა" მაინც პირველ ლიგას დაუბრუნდეს.

სეზონის დასრულებისთანავე კლუბის მთავარი დამფინანსებელი **ბიძინა ივანაშვილი** საბოლოო პასუხს იტყვის. იგი ან უმაღლეს ლიგაში ღირსეულად ასპარეზობისთვის საჭირო თანხებს გამოყოფს, ანაც გუნდი პირველ ლიგაში დაბრუნდება და რაიონის ბიუჯეტის მიერ გამოყოფილი მწირი სახსრებით იარსებებს.



თუ "ჩიხურამ" უძლიერესთა რიგები არა ნაჩვენები შედეგით, არამედ მხოლოდ უსახსრობის გამო დატოვა, სავარაუდოდ, თავის ადგილს უმაღლეს ლიგაში "ცხინვალს" ან ფოთის "კოლხეთს" დაუთმობს.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ თუ ქასრაშვილი გუნდს არ დაუბრუნდა, სეზონის ბოლომდე "ჩიხურას" მისი ასისტენტი **ვახტანგ თურმანიძე** გაწვრთნის.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ინტერვიუ შოთა არველაძესთან

# ყველაფერს ზაფხულში გადავწყვეტ

## ცხოვრება წაგების მერეც გრძელდება

**შოთა არველაძეს ერთი ნაბიჯი დააკლდა ჰოლანდიის ჩემპიონობამდე. სეზონის უმთავრეს მატჩში "ალკმაარი" "ექსელსიორთან" დამარცხდა. თუმცა არველაძის გუნდს წინ კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მატჩი ელის - 6 მაისს შოთა ჰოლანდიის თასის ფინალში ყოფილ გუნდს, "აიაქსს" დაუპირისპირდება.**

**ერთი კვირის წინათ შოთამ "ლელოსთან" საუბარში განაცხადა - ჩემპიონები თუ გავხდებით, ალბათ, ფეხბურთელის კარიერას დავასრულებო. რას ფიქრობს ამ და სხვა საკითხებზე არველაძე დღეს? პასუხის მისაღებად შოთას გუშინ ჰოლანდიაში დავუკავშირდით.**

- რა გითხრათ, ყველას ძალიან დაგვწყდა გული. რიცხობრივ უმცირესობაში რომ არ დავრჩენილიყავით, ამ თამაშს არ წავაგებდით. ორჯერ ვაგებდით და ორივეჯერ გავათანაბრეთ ანგარიში. მატჩის ბოლო წუთებზე, დაცვაზე უკვე აღარ ვფიქრობდით. მნიშვნელობა არ ჰქონდა ფრეს ვითამაშებდით თუ წავაგებდით, მხოლოდ მოგება გვჭირდებოდა. ამის გამო, ვაბანკზე წავედით, მაგრამ... წარსულს ველარ შეცვლი.

**- ამ შეხვედრაში საყრდენ ნახევარმცველადაც გიწევდა თამაში. ბურთისართმევაზეც გვარიანად გაისარჯე...**

- კაცნაკლულნი რომ დავრჩით მოედანზე, ძალზე გაგვიჭირდა და სადაც გუნდს სჭირდებოდა, იქ ვთამაშობდი. ყველას ძალიან გვინდოდა მოგება, მაგრამ ეტყობა ჩვენი დღე არ იყო.

**- ალბათ, დამეთანხმები, რომ ეს მარცხი რაც შეიძლება მალე უნდა დაივიწყოთ. წინ თასის ფინალი გელით...**

- დასანანი მარცხი ვიწვნიეთ, მაგრამ ცხოვრება გრძელდება. კი, ეს წაგება რაც შეიძლება მალე უნდა დავივიწყოთ. ალბათ, ამიტომაცაა, ორდღიანი შვებულება რომ მოგვცეს.

**- თასის ფინალი "აიაქსთან" გელის. ყოფილ გუნდთან გადამწყვეტი მატჩი შენში რა გრძნობას იწვევს?**

- ამსტერდამში გატარებული პერიოდი დღესაც კარგად მახსოვს "აიაქსს" შარშან ზაფხულშიც უნდოდ ჩემთან კონტრაქტის გაფორმება თუმცა, "ალკმაარში" ვთამაშობ დ ყვლაფერს გავაკეთებ ჩემი გუნდის გა მარჯვებისთვის.

**- შანსებს როგორ შეაფასებდი?**

- თანაბრად. "აიაქსზე" მეტი თუ არა ნაკლები გუნდი ნამდვილად არ გვყავს ძალიან მინდა თასი მაინც მოვიპოვო და იმედია, ამას მაინც შევძლებთ.

**- ჩემპიონატში "ტვენტეს" ბარიერის გადალახვა მოგიწევთ. მეტოქეზ რას იტყოდი?**

- "ტვენტე" კარგი გუნდია და მძიმ ბრძოლა მოგვიწევს. თუმცა ეს ბარიერ მაინც უნდა გავიაროთ და მჯერა, რო ამას მოვახერხებთ კიდეც.

**- ერთი კვირის წინათ გვითხარ თუ ჩემპიონები გავხდით, შესაძლოა კარიერა დავასრულოო. იმედია, თა მაშს თავს ჯერ არ დაანებებ...**

- ამაზე დღეს არაფრის თქმა არ შე მიძლია. მართალი გითხრათ, ჯერ არ მინდა კარიერის დასრულება. თუმცა ე მხოლოდ ჩემს სურვილზე არაა დამოკი დებული.

**- რას გულისხმობ, ასაკს?**

- ასაკსაც და მტკივან მუხლსაც. ვნა ხოთ, როგორ მექნება ფეხი. თასის ფი ნალსა და ფლეი ოფის მატჩებს ვითამა შებ, მერე სანაკრებო მატჩებია, რასაც შვებულება მოჰყვება. დავისვენებ ფეხს შევხედავ, ყველაფერს კარგად ავ წონ-დავწონი და საბოლოო გადაწყვე ტილებას ივნის-ივლისში მივიღებ.

**- რამდენადაც ვიცით, კლუბთა კიდევ ერთი წლით გაკავშირებს კონ ტრაქტი...**

- შარშან ორწლიანი კონტრაქტი გა ვაფორმე. ასე რომ, კიდევ ერთი სეზო ნით "ალკმაარს" ვეკუთვნი. თუ სხვ გზა არ მექნება და კარიერას დავასრუ ლებ, მაშინ ორმხრივი შეთანხმების სა ფუძველზე გავწყვეტ კონტრაქტს.

**- სხვა კლუბში ხომ არ გიხილავთ?**

- მთხოვნელები კი არიან, მაგრამ ა მუხლით სად წავიდე? ჯერ ისიც არ ვი ცი, გავაგრძელებ თუ არა თამაშს საერ თოდ...

**დავით ცაბაძ**



ასე გამოიყურება რუსთავის სტადიონი დღეს

# ფოლადი სკამებით ივსება

"ოლიმპი"-"დინამოს" მატჩზე მისულ გულშემატკივარს რუსთავის სტადიონის ტრიბუნების უდიდესი ნაწილი ინდივიდუალური სკამებით დამშვენებული დახვდება. სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს.

ბუნებრივია, რეკონსტრუქცია ჩემპიონატის გადამწყვეტი შეხვედრის შემდეგაც გაგრძელდება. გეგმის მიხედვით, "ფოლადის" სტადიონის ტევადობას ახალი სკამები 6 000-მდე შეამცირებს. დაგეგმილია ტაბლოსა და თანამედროვე განათების დამონტაჟება, "ოლიმპის" ხელმძღვანელთა ვარაუდით, დაახლოებით ორ თვეში ყველაფერი უნდა დასრულდეს. რუსთაველებს ევროტურნირების მატჩების საკუთარ არენაზე გამართვა სურთ.

ბათუმი

# 2009, ახალი სტადიონი

"ბათუმის" ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ მომავალი სეზონისთვის კლუბი მაღალი მიზნებისთვის შეძლებს ბრძოლას. *"სეზონის დასრულებისთანავე კრება ჩატარდება და უფრო დეტალურად გაირკვევა, რა დონის გუნდი გვეყოლება მომავალ სეზონში. ვფიქრობ, დაფინანსება სტაბილური უნდა იყოს, რისი წყალობითაც, რეალურად დავისახავთ სერიოზულ ამოცანებს"*, - ამბობს გუნდის მთავარი მწვრთნელი **ამირან გოგიტიძე**.

მან იქვე დასძინა, რომ დღევანდელი შემადგენლობიდან ფეხბურთელთა დიდი ნაწილის შენარჩუნების იმედი აქვს. კლუბს მხოლოდ ის მოთამაშეები დატოვებენ, რომლებიც სხვა კლუბების საკუთრებაში არიან და "ბათუმში" იჯარით ასპარეზობენ.

სეზონის დარჩენილ შეხვედრებში "ბათუმს" ბევრი ქულა აღარ დასჭირდება, თუ სასწაული არ მოხდა, აჭარული გუნდი უმაღლეს ლიგაში ადგილს უპრობლემოდ შეინარჩუნებს. *"მატჩების დიდი ნაწილი "ბათუმმა" მაღალ დონეზე ჩაატარა და დამსახურებული ქულები მოიპოვა. საწყენი მხოლოდ ისაა, რომ თასის ნახევარფინალში "ზესტაფონთან" წარმატების შანსი აღარ დაგვრჩა"*, - აცხადებს ბათუმელთა მთავარი მწვრთნელი.

კლუბის ფინანსურ მდგომარეობას რაც შეეხება, გოგიტიძის თქმით, ფეხბურთელებს ანაზღაურება დროულად ურიგდებათ და არც სხვა სახის საორგანიზაციო პრობლემები არსებობს. როგორც ჩანს, "ბათუმი" ფინანსურად მოძლიერდა. შეგახსენებთ, ამ ცოტა ხნის წინ გოგიტიძე საკმაოდ პესიმისტურად იყო განწყობილი და გუნდის დაშლას შიშობდა.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ბათუმში, ანგისის ტერიტორიაზე სტადიონის მშენებლობის დასრულება 2009 წლისთვისაა ნავარაუდევი. როგორც ამბობენ, არენა ფეხბურთელებსაც დაეთმობათ და მორაგბეებსაც.

**ლევან ჯანეზაშვილი**



www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

მოლდოვური კურიოზი ქართული პრიზმით

# რატომ წავიდნენ ფეხბურთიდან ნაკრების ექსმოთამაშეები?

ორი კვირის წინათ მოლდოვურმა საინფორმაციო სააგენტოებმა სახალისო ინფორმაცია გაავრცელეს. უმაღლესი ლიგის "დაჩიის" მოთამაშემ, მოლდოველთა ეროვნულ ნაკრებში ნათამაშებმა 28 წლის **სერგეი პოტრიმბამ** კარიერა დაასრულა და ესპანეთში მუშაობა დაიწყო.

სერგეის დედამ ჟურნალისტებს გაუმხილა, რომ "დაჩიას" მისი ვაჟის ორი თვის ხელფასი მართებს. ხელფასი 500 დოლარი ჰქონდა, ოჯახს ნორმალურად ვერ არჩენდა და სხვა გზა აღარ დარჩაო. ესპანეთმა სერგეი იმდენად მოხიბლა, რომ ყოფილ თანაგუნდელებს კარიერის დასრულება და რომელიმე ევროპულ ქვეყანაში წასვლა ურჩია - სანამ დროა, მაგ უპერსპექტივო ჩემპიონატში თამაშს შეეშვით, მშენებლობაზე გაცილებით მეტს იშოვითო.

ეს ისტორია საქართველოშიც არაა უცხო. სამწუხაროდ, მსგავსი პრეცედენტები ჩვენშიც ხშირად ხდება.

სულ ცინცხალი ისტორია - "ვიტ ჯორჯიისა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილმა ლიდერმა **გიორგი ყიფიანმა** ორი თვის წინათ კარიერა დაამთავრა და ისრაელში სამუშაოდ წავიდა. დასანანი ისაა, რომ გიორგი 27 წლისაა და საქართველოს პირველობაზე ჯერ კიდევ შეეძლო თავის გამოჩენა. ის იყო ლიდერი და ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი მოთამაშე "ვიტ ჯორჯიის" იმ თაობისა, რომელმაც საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა.

ბოლოს ყიფიანი ქუთაისის "ტორპედოში" თამაშობდა, სადაც რიგის "სკონტოდან" გაანათხოვრეს, მაგრამ თამაშში ხალისი აღარ ეტყობოდა. მასზე ცუდად იმოქმედა "სკონტოში" შექმნილმა ვითარებამაც - ტრავმებმა ხელი შეუშალა. იფიქრა, იფიქრა და საქართველოში კაპიკებზე თამაშს ბუცების ჩამოკიდება ამჯობინა.



სერგო ჭურაძე

იგივე გადაწყვეტილება მიიღო "ვიტ ჯორჯიის" კიდევ ერთმა მოთამაშემ, მეკარე **სერგო ჭურაძემ**, რომელმაც საქართველოს ეროვნულ ნაკრებში სამი მატჩი ჩაატარა. სერგო 29 წლისაა, რაც მეკარისთვის მშვენიერი ასაკია.

რა თქმა უნდა, ფეხბურთელის ბრალია, როდესაც სირთულეებს გაურბის და კარიერა ასეთ დასასრულამდე მიჰყავს. გამოდის, მონდომება დააკლდა და არა მარტო იღბალი. თუმცა გარემოზეც ბევრი რამაა დამოკიდებული და ამიტომ არის საწყენი, ამ ორი ნიჭიერი კაცის ამბავი. ორივე მათგანის საქმე "ვიტ ჯორჯიიდან" წასვლის შემდეგ აირია. უცხოეთში კარიერა ვერ აიწყვეს, საქართველოში სასურველი პირობების გუნდი ვერ ნახეს და ხელი ჩაიქნიეს.



დავით დოლიძე (მარჯვნივ)



გიორგი ყიფიანი (მარჯვნივ)

ანალოგიური რამ შეემთხვათ ახალგაზრდული ნაკრების წევრს **დათო დოლიძეს, კახა ახალაძეს**... თუკი დღევანდელივით გულგრილები დარჩებიან, იგივე ბედი ელის მეკარე **ზურა ბათიაშვილსაც** - "სიონში" საქართველოს ჩემპიონი გახდა. ზამთრის შემდეგ კი უგუნდოდაა დარჩენილი. რვა თვეა არსად უთამაშია **არჩილ სახვაძეს**. არადა, საქართველოს ნაკრების ყოფილი კანდიდატი ჩვენი პირველობის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა გახლდათ.

თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი მოთამაშე ფეხბურთელისთვის სასურველ ასაკს ჯერ არ გასცილებია. მათ შორის ყველაზე ასაკოვანი სერგო ჭურაძე 29 წლისაა.

რუსთავის "ოლიმპი" რომ არა, მეკარე **მირზა მერლანის** გვარიც დავიწყებას მიეცემოდა. რუსთაველები არც შემცდარან - დღეს მერლანი ჩვენი ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა.

საქართველოს ჩემპიონატი ბევრს მოიგებდა, ჩვენ მიერ დასახელებული ფეხბურთელები უმაღლესი ლიგის გუნდებს რომ დაემატებინათ. მთავარი უბედურება ქართული ლიგის და გუნდების დღევანდელი მდგომარეობაა. კლუბები სიღარიბის ზღვარზე არიან და მოლდოველებს 500 დოლარი თუ ეცოტავებათ, საქართველოში ჯერაც გვყავს გუნდები, სადაც ფეხბურთელებს არათუ დიდ ხელფასებს, კონტრაქტით გათვალისწინებულ თანხასაც ვერ უხდიან.

ეს ის ზღვარია, რომელიც მოთამაშეებს კარიერის დასასრულისკენ უბიძგებს და არ გაგიკვირდეთ, რომ მალე რომელიმე სააგენტომ ქართველ მოთამაშეზეც იგივე ინფორმაცია გაავრცელოს, როგორც "დაჩიის" ყოფილ ლიდერზე.

ჯერჯერობით, ესპანეთში შავი მუშა გაცილებით მეტ ანაზღაურებას იღებს, ვიდრე საქართველოს ჩემპიონატის რიგითი მოთამაშე. მუშებზე მოთხოვნა არ მცირდება და იქ ქართველების ადგილიც გამოინახება. ჩვენთან ხომ 500-დოლარიანი ხელფასი მხოლოდ გამორჩეული გუნდების მოთამაშეებს აქვთ.

**მერაბ მამულაშვილი**

---

სავარაუდო ტრანსფერი

# გელაშვილი ისევ ბელგიაშია

## ბეერსხოტი, ბრიუგეს პერსპექტივით



ნიკა გელაშვილი

საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირის, **ნიკოლოზ გელაშვილის** ბელგიური ვოიაჟი გრძელდება. როგორც გაირკვა, იგი ანტვერპენის "ჟერმინალ ბეერსხოტში" ისინჯება. "ვიტ ჯორჯიის" წარმომადგენელთა თქმით, მას ვარჯიშებსა და საკონტროლო მატჩებში თავი კარგად წარმოუჩენია და მწვრთნელთა მოწონება დაუმსახურებია. წესით, ნიკა თბილისში გუშინ უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ ბელგიელებმა მასზე დაკვირვების გაგრძელება გადაწყვიტეს. 6 მაისს "ბეერსხოტი" კიდევ ერთ ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს და კლუბის სამწვრთნელო შტაბი საბოლოო გადაწყვეტილებას ამის შემდეგ მიიღებს.

მნიშვნელოვანი კიდევ ისაა, რომ "ბეერსხოტს" "ბრიუგესთან" მჭიდრო კონტაქტები ჰქონია, ამ გუნდიდან ბელგიურ გრანდში ფეხბურთელები ხშირად გადადიან. ჩვენი ინფორმაციით, გელაშვილის გასინჯვას "ბრიუგეს" წარმომადგენლებიც სისტემატურად ესწრებიან.

"ბეერსხოტის" ოფიციალურ ვებგვერდზე ქართველ ფორვარდზე ვერანაირ ინფორმაციას ვერ მივაკვლიეთ. თუმცა ეს დიდად არცაა გასაკვირი, რადგან მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევამდე კლუბი ინფორმაციის გავრცელებისგან თავს იკავებს.

ყველაფერი რამდენიმე დღეში გადაწყდება, შესაძლოა, მიმდინარე სეზონის დარჩენილ მატჩებში გელაშვილი "ვიტ ჯორჯიის" შემადგენლობაში ვეღარც ვიხილოთ. შეგახსენებთ, მას ვეტერინარებთან ხანგრძლივი კონტრაქტი აქვს და შესაბამისად, მოწონების შემთხვევაში, ბელგიელები მის სანაცვლოდ გარკვეულ თანხას გადაიხდიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**

---

არჩევნებამდე

# რეგიონებს კვარაცხელიაც სტუმრობს

ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ოფიციალურად ჯერჯერობით მხოლოდ ორი კანდიდატია რეგისტრირებული, მაგრამ, როგორც ჩანს, მათი რაოდენობა ერთით გაიზრდება.

ამ დღეებში რეგიონებს **მამუკა კვარაცხელია** ესტუმრა და წინასაარჩევნო ვოიაჟს დღესაც გააგრძელებს.

*"რეგიონებში ვიყავი და რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა მქონდა. სტუმრობისას მთავარი მიზანი ქართულ ფეხბურთში დასაქმებული ხალხისთვის ჩემი პროგრამის გაცნობა იყო. არაერთი მხარდამჭერი მყავს და მათი რიცხვი კვლავაც იზრდება...*

*ამ ეტაპზე ვერ დავაკონკრეტებ რომელ რეგიონებში ვიყავი და ვისთან მქონდა შეხვედრები. იმას კი გეტყვით, რომ დასავლეთი საქართველო უკვე მოვიარე და ახლა აღმოსავლეთის რეგიონს ვესტუმრები, მერე კი თბილისისთვის მოვიცლი"*, - აღნიშნა "ლელოსთან" საუბარში მამუკა კვარაცხელიამ.

რაც შეეხება მისი კანდიდატურის წამოყენებას, ეს უახლოეს დღეებში უნდა მოხდეს, რადგან 4 მაისს კანდიდატების რეგისტრაციის ვადა იწურება.

*"არაერთი მხარდამჭერი მყავს, მაგრამ ჯერ არ მინდა მათი ვინაობის დასახელება. რეგიონებში სტუმრობას 2 მაისამდე დავამთავრებ და კანდიდატურას მერე წამოვაყენებ"*, - გვითხრა საუბრის ბოლოს მამუკა კვარაცხელიამ.

**დავით ცაბაძე**



მამუკა კვარაცხელია

---

## თარიღი



**კარლო ყრუაშვილი.** 01.05.1927 – 10.11.2002. ფეხბურთი. მსაჯი. საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი. 30-ზე მეტი საერთაშორისო, მათ შორის მსოფლიოსა (1970 წ. ავსტრია-შოტლანდია. 1974 წ. ავსტრია-მალტა და იტალია-თურქეთი) და ევროპის (1972 წ. თურქეთი-გფრ) ჩემპიონატების შესარჩევი მატჩის არბიტრი. სსრკ ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში იმსაჯა 160 მატჩი (1960-1976) 11-ჯერ დაასახელეს სსრკ 10 საუკეთესო მსაჯს შორის. იყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა კოლეგიის (1990-1993) და სამსაჯო კომიტეტის (1994-1998) თავმჯდომარე. ღირსების ორდენის კავალერი.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თბილისის "დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელი
**ამირან ანდღულაძე**
და უსამძიმრებენ განსვენებულის ოჯახს

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

## ჭაბუკთა ლიგა

**1989 წ. დაბადებულები**

| | |
|---|---|
| დინამო-ჩიხურა | 3:0 |
| ტორპედო-სიონი | 1:0 |
| ბორჯომი-ცხინვალი | 3:0 |
| ოლიმპი-კახეთი | 10:0 |
| ბათუმი-დილა | 3:1 |
| ამერი-მერანი | 0:0 |
| ლოკომოტივი-ზესტაფონი | 0:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 22 | 19 | 1 | 2 | 82-14 | 58 |
| 2. ოლიმპი | 22 | 18 | 3 | 1 | 61-10 | 57 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 21 | 12 | 4 | 5 | 47-16 | 40 |
| 4. ლოკომოტივი | 22 | 10 | 7 | 5 | 45-25 | 37 |
| 5. ტორპედო | 23 | 10 | 7 | 6 | 35-27 | 37 |
| 6. ამერი | 21 | 11 | 3 | 7 | 44-31 | 36 |
| 7. მერანი | 23 | 10 | 3 | 10 | 34-28 | 33 |
| 8. ზესტაფონი | 20 | 10 | 2 | 8 | 44-34 | 32 |
| 9. ბორჯომი | 23 | 9 | 2 | 12 | 43-49 | 29 |
| 10. ცხინვალი | 22 | 8 | 1 | 13 | 30-50 | 25 |
| 11. ბათუმი | 22 | 7 | 4 | 11 | 35-51 | 25 |
| 12. ჩიხურა | 21 | 6 | 1 | 14 | 28-44 | 19 |
| 13. სიონი | 21 | 5 | 1 | 15 | 32-69 | 16 |
| 14. კახეთი | 22 | 5 | 0 | 17 | 28-82 | 15 |
| 15. დილა | 23 | 3 | 3 | 17 | 20-78 | 12 |

**1990 წ. დაბადებულები**

| | |
|---|---|
| კახეთი-ოლიმპი | 0:1 |
| ზესტაფონი-ლოკომოტივი | 3:1 |
| დილა-ბათუმი | 2:2 |
| ცხინვალი-ბორჯომი | 0:3 |
| სიონი-ტორპედო | 1:1 |
| ჩიხურა-დინამო | 0:0 |
| მერანი-ამერი | 3:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 23 | 18 | 2 | 3 | 61-11 | 56 |
| 2. ოლიმპი | 22 | 16 | 3 | 3 | 60-12 | 51 |
| 3. ჩიხურა | 22 | 14 | 5 | 3 | 59-18 | 47 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 22 | 14 | 5 | 3 | 55-12 | 47 |
| 5. ამერი | 22 | 13 | 5 | 4 | 47-17 | 44 |
| 6. ტორპედო | 23 | 11 | 8 | 4 | 33-20 | 41 |
| 7. მერანი | 23 | 11 | 3 | 9 | 35-39 | 36 |
| 8. ზესტაფონი | 23 | 10 | 5 | 8 | 34-29 | 35 |
| 9. სიონი | 22 | 8 | 3 | 11 | 31-39 | 27 |
| 10. დილა | 23 | 6 | 5 | 12 | 24-47 | 23 |
| 11. ლოკომოტივი | 22 | 6 | 3 | 13 | 39-39 | 21 |
| 12. ბათუმი | 22 | 5 | 5 | 12 | 20-45 | 20 |
| 13. ბორჯომი | 23 | 3 | 3 | 17 | 19-76 | 12 |
| 14. კახეთი | 22 | 3 | 3 | 16 | 18-56 | 12 |
| 15. ცხინვალი | 22 | 0 | 2 | 22 | 8-83 | 2 |

**1991 წ. დაბადებულები**

| | |
|---|---|
| კახეთი-ოლიმპი | 1:3 |
| ზესტაფონი-ლოკომოტივი | 2:2 |
| დილა-ბათუმი | 3:1 |
| ცხინვალი-ბორჯომი | 0:3 |
| სიონი-ტორპედო | 1:2 |
| ჩიხურა-დინამო | 0:3 |
| მერანი-ამერი | 3:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 23 | 20 | 1 | 2 | 54-12 | 61 |
| 2. ბათუმი | 22 | 16 | 2 | 4 | 41-17 | 50 |
| 3. ოლიმპი | 22 | 14 | 6 | 2 | 65-21 | 48 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 22 | 14 | 5 | 3 | 37-11 | 47 |
| 5. მერანი | 23 | 13 | 3 | 7 | 41-28 | 42 |
| 6. დილა | 23 | 10 | 5 | 8 | 35-30 | 35 |
| 7. ბორჯომი | 23 | 10 | 4 | 9 | 38-26 | 34 |
| 8. ტორპედო | 23 | 10 | 3 | 10 | 33-33 | 33 |
| 9. ამერი | 22 | 10 | 1 | 11 | 28-25 | 31 |
| 10. კახეთი | 22 | 6 | 5 | 11 | 27-38 | 23 |
| 11. ლოკომოტივი | 22 | 4 | 10 | 8 | 23-26 | 22 |
| 12. ზესტაფონი | 23 | 6 | 3 | 14 | 34-55 | 21 |
| 13. ჩიხურა | 22 | 6 | 1 | 15 | 29-49 | 19 |
| 14. სიონი | 22 | 4 | 0 | 18 | 16-52 | 12 |
| 15. ცხინვალი | 22 | 0 | 1 | 21 | 10-78 | 1 |



# კანკავა სიმბოლურში დაასახელეს



უკრაინულმა "სპორტ-ექსპრესმა" 24-ე ტურის სიმბოლური ნაკრები შეადგინა და ტურის გამორჩეულ მოთამაშეთა შორის ქართველი ლეგიონერი **ჯაბა კანკავა** დაასახელა.

ბოლო ტურის მატჩში დნეპროპეტროვსკის "დნეპრმა" ლვოვის "კარპატის" საშინაო შეხვედრაში ვერ სძლია - 2:2. მიუხედავად ამისა, კანკავა მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

უკრაინელებმა "კარპატის" პოლონელი მეკარე **მაცეი ნალეპაც** გამოარჩიეს. რომ არა მისი მშვენიერი თამაში, ჯაბა ლვოველთა კარში მესამე გოლს გაიტანდა - მისი უძლიერესი გასროლის შემდეგ მეკარემ შესაშური რეაქცია გამოავლინა.

"სპორტ-ექსპრესი" თავის არჩევანს ამგვარად ასაბუთებს: *"კანკავა "დნეპრის" ნახევარდაცვის ცენტრს ადუღაბებდა. საკუთარ თავზე აიღო გუნდის ლიდერის ფუნქციები და შეტევების ორგანიზებას საუცხოოდ ახერხებდა. ამასთანავე, სამოდინმა გოლი მისი გადაცემის შემდეგ გაიტანა."*

თუ ასე გააგრძელა, ჯაბა კანკავა წლის სიმბოლურ ნაკრებში მოხვედრასაც შეძლებს, რადგან "სპორტ-ექსპრესმა" მიმდინარე სეზონში საუკეთესო თერთმეტ ფეხბურთელში უკვე მეხუთედ დაასახელა.

**მერაბ მამულაშვილი**




რალფ მინგე (ბურთით)

# გამარჯვება მინგეს გოლით

**რალფ მინგე** ყოფილი გდრ-ის ერთ-ერთ საფეხბურთო ლეგენდად ითვლება. ის დღესაც ხშირად მონაწილეობს ვეტერანთა ცალკეულ საქველმოქმედო მატჩებსა თუ ტურნირებში. ახლახან, გერმანიაში სწორედ ასეთი მატჩი გაიმართა. გდრ-ის ვეტერანთა გუნდი მეკლენბურგ-ფორპომერნის რეგიონის (როსტოკის მხარე) ნაკრებს დაუპირისპირდა. საქველმოქმედო ბურთაობამ, გერმანული წყაროების მტკიცებით, დაახლოებით 5 000 ევროს მოუყარა თავი და ეს თანხა ერთ-ერთი კლინიკის ანგარიშზე გადაირიცხა. მატჩი მინგეს გუნდის გამარჯვებით, 3:2 დასრულდა. გადამწყვეტი გოლი სწორედ ჩვენი კაცის ანგარიშზეა.

**დავით ცაბაძე**




გივი კვარაცხელია (მარჯვნივ

# სამეული ლიდერობს

ლიტვის A ლიგაში მეშვიდე ტურის მატჩები გაიმართა. ქვეყნის ჩემპიონმა "კაუნასმა" "ვეტრასთან" სტუმრად მინიმალური ანგარიშით მოიგო - 1:0. "კაუნასის" რიგებში კვლავ მხოლოდ **გივი კვარაცხელია** თამაშობდა, **ნუკრი მანჩხავა** ჯერაც ტრავმირებულია. კვარაცხელიამ 90 წუთი ითამაშა, გამარჯვების გოლი კი მე-5 წუთზე **რიკარდას ბენიუსისმა** გაიტანა. "კაუნასმა" ქართველი მცველი **აკაკი ხუბუტია** ძალზ[...] სუსტ კლუბში გაანათხოვრა, "შილიუ[...] ტე" 2 ქულით ცხრილის ფსკერზეა დ[...] ასეთი თამაშით იქიდან თავის დაღწე[...] ვის შანსი არ აქვს. "შილიუტე" შინ "ეკ[...] რანასთან" 0:5 განადგურდა. ხუბუტია[...] ამ მატჩშიც შეუცვლელად ითამაშა. ა[...] ტურის შემდეგ ლიტვაში სამი გუნდ[...] ლიდერობს 15-15 ქულით "კაუნასი" "ვილნიუსი" და "ჟალგირისი".

# სკონტო კრიზისშია

ლატვიურ ვირსლიგაში ძალიან ცუდი დროება უდგას რიგის "სკონტოს", ერთ დროს ლატვიური ფეხბურთის ფლაგმანი ახლა მეექვსე ადგილზეა, "სკონტომ" ზე[...] დიზედ" მეორედ წააგო ჩემპიონატში. მან მეხუთე ტურში "მეტალურგსს" უმასპინ[...] ძლა და 0:4 შერცხვა. მასპინძელთა შორის 90-90 წუთი ითამაშეს **დავით გამეზარდაშვილმა** და **ზაალ ელიავამ**. გამეზარდაშვილმა ბოლო წუთზე მსაჯისგან ყვითე[...] ლი ბარათი მიიღო. მასპინძელთა მარცხს ისიც ამძიმებს, რომ სტუმრები ნახევარ[...] საათი 10 კაცით იყვნენ და სწორედ ამ დროს შეძლეს ორი გოლის გატანა. ჩემპიონ[...] "ვენტსპილსი" "ოლიმპსს" ესტუმრა და დაუზავდა - 1:1. **ზურაბ მენთეშაშვილი** 77[...] ე წუთზე შეცვალეს, მან მსაჯისგან ყვითელი ბარათი დაიმსახურა. ლატვიაში არ[...] "ვენტსპილსს" ულხინს, მენთეშაშვილის გუნდი 7 ქულით მხოლოდ მეოთხეა.



ზაალ ელიავა (20

# ერთიც და ჩემპიონია

მოლდოვაში 30-ე ტურის მატჩები გაიმართა. "შერიფი" კიდევ უფრო მიუახლოვდა ჩემპიონის ტიტულს, რომლის შენარჩუნებაშიც ტირასპოლურ კლუბს ხელს ვერავინ შეუშლის. **ვაჟა თარხნიშვილის** გუნდმა შინ 2:0 დაამარცხა "ოლიმპია". ახლა "შერიფს" ერთი მოგებაღა აშორებს მორიგ ტიტულთან, არადა, ჩემპიონატის დასრულებამდე ჯერ კიდევ რვა ტურია დარჩენილი. ამ მატჩში კლუბის შეუცვლელად მოთამაშე ქართველი კაპიტანი გააფრთხილეს. "ზიმბრუმ" სტუმრად 3:0 მოუგო "ტილიგულს". **მამუკა ლომიძემ** შეუცვლელად ითამაშა. **ლადო ახალაიას** "დაჩია" 0:[...] დაუზავდა "პოლიტეხნიკას". ქართველ[...] არ უთამაშია. **ვალტერ ხორგუაშვილი**[...] "ტირასპოლი" სტუმრად "ისკრას" ფრე[...] ეთამაშა - 1:1. ვალტერი მოედანზე 79-[...] წუთზე შევიდა. სხვათა შორის, თასის ნა[...] ხევარფინალში მარცხის გამო "ტირას[...] პოლის" მთელმა შემადგენლობამ თმებ[...] გადაიპარსა, მათ შორის ხორგუაშვილ[...] მაც. "შერიფი" 76 ქულით ლიდერობს[...] "ზიმბრუ" მეორე ადგილზეა 59 ქულით[...] "დაჩია" 43 ქულით მეოთხე ადგილზე[...] "ტირასპოლი" - 38 ქულით მეხუთე.

**ნიკოლოზ ნეფარიძ[...]**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
დაგვირეკეთ, შეგვხვდით, ჩაერთეთ!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი

# შევა ენფილდზე ვერ შევა

## ლივერპული მსაჯს სტამბოლიდან იცნობს

**ლივერპული-ჩელსი**

პირველი მატჩი 0:1

წინასამატჩო მიმოხილვა დავიწყ-ით ინფორმაციით, რომელიც გუშინ ვიან ღამით "გაძეტა დელო სპორტმა" ჩელსის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე დაყრდნობით გაავრცელა. **ანდრეი შევჩენკო** "ლივერპულთან" დღევანდელ შეხვედრას გამოტოვებს. შეგახსენებთ, რომ "ბოლტონთან" შაბათის მატჩში უკრაინელი ფორვარდი პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს. შევა, რომელიც "ჩელსის" ყველაზე გამოცდილი (89 მატჩი, 46 გოლი, რაც ასევე საუკეთესო მაჩვენებელია) სალიგო მებრძოლია, განმარტავს, რომ ბოლო რამდენიმე კვირაა, მარცხენა ფეხის კუნთი აწუხებს და **ჟოზე მოურინიოს** სთხოვა, ლივერპულში არ იახლოს. "გაძეტას" მიმომხილველი იქვე ვარაუდობს, რომ მას სერიოზული პოლემიკა მოჰყვება, მით უმეტეს, თუ "ჩელსი" ფინალში ვერ გავა. ისიც შეიძლება იფიქრო კაცმა, რომ შევჩენკოს ტრავმა ტაქტიკური ხრიკიც იყოს მოურინიოს მხრიდან (რაც გასაკვირი ნამდვილად არ იქნებოდა), მაგრამ რაკი ინფორმაციას ოფიციალური წყარო ავრცელებს, ეშმაკობის ალბათობა, ფაქტობრივად, ნულს უტოლდება. შევჩენკოს არყოფნა კი იმას ნიშნავს, რომ ძირითადში, **დიდიე დროგბას** გვერდით, **სალომონ კალუს** ვიხილავთ.

ახლა ზოგადად "ჩელსიში" არსებულ სიტუაციაზე. გუნდს, პირველ რიგში, ცენტრალური პრობლემა უნდა დაძლიოს. პრობლემა შაბათს, "ბოლტონთან" განიავებული ორი ქულითაა (2:2) გამოწვეული. ამ წაფორხილებამ (და წინა ტურში კიდევ ერთმა ფრედ "ნიუკასლთან") "ჩელსი" "მანჩესტერს" 5 ქულით ჩამოარჩინა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ "არისტოკრატები" საჩემპიონო მარათონს, ფაქტობრივად, გამოეთიშნენ. "ბოლტონთან" მატჩის მიწურულს გუნდი ნერვებსაც აჰყვა. დღეს "არისტოკრატებმა" ცივი გონებით უნდა ითამაშონ. თანაც წამყვანი ცენტრალური მცველის **რიკარდო კარვალიოს** გარეშეც, რომელიც ასევე შაბათის შეხვედრაში დაშავდა. პარასკევს კი კოჭის ოპერაცია გაუკეთეს **მიხაელ ბალაკს**. გერმანელი ათი დღე ვერ ითამაშებს. საკადრო პრობლემები ყველაზე გადამწყვეტ ეტაპს დაემთხვა. ფიზიკური კონდიციები? **ჟოზე მოურინიოს** აზრით, კონდიციებს ბევრწილად განწყობა განაპირობებს. თუ ფეხბურთელი მოტივაციითაა ალვსილი, მაშინ დაღლილობა არ ემჩნევა და პირიქით. მოურინიომ კარვალიოს შესახებ ასეთი კომენტარი გააკეთა: *"ამ სეზონში მასზე უკეთესი მცველი არ გვყოლია. მძიმედ დაშავდა. მუხლს იტკიებს, ეს კი ყოველთვის სერიოზულია. ფაქტია ისიც, რომ იანვარში, როცა "ენფილდზე" დავმარცხდით, კარვალიო არ გვყავდა."* ლონდონელებს გაუმართლათ, რომ მწყობრშია **მიკაელ ესიენი**. განელს ისევ დაცვაში გაამწესებენ. თადარიგში იქნება სამი შემტევი ფეხბურთელი - **არიენ რობენი, შონ რაიტ-ფილიპსი** და **სალომონ კალუ**. "ბოლტონთან" მატჩში ორივე გოლი ამ უკანასკნელმა გაიტანა.

რა ხდება "ლივერპულის" ბანაკში? შეუძლია თუ არა მას "ჩელსის" ბარიერის გადალახვა? ერთი კვირის წინ მერსისაიდელები ისე გაერთნენ მეტოქის განეიტრალებით, რომ შეტევაში წასვლა დაავიწყდათ. ზედმეტად ფრთხილმა ტაქტიკამ შედეგი არ მოიტანა. რაფა ბენიტესის შეგირდებმა გოლი მაინც გაუშვეს. ახლა კი, უნდათ თუ არა, მეტოქის შევიწროება მართებთ. სხვაგვარად ფინალს ისევე ვერ ნახავენ, როგორც საუთარ ყურებს. პირთამდე ავსებული "ენფილდი" გოლს ელოდება, თანაც მეტოქე შესუსტებულ დაცვას გამოიყვანს. მერსისაიდელებს შეუძლიათ, ბოლო ორ წელიწადში მეორედ გავიდნენ ჩემპიონთა ლიგის ფინალში და საკლუბო ისტორიაში მეექვსე თასისათვის იბრძოლონ.

ლონდონიდან დაბრუნებული ბენიტესი უკმაყოფილებას ვერ მალავდა. ის უკმაყოფილო იყო არ მარტო ფეხბურთელებით, არამედ საკუთარი თავითაც: *"ისე ვერ ვითამაშეთ, როგორც შეგვიძლია, მაგრამ წინ "ენფილდზე" მატჩი გველის და ანგარიშიც მხოლოდ 0:1-ია."* სენიორ რაფას ოპტიმალური შემადგენლობისა და სქემის ასარჩევად საკმარისი დრო ჰქონდა. "პორტსმუთთან" შაბათის მატჩში (1:2) მან თითქმის მთელი გუნდი დაასვენა. იმის გამო, რომ მინიმუმ ერთი და საუკეთესო შემთხვევაში, ორი გოლი სჭირდება, უნდა ვივარაუდოთ, რომ მასპინძელი თამაშს ორი თავდამსხმელით დაიწყებს. ანუ ძირითადში ვიხილავთ **პიტერ კრაუჩსა** და **დირკ კუიტს**. **ბუდევიინ ზენდენმა** და **კრეიგ ბელამიმ** მწვრთნელთა იმედები ვერ გაამართლეს. მართალია, **ჯერმეინ პენანტი** შეცვლებზე შთამბეჭდავად თამაშობს, მაგრამ იმ დონისთვის ჯერ არ მიუღწევია, რომ ლივერპულელთა ძირითადზე განაცხადოს პრეტენზია.

გუშინ რაფა ბენიტესმა თქვა, თუ "ჩელსი" ჩემპიონთა თასს ვერ დაეუფლება, **რომან აბრამოვიჩის** მილიონები წყალში გადაყრილი აღმოჩნდება, ამიტომ მეტოქე ფსიქოლოგიურ წნეხშიაო: *"ამდენ ფულს იმიტომ ხარჯავ, რომ ტიტულები მოიპოვო. პრემიერლიგის მოგების შანსი ძალიან მცირეა. დარჩა ჩემპიონთა თასი. ზეწოლა წარმოუდგენლად დიდია... ბოლო ხუთ წელიწადში "ჩელსიმ" ასტრონომიული თანხა დახარჯა. მასთან შეხვედრისას არ უნდა ვინერვიულოთ: თუ მოვიგებთ, შესანიშნავი იქნება, თუ არა - იმდენი მაინც უნდა ვქნათ, რომ საუკეთესო ფეხბურთი ვაჩვენოთ. თუ გავაანალიზებთ ბოლო ხუთი წლის მოვლენებს და მხედველობაში მივიღებთ თითოეული ჩელსელის ფასს, ჩვენ აუტსაიდერები გამოვალთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათი დამარცხება არ შეგვიძლია."*

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: დღევანდელ მატჩს ესპანელი **მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი** გაუძღვება. ეს კი ის არბიტრია, რომელმაც "ლივერპულს" "მილანთან" ორი წლისწინანდელ დრამატულ ფინალში უმსაჯა. რა თქმა უნდა, ყველას ახსოვს, რომ იმ შეხვედრაში ლივერპულელები 0:3-ს აგებდნენ, მაგრამ გაათანაბრეს და პენალტების სერიაში გაიმარჯვეს. "ჩელსის" ამ მსაჯთან ცუდი მოგონება აკავშირებს. იმავე 2005 წელს მეხუტო გონსალესმა "ბაიერნი"-"ჩელსის" მეოთხედფინალური მატჩი იმსაჯა. ლონდონელებმა 2:3 წააგეს, მაგრამ ნახევარფინალში მაინც გააღწიეს, რადგან შინ 4:2 ჰქონდათ მოგებული. იქ კი, შეგახსენებთ, "ლივერპულთან" ორი მატჩის ჯამში მინიმალური ანგარიშით დათმეს.

"ჩელსის" ჩემპიონთა ლიგაში ექვსმატჩიანი წაუგებელი სერია აქვს. ისინი უკანასკნელად 22 ნოემბერს, "ვერდერთან" დამარცხდნენ. "ლივერპულმა" წლევანდელ ლიგაში ერთის გარდა ყველა თამაში მოიგო. ის ერთი "ბარსელონასთან" განმეორებითი მერვედფინალი გახლდათ, 0:1, მაგრამ "კამპ ნოუზე" 2:1 გამარჯვების წყალობით, მეოთხედფინალში "ლივერპული" გავიდა.

მასპინძელთაგან **ხავიერ მასკერანოსა** და ჯერმეინ პენანტს, ხოლო სტუმართაგან არიენ რობენს, **ჯო კოულს, დიდიე დროგბასა** და **ლასანა დიარას** თითო ყვითელი ბარათი აქვთ და გაფრთხილების შემთხვევაში, ფინალს გამოტოვებენ (მათი გუნდების გამარჯვების შემთხვევაში, რასაკვირველია). ერთი გაფრთხილება აქვს მიხაელ ბალაკსაც, მაგრამ როგორც ვთქვით, ის დღევანდელ თამაშს ტოვებს.

ლივერპულელთა შემადგენლობაში ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელი **ჯეიმი კარაგერია**. დღეს ის 90-ე ევროპულ მატჩს ჩაატარებს და **იან კალაგანის** საკლუბო რეკორდს დაამხობს. მასპინძელთაგან ჩემპიონთა ლიგის ბომბარდირია **ლუის გარსია** - 10 გოლი, ხოლო ამ სეზონში 11-ვე მატჩი მხოლოდ ერთმა ლივერპულელმა **ჩაბი ალონსომ** ჩაატარა. დიდიე დროგბა კი ერთადერთია, რომელმაც წლევანდელი ლიგის 11-ვე შეხვედრა ჩაატარა. დროგბასა და პიტერ კრაუჩს მიმდინარე გათამაშების ბომბარდირთა სიაში მეორე ადგილი უკავიათ. მათ ანგარიშზე 6-6 გოლია. 9 გოლით პირველობას არავის უთმობს მილანელი **რიკარდო კაკა**.



ფრენკ ლემპარდი და ანდრეი შევჩენკო

### სავარაუდო შემადგენლობები

**ლივერპული:** რეინა, ფინენი, კარაგერი, აგერი, არბელოა, ჯერარდი, ჩაბი ალონსო, მასკერანო, რიისე, კრაუჩი, კუიტი.

**ჩელსი:** ჩეხი, ფერეირა, ესიენი, ტერი, ეშლი კოული, მაკელელე, ლემპარდი, მიკელი, ჯო კოული, კალუ, დროგბა.

**მსაჯი:** მეხუტო გონსალესი (ესპანეთი).

---

ბოლტონი

# პატარა სემი დიდი სემის ნაცვლად

## მანჩესტერ სიტი და ნიუკასლი: სად მიდის ბოლტონელთა ყოფილი ბოსი?

"ბოლტონის" მწვრთნელად **სემი ლი** დაინიშნა. 48 წლის სპეციალისტი მოულოდნელად გადამდგარი **სემ ელერდაისის** ("დიდი სემი") ადგილს დაიკავებს. ლი "რიბოკ სთედიუმზე" 2005 წელს, ელერდაისის ასისტენტად მივიდა. იქამდე ის "ლივერპულისა" და ინგლისის ნაკრების მეორე მწვრთნელი იყო. ესაა პირველი შემთხვევა, როცა მისტერ სემი გუნდს დამოუკიდებლად უხელმძღვანელებს.

ბოლტონელთა თავმჯდომარე **ფილ გარტსაიდმა** უარყო ინფორმაცია ელერდაისთან ფინანსური უთანხმოების შესახებ: *"ამბობენ, რომ ტრანსფერებისთვის ფულს არ ვაძლევდით. მაგრამ თუ ნახავთ, სად არის "ბოლტონი" დღეს და თუ ამასაც გაიხსენებთ, სად იყო ის რამდენიმე წლის წინ, მიხვდებით, რომ რაღაც ფული დაიხარჯა. ჩვენ იმ პოლიტიკას ვატარებთ, რისი საშუალებასაც ფინანსური რესურსები იძლევა."* გარტსაიდმა არც ის ინფორმაცია დაადასტურა, თითქოს ელერდაისი "მანჩესტერ სიტიში" ან "ნიუკასლში" აპირებდეს წასვლას.



სემი ლი

დიდი ფილი "ჩელსისთან" მატჩის (2:2) მეორე დღეს გადადგა. მან "ბოლტონში" რვა სეზონი გაატარა. ახლა კი საქმეს მისი ასისტენტი გააგრძელებს. სემი ლიმ სახელი "ლივერპულში" გაითქვა: ფეხბურთელობისას სამჯერ გახდა ინგლისის ჩემპიონი, ორჯერ დაეუფლა ჩემპიონთა თასს და ერთხელ ლიგის თასს. ამას გარდა, ინგლისის ნაკრებში 14 თამაში ჩაატარა, მწვრთნელობას კი 1993 წლიდან მოჰკიდა ხელი. ის ლივერპულელთა მეორე გუნდში დაინიშნა. 1999 წელს **ჟერარ ულიემ** თანაშემწედ მიიწვია. 2001 წელს ინგლისის ნაკრებში **სვენ გორან ერიქსონის** ასისტენტი გახდა. 2005 წელს ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების გაძღოლა შესთავაზეს, მაგრამ მან "ბოლტონში" წასვლა არჩია.

---

რომაული ამბები

# პერუცის კარი დაიხურა

## ტოტი რომაული დერბის რეკორდსმენი გახდა

საკვირაო რომაული დერბის შემდეგ „ლაციოს" გოლკიპერმა **ანჯელო პერუციმ** კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ეს მისი კარიერის ბოლო სეზონია. *„ფეხბურთიდან წასვლის გადაწყვეტილება იანვარში მივიღე – უთხრა პერუციმ ტელეკომპანია „სქაი იტალიას" – ეს ჩემი უკანასკნელი დერბი იყო და შეიძლება, ჩემი კარიერის უკანასკნელი თამაშიც. მე ფეხბურთიდან მივდივარ".*

37 წლის მეკარის დებიუტი სერია A-ში 1987 წლის დეკემბერში „სან სიროზე" „რომას" მაისურით შედგა. სულ პერუციმ იტალიის უმაღლეს ჩემპიონატში 477 შეხვედრა ჩაატარა. „რომას" გარდა, ის „ვერონის", „იუვენტუსისა" და „ინტერის" ღირსებას იცავდა, „ლაციოში" კი 2000/01 წლების სეზონიდან გამოდის.

პერუცის ეს გადაწყვეტილება **დელიო როსისთვის** მოულოდნელი აღმოჩნდა. „ლაციოს" მწვრთნელი იმედს იტოვებს, რომ ვეტერან გოლკიპერს აზრს შეაცვლევინებს. *„მე ისევ მაქვს იმედი, რომ ანჯელო გადაიფიქრებს. სეზონის ბოლომდე ამ თემაზე საუბარი არ გვექნება, რადგან ახლა ძალიან მნიშვნელოვანი მიზნისთვის ვიბრძვით. პერუცი ერთ-ერთია იმ იტალიელ ვარსკვლავებს შორის, ვინც ჩვენს ჩემპიონატს შემორჩა, დანარჩენებს ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა და გაზრდა მართებთ. ანჯელო ჩვენი ლიდერია, ის სამაგალითოა თანაგუნდელებისთვის. თუკი წასვლა გადაწყვიტა, რაც არც კი მინდა, რომ დავიჯერო, მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ მართლა აღარ შეუძლია ტკივილისა და ტრავმების ატანა".*

დერბიში ნათამაშები 0:0-ის შემდეგ „ლაციომ" მესამე ადგილი „მილანს" დაუთმო, თვითონ კი მეოთხეზე ჩამოქვეითდა. საინტერესოა, რომ **ფრანჩესკო ტოტიმ** კარიერის 23-ე დერბი ითამაშა სერია A-ში (ოთხიც თასზე), რითაც ახალი რეკორდი დაამყარა. ჩემპიონატის 22 დერბიში მონაწილეობით აქამდე რეკორდი 40-იანი წლების „რომას" მეკარეს **გუიდო მაზეტის** ეკუთვნოდა.

---

ფიფა

# სამხრეთი აფრიკა მუნდიალს კარგავს?

## თუ საორგანიზაციო საკითხებს ვერ მოაგვარებენ, 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატი სხვა ქვეყანაში გაიმართება...

ფიფას პრეზიდენტმა **იოზეფ ბლატერმა** საგანგებო პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს გაანდო, რომ 2010 წლის მუნდიალთან დაკავშირებით მსოფლიო ფეხბურთის უმაღლესი ორგანო ალტერნატიულ ვარიანტს ამუშავებს. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, თავად ბატონი ზეპის განცხადების მოკლე ფრაგმენტს გაგაცნობთ: *„იმ შემთხვევაში, თუ სამხრეთაფრიკელები ლოგისტიკურ სამუშაოებს ვერ გაუმკლავდებიან, იძულებულები გავხდებით, მსოფლიო ჩემპიონატი სხვა ქვეყანაში ჩავატაროთ. ჩვენ ბევრი შესაძლო კანდიდატი განვიხილეთ და ბოლოს იმ დასკვნამდე მივედით, რომ საუკეთესო ქვეყნები, ინგლისი, ამერიკის შეერთებული შტატები და ესპანეთი იქნებიან. ყველა მათგანს უამრავი თანამედროვე სტადიონი აქვს. იმედია, სამხრეთი აფრიკის ხელისუფლება საორგანიზაციო სირთულეებს გაუმკლავდება და მუნდიალის სხვა სახელმწიფოში ჩატარების აუცილებლობის წინაშე არ აღმოვჩნდებით."*

---

### ბარტეზს თავს დაესხნენ

"რენთან" ნამატჩევს **ფაბიენ ბარტეზს** ორი განრისხებული ქომაგი დაესხა თავს. მათ საფრანგეთის ნაკრების ყოფილ მეკარეს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. ბარტეზმა უმალ პასუხი გასცა, რასაც ჩხუბი მოჰყვა. უსაფრთხოების თანამშრომლებმა მდგომარეობა სწრაფად განმუხტეს. ფაბიენს მომხდართან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია. სამაგიეროდ, მასთან დაახლოებულმა წყარომ "ფრანს ფუტბოლს" განუცხადა, რომ ბარტეზი ნანტელთა მაისურას აღარ მოირგებს. "იადონებს" უმაღლესი დივიზიონიდან გავარდნა ემუქრებათ. ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე, "ნანტს" მხოლოდ 30 ქულა აქვს და უიმედო აუტსაიდერია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიზისი

# ბაიერნი მოკვდა, გაუმარჯოს ახალ ბაიერნს!

## ჰიონესის სამიზნეები: ტონი, კლოზე, რობენი, ზე რობერტო და ერთი მცველი...



"ეს "ბაიერნი" მკვდარია, გაუმარჯოს ახალ "ბაიერნს"! - წერდა გუშინდელი "ბილდი". რეკორდმაისტერი 2007 წლის აპრილში - ეს მხოლოდ და მხოლოდ, აჩრდილია იმ რეკორდმაისტერისა, რომელიც ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ გერმანიაში აბსოლუტურად ყველა კონკურენტს შიშის ზარს სცემდა. ამ უქმეებზე მიუნხენელებმა ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების უკანასკნელი შანსიც გაანიავეს, დამარცხდნენ რა "ჰამბურგთან" (1:2). ეს გახლდათ რიგით მე-10 წაგება მიმდინარე სეზონში და ასე განსაჯეთ, მიუნხენელებს ახლა "ნიურნბერგსა" (6) და "ჰამბურგზე" (8) მეტი მარცხი აქვს (აღარაფერს ვამბობთ, "შალკეზე", "ვერდერსა" და "შტუტგარტზე"). თუკი ცოტა ხნის წინათ ყველაზე დასაცინი გუნდის სახელი "ჰამბურგს" ჰქონდა, ახლა ეს "წოდება" "ბაიერნს" ეკუთვნის. სასჯელიც შესაბამისია - მომდევნო სეზონში ბავარიელები უეფას თასზე იასპარეზებენ.

### ყველა დროის ყველაზე სამარცხვინო ბაიერნი?

მატჩის შემდეგ **ოტმარ ჰიტცფელდი** თავის შეგირდებს 75 წუთის განმავლობაში ლანძღავდა. *"ეს არის ყველაზე სამარცხვინო "ბაიერნი", რომელიც კი ოდესმე მინახავს!"* - გაჰკიოდა "გენერალი" "ალიანს არენის" კატაკომბებში. ბავარიელებს "ჰამბურგთან" მოგების სურვილი ოდნავადაც არ ეტყობოდათ, უგულოდ და ძალიან ნელ ტემპში ირჯებოდნენ. ფულს იღებენ, თამაშებს აგებენ და გუნდის სახელს ფეხქვეშ იგებენო, ბობოქრობდნენ გულშემატკივრები. ცხადზე უცხადესია, რომ ზოგ-ზოგიერთები მხოლოდ საკუთარ მომავალზე ფიქრობენ (მაგალითად, **ჰარგრივსი, სანტა კრუსი** ან **პისარო**), სხვები კი დათრგუნულები არიან იმის გამო, რომ თავი ვერაფრით გამოიჩინეს (**ქარიმი, ლელი, ვან ბუიტენი**).

ჩვენი გერმანელი კოლეგები უფრო შორს წავიდნენ და ამ "ბაიერნს" ყველა დროის ყველაზე სამარცხვინო "ბაიერნი" უწოდეს. სხვა დროს დიპლომატიური და მშვიდი ჰიტცფელდიც გაშმაგებული გახლდათ - მოთმინების ფიალა "გენერალსაც" აევსო. *"გამორიცხული არაა, რომ რამდენიმე ფეხბურთელი გუნდიდან მოვკვეთო. ყოველ შემთხვევაში, ამ კვირაში თითოეულ მათგანს კარგად დავაკვირდები. გარკვეულია, რომ მომდევნო ტურში, "გლადბახთან" ვან ბომელი და სალიჰამიჯიჩი ვერ დაგვეხმარებიან, რადგან ორივე დისკვალიფიცირებულია. სწორედ ამიტომ, ძირითად გუნდში მოყვარული ფეხბურთელების აყვანას ვაპირებ. დიდი შანსია, რომ მიონხენგლადბახში ისეთმა მოთამაშეებმა იასპარეზონ, რომელთა გვარები აქამდე არავის სმენია,"* - აცხადებს ჰიტცფელდი და იქვე ამატებს, - *"ბაიერნი" ყველაფერს აკეთებს თავისი ფეხბურთელებისთვის, მაგრამ მათგან საპასუხო რეაქცია აღარ ჩანს. 23 წელიწადია, მწვრთნელი ვარ და ასეთ საშინელ სიტუაციაში არასდროს ვყოფილვარ."*

სამარცხვინო ბავარიელების წოდება შემდეგ ფეხბურთელებს მიენიჭათ: კრისტიან ლელი (ყურადღება მხოლოდ მეგობარი გოგონასთვის მიყენებული ფიზიკური შეურაცხყოფით მიიქცია), დანიელ ვან ბუიტენი (გოლების გატანა ეხერხება, "მილანს" დუბლი შეუსრულა, მაგრამ მცველია და პირველ რიგში, გოლის არგაშვებაზე ზრუნვა ევალება, რასაც თავს ვერ ართმევს), **მარტინ დემიკელისი** (მიმდინარე სეზონში მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი ნულის ტოლია), **ფილიპ ლამი** (მუნდიალის შემდეგ სახეირო არაფერი გაუკეთებია, ამასთან, ბევრ შეცდომას უშვებს), **ჰასან სალიჰამიჯიჩი** (სხვა დროს ყველაზე მებრძოლ ბაიერნელს ბრძოლის ჟინი ოდნავადაც აღარ ეტყობა, რადგან "იუვენტუსში" მიდის), **ანდრეას ოტლი** (ბევრს ცდილობს, მაგრამ არაფერი გამოსდის), **ალი ქარიმი** (გაუგებარია, რისთვის შეიძინეს), ოუენ ჰარგრივსი ("მანჩესტერში" გადასვლა უნდა, "ბაიერნის" ბედი აღარ აღელვებს), როკე სანტა კრუსი (არაფრისმაქნისი ფეხბურთელი), კლაუდიო პისარო (დიდი პოტენციალის მქონე, მაგრამ უსარგებლო).

### მიუნხენში ახალი გუნდის შენება იწყება

"ჰამბურგთან" მარცხისთვის ფეხბურთელები მხოლოდ ჰიტცფელდმა როდი გალანძღა. გასახდელში იმყოფებოდა მენეჯერი **ული ჰიონესიც**, რომელმაც მოთამაშეები "გენერლის" შემდეგ დაცოფა. *"მომდევნო სეზონში "ბაიერნი" სულ სხვა გუნდით ითამაშებს. შანსი აღარავის მიეცემა, ერთი წელი საკმარისი დრო იყო იმისთვის, რომ პირველი შანსი გამოგეყენებინათ. ამ საშინელებას ჩვენ ვეღარ ავიტანთ, ყველაფერი შეიცვლება!"* - უთხრა ულიმ ფეხბურთელებს, მერე კი, ჟურნალისტებთან საუბრისას ასეთი განცხადება გააკეთა: *"ეს არის ყველაზე უკლასო "ბაიერნი", რაც კი ოდესმე მინახავს. სწორედ ამიტომ, უმაღლესი კლასის მქონე ფეხბურთელებს ვიყიდით. ფული პრობლემა არ არის!"*

ნომერ პირველი ექსტრა-კლასის მოთამაშე, რომელიც მიუნხენში გადადის, **ლუკა ტონი** გახლავთ. იტალიელი ფორვარდის ტრანსფერთან დაკავშირებულ სიახლეებს ქვემოთ უფრო დაწვრილებით გაგაცნობთ, აქ კი მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ფლორენციელი ბავარიელებს 18 მილიონი ევრო უჯდებათ და მისი წლიური ხელფასი 5.5 მილიონი ევრო უნდა იყოს. ერთი სიტყვით, "ბაიერნის" ხელმძღვანელებს ისეთი გუნდის გაკეთება სურთ, რომელიც "ალიანს არენას" უეფას თასის თამაშებზეც გაავსებს. სწორედ ამიტომ, ტონის ტრანსფერის შემდეგ, სიიდან არც **მიროსლავ კლოზე** ამოიშლება - ბავარიელებს იტალიელთან ერთად მიროც სურთ და მზად არიან, "ვერდერის" ბოსების დასათანხმებლად ნებისმიერი თანხა გაიღონ. კლოზე და ტონი თავით თამაშის სპეციალისტები არიან და მათ კარგი ჩამწოდებლები სჭირდებათ. "ბილდის" ცნობით, რეკორდმაისტერი მზადაა, "ჩელსის" **არიენ რობენის** სანაცვლოდ 22 მილიონი ევრო გადაუხადოს. ამას გარდა, ჰიტცფელდს ძალიან უნდა, რომ მიუნხენში დააბრუნოს ექს-ბაიერნელი **ზე რობერტო**. "გენერალი" ამბობს, ზე უმაღლესი კლასის ფეხბურთელია და ძალიან გვჭირდებაო.

მოკლედ, ისე ჩანს, რომ მომავალი სეზონიდან მართლაც სრულიად ახალ რეკორდმაისტერს ვიხილავთ. ზემოთ ჩამოთვლილი ფეხბურთელების გარდა, ჰიონესს ერთი ცენტრალური მცველიც უნდა. *"განახლების დრო მოვიდა. ყველაფერს თავიდან ვიწყებთ,"* - ეს **ფრანც ბეკენბაუერის** სიტყვებია.

### მოდის თუ არა ლუკა ტონი?

გუშინდელ ნომერში გაცნობეთ, რომ "ბილდის" ინფორმაციით, **ტონი** მიუნხენში, სამედიცინო შემოწმების გავლის მიზნით, კვირას უნდა ჩასულიყო. მაგრამ იტალიელი გოლეადორი "ზებენერშტრასეზე" არავის უნახავს. "ბილდის" ცნობით, ლუკამ მიუნხენში ჩასვლა იმის გამო გადაიფიქრა, რომ ამ ამბავს ისედაც დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა და სამედიცინო შემოწმების გავლა სეზონის დასრულების (!) შემდეგ ამჯობინა. ზემოთ ხსენებული გაზეთი წერს, რომ მიუხედავად ამისა, ტრანსფერი გაჩარხულია და რომ ტონი მომავალი სეზონიდან რეკორდმაისტერის მაისურას მოირგებს. ფეხბურთელის მრჩეველი **ტულიო ტინტი** აცხადებს, რომ ტონის მიუნხენში ჩასვლა დაგეგმილი არ ყოფილა და რომ "ბილდისა" და "გაძეტა დელლო სპორტის" მიერ გავრცელებული ინფორმაცია წმინდა წყლის სპეკულაცია გახლდათ. მეტიც, ტინტის თქმით, მისი კლიენტი ბავარიულ გიგანტთან ჯერ არ მორიგებულა. *"სიახლეები არ არის. უკვე ათასჯერ ვთქვი, რომ სანამ იტალიის ჩემპიონატი არ დასრულდება, არაფერი გადაწყდება,"* - აცხადებს ტინტი "მიუნხენერ თაგესცაითუნგისთვის" მიც[...] მულ ინტერვიუში.

იტალიური პრესა წერს, რომ "ფიორენტინ[...] მსოფლიოს ჩემპიონ თავდამსხმელს იტალიუ[...] კლუბს არაფრისდიდებით არ მიჰყიდის, თუმც[...] საქმე საქმეზე თუ მიდგა, ფული მთავარ როლ[...] ითამაშებს. ანუ, თუ "ინტერი" ან "იუვენტუსი" დი[...] ფულს გადაიხდიან, ლუკას ხელში ჩაიგდებე[...] ცნობილია ისიც, რომ 18 მილიონი ევროსა და წლი[...]ურად 5.5 მილიონის სახით, "ბაიერნმა" ფლორე[...]ციულ კლუბსა და მის გოლეადორს საუკეთესო წ[...]ნადადებით მიმართა. თანაც, ბავარიელები თა[...] იმით იწონებენ, რომ მიუნხენურ კლუბში ხელფა[...]სები ყოველთვის დათქმულ დროზე რიგდება [...] რომ "ალიანს არენა" ყველა თამაშზე პირთამდ[...] სავსეა, რასაც ვერ ვიტყვით იტალიურ გრანდებზ[...].

რამდენად დიდია იმის შანსი, რომ იტალიელ[...] "ბაიერნში" გადასვლა მაინც გადაიფიქროს და თ[...] ასე მოხდა, რა იქნება ამის მიზეზი? პირველ რიგშ[...] ასაკი. ტონი უკვე 29 წლისაა და ისეთ გუნდში გ[...] დაბარგება ურჩევნია, რომელიც ჩემპიონთა ლიგ[...]ში თამაშობს და ამ ტურნირის მოგება შეუძლი[...] "ბაიერნში" კი, ევროპის ელიტარულ საკლუბო ლ[...]გას, მინიმუმ ერთი წელი უნდა ელოდოს. რომელ[...] კლუბები უწევენ რეკორდმაისტერს კონკურენცი[...]ას? იტალიური გამოცემა "ლა ნაციონე" იტყობ[...]ნება, რომ ტონისთვის ბრძოლაში არც მეტი, არ[...] ნაკლები, ლონდონის "ჩელსიც" ჩაერთო. სპეკუ[...]ლაციების თანახმად, "არისტოკრატები" მზა[...] არიან, "ფიორენტინას" "ბაიერნზე" უკეთესი წინ[...]დადებით მიმართონ. კონკრეტულად, "ჩელს[...] მზადაა, ფორვარდში 20 მილიონი ევრო გადაიხ[...]დოს და წლიურად 7 მილიონი დაუნიშნოს. "ინტ[...]რისა" და "იუვენტუსის" დაინტერესებაზე უკ[...]ვწერდით. აი, "მილანი" კი, როგორც ჩანს, ბრძ[...]ლას გამოეთიშა, რადგან "როსონერის" ვიცე-პრ[...]ზიდენტმა **ადრიანო გალიანიმ** ამას წინათ თქ[...] *"ტონი გენიალური ფეხბურთელია, მაგრამ არ[...] "მილანისთვის". ის ჩვენთან არ გადმოვა."*

"ბაიერნის" ბოსების კომენტარებიდან რაი[...] დასკვნის გამოტანა ისევ შეუძლებელია. ჰიტცფელ[...]დის თქმით, ტონის საკითხი არ გადაწყვეტილა, მა[...]რამ ეს არაფერს ნიშნავს. *"პირადად მე სულაც [...] ვიგრძნობდი თავს კარგად ისეთ სიტუაციაში, ს[...] დაც მხოლოდ იტალიურად ლაპარაკობენ, რადგ[...] ეს ენა არ ვიცი. თუმცა იმედი მაქვს, რომ ტონი ჩე[...] შეგირდი გახდება,"* - აცხადებს "გენერალი".

**გოტფრიდ ლენც[...]**



ვერდერი

# თომას შააფი: ლამაზი ფეხბურთი არ კმარა

## კლოზემ ბაიერნთან შეხვედრის გამო ბოდიში მოიხადა...

ბრემენის "ვერდერი" გასულ ხუთშაბათს უეფას თასის ნახევარფინალში განადგურდა (0:3 "ესპანიოლთან"), კვირას კი ბუნდესლიგაში გალიდერების შანსი გაანიავა (2:3 "არმინიასთან"). *"საშინელებაა, უკვე მერამდენედ შეგვეძლო "შალკეს" გადასწრება და ისევ ჩავისვარეთ,"* - აცხადებს **ტორსტენ ფრინგსი**. მართლაც, მერამდენედ? გეტყვით: უკვე მესამედ მოხდა ისე, რომ "მუსიკოსებმა" "შალკეს" წაფორხილებით ვერ ისარგებლეს. დავკონკრეტდეთ: 23-ე ტურში "გელზენკირხენელებმა" "ლევერკუზენთან" 0:1 წააგეს, მაგრამ "ვერდერმა" ეს შანსი ვერ გამოიყენა - 2:2 მიონხენგლადბახში; 27-ე ტურში "შალკე" მიუნხენში დამარცხდა (0:2) და "ვერდერმა" ვერც ამ შემთხვევით ისარგებლა - 0:0 კოტბუსში. ამრიგად, კვირას "მუსიკოსებმა" მესამედ წაიმტვრიეს ცხვირი. და ეს ყველაფერი მიუხედავად იმისა, რომ **თომას შააფის** გუნდმა "ესპანიოლთან" განცდილი კრახისგან განსხვავებით, გაცილებით უკეთ ითამაშა.

*"მორალი და განწყობა საუკეთესო იყო, თითქოს უპრობლემოდ უნდა მოგვეგო,"* - დამწუხრებულია მენეჯერი **კლაუს ალოფსი**. *"მხოლოდ ტრიუკების ურიცხვი რაოდენობითა და ლამაზი ფეხბურთით შორს ვერ წავალთ,"* - მიიჩნევს შააფი. *"იმისთვის, რომ გერმანიის ჩემპიონი გახდე, პირველ რიგში, ბრძოლაა საჭირო. დღევანდელი "ვერდერი" კი მსუბუქი და მეტოქეების მიმართ ზედმეტად კეთილგანწყობილი გუნდია,"* - ეს კი ფრინგსის სიტყვებია. ასეა, "ვერდერი" გერმანიაში ყველაზე ლაღ და შემტევ ფეხბურთს თამაშობს, მაგრამ ძალიან ხშირად კარგავს ქულებს ისეთ შეხვედრებში, სადაც სამი ქულის მოპოვება ვალდებულებაა. ასე რომ, "მუსიკოსები" პირველის ნაცვლად, ახლა მესამე ადგილზე არიან...

მატჩის წინ "ვერდერში", ცოტა არ იყოს, გაურკვეველი ვითარება იყო იმის გამოც, რომ შააფმა ყველასთვის მოულოდნელად, ძირითად შემადგენლობაში **ანდრეას რაინკე** ათამაშა, პირველი მეკარე **ტიმ ვიზე** კი სკამზე დატოვა. თვითონ მწვრთნელმა ეს გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ რაკი ვიზე "ესპანიოლთან" თამაშში გააძევეს და საპასუხო შეხვედრაში ვერ იასპარეზებს, რაინკეს სათამაშო პრაქტიკა სჭირდებაო. მართალია, ვერ ვიტყვით, რომ ბრემენელთა მარცხი "არმინიასთან" ვეტერანი გოლკიპერის ბრალია, მაგრამ ფაქტი ის გახლავთ, რომ ბილეფელდელთა მესამე გოლის დროს რაინკე, რბილად რომ ვთქვათ, ცუდად გამოიყურებოდა. არცაა გასაკვირი, ნამატჩევს ვიზე ცოფებს რომ ყრიდა: *"სიმართლე გითხრათ, იმედგაცრუებული ვარ. მწვრთნელის ეს გადაწყვეტილება ყველასთვის გაუგებარი და მიუღებელი დარჩა,"* - აღნიშნა ვიზემ და კითხვაზე, შიშობს თუ არა, რომ მიმდინარე სეზონის ბოლო სამ შეხვედრასაც სკამზე გაატარებს, ასე უპასუხა: *"არა მგონია, რადგან ყველა ხედავს, თუ რა შესანიშნავ სეზონს ვატარებ!"*

ამასობაში **მიროსლავ კლოზემ** და მისმა მრჩეველმა **ალექსანდერ შიუტმა** ბრემენული გრანდის შეფებს ბოდიში მოუხადეს იმის გამო, რომ ერთი კვირის წინათ მათ დაუკითხავად "ბაიერნის" ხელმძღვანელებს შეხვდნენ. როგორც იცით, ეს შეხვედრა საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო, მაგრამ ჟურნალისტებმა მაინც ყველაფერი შეიტყვეს, რის გამოც დიდი სკანდალი ატყდა. *"გვინდა, რომ "ვერდერის" ხელმძღვანელებსა და გულშემატკი[...]რებს მოვუბოდიშოთ. ვაღიარებთ, რ[...] ამ შეხვედრის თაობაზე "ვერდერის[...]ვის" ოფიციალურად უნდა გვეცნობ[...]ბინა. თუმცა აქვე იმასაც აღვნიშნავ[...] რომ შეხვედრაზე ტრანსფერის შეს[...]ხებ არ გვისაუბრია. ეს, მხოლოდ [...] მხოლოდ, ინფორმაციების გაცვლ[...] მიზნით შემდგარი საუბარი იყო, რომ[...]ლიც მხოლოდ 20 წუთს გაგრძელდა,[...]* ნათქვამია კლოზესა და შიუტის ოფ[...]ციალურ განცხადებაში.

როგორია ალოფსის პასუხი ბოდი[...]ზე? *"მიღებულია. მაგრამ მე უკვე ვე[...]უბრე ორივეს და კიდევ ერთხელ შევა[...]სენე, რომ ზაფხულში მიღწეული შ[...]თანხმების თანახმად, სანამ კლოზ[...] ჩვენთან კონტრაქტი აკავშირებს, მი[...] ვერცერთ გერმანულ კლუბში ვერ გ[...]დავა. მით უმეტეს, "ბაიერნში,"* - აცხ[...]დებს "ვერდერის" შეფი.

**გოტფრიდ ლენც[...]**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ
ᲐᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲝ
ᲑᲐᲓᲐᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲐ

# ᲓᲔᲨᲐᲛᲘ ᲚᲘᲝᲜᲨᲘ?

**ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲡᲐ ᲤᲠᲐᲜᲒᲘᲡ ᲢᲣᲠᲘᲜᲣᲚ ᲒᲝᲛᲐᲕᲐᲚᲡ ᲔᲭᲕᲘᲗ ᲣᲧᲣᲠᲔᲑᲡ, ᲛᲐᲠᲩᲔᲚᲝ ᲚᲘᲞᲘ ᲘᲣᲕᲔᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐᲖᲔ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ...**


დიდიე დეშამი


მარჩელო ლიპი

**მარჩელო ლიპი** ამჯობინებს, უკომენტაროდ დატოვოს უკანასკნელ ხანს ავრცელებული ხმები მისი „იუვენტუსში" დაბრუნების თაობაზე. „ბებერი ალბატონი" სერია A-ში ცალი ფეხით უკვე გადასულია, მაგრამ იტალიური მედია განაგრძობს იმის მტკიცებას, რომ **დიდიე დეშამის** ტურინული თავგადასავალი შეიძლება, მიმდინარე სეზონის ბოლოს გასრულდეს და ფრანგი მარჩელო ლიპიმ შეცვალოს. მზადაა თუ არა მსოფლიოს ჩემპიონი მწვრთნელი ტურინში დასაბრუნებლად? „ასეთი ტიპის შეკითხვებს პასუხს არ გავცემ. „იუვენტუსს" თავისი მწვრთნელი ჰყავს, რომელიც მშვენივრად მუშაობს, არ მინდა ასეთ საკითხებში გავერიო, ჩემს ყველა კოლეგას დიდ პატივს ვცემ – თქვა ლიპიმ – უნდა ვაღიარო, რომ ტურინში დაუვიწყარი წლები გავატარე, მაგრამ იგივე შემიძლია ვთქვა ყველა კლუბზე, სადაც კარიერის განმავლობაში მიმუშავია. ასეა თუ ისე, დღემდე შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს „იუვენტუსის" ტიფოზებთან, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რამდენად საყვარელია ჩემთვის ეს კლუბი".

გასულ კვირაში ესპანურმა პრესამ დაწერა, „ვალენსია" ლიპის მინვევით არის დაინტერესებულიო, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონი მწვრთნელი ამბობს, რომ ესპანელებისგან კონკრეტული წინადადება არ მიუღია: „ვალენსია" ძალიან საინტერესო გუნდია, მაგრამ არანაირი საუბარი არ მქონია სპორტულ დირექტორ ამადეო კარბონისთან, რომელიც ჩემი უახლოესი მეგობარია".

დიდიე დეშამმა სერია A უკვე დაინახა და ბოლო პრესკონფერენციაზე იტალიელი ჟურნალისტების ერთ ნაწილს შეუტია. „როცა ამ თანამდებობაზე ვინიშნებოდი, ვიცოდი, რომ ბევრი არაკეთილმოსურნის ყბაში ჩავვარდებოდი. შეიძლება, ვიღაც-ვიღაცები ფიქრობენ, რომ რაკი ფრანგი ვარ, „იუვენტუსის" სერია A-ში გაძღოლის უნარი არ მაქვს – უთხრა დიდიემ ტურინულ „ლა სტამპას" – მე სულაც არ მაქვს ისეთი განცდა, რომ ჩემი თანამდებობაზე დარჩენა რისკის ქვეშ დგას. ამაზე არც ვფიქრობ, ჩემი ერთადერთი საფიქრალი ახლა სერია A-ა".

ეს კომენტარი დეშამმა შაბათს, ვერონაში გამარჯვების შემდეგ (1:0) გააკეთა, გუშინ კი „ფრანს ფუტბოლმა" მოულოდნელი ინფორმაცია გაავრცელა - „ლიონის" პრეზიდენტი **ჟან-მიშელ ოლა** სერიოზულად განიხილავს დეშამის მინვევის ვარიანტსო. ბოლო დღეებში ლიონური კლუბის ხელმძღვანელობასა და მწვრთნელს შორის ურთიერთობა დაიძაბა. **ჟერარ ულიეს**, საფრანგეთის ჩემპიონატში ზედიზედ მოგებული მეექვსე ტიტულის შემოქმედს, ქვეყნის ფედერაცია ეროვნული ნაკრებების ტექნიკური კურატორის პოსტს სთავაზობს, ავსტრალიის ნაკრები და ევროპის რამდენიმე წამყვანი კლუბი კი მწვრთნელად ეპატიჟებიან. პრეზიდენტი ოლა მისი შენარჩუნების წინააღმდეგი არაა, მაგრამ არც სამწვრთნელო შტაბის შეცვლას გამორიცხავს. „ფრანს ფუტბოლის" თანახმად, ოლა დეშამს არწმუნებს, რომ „იუვეს" ახლავე გამოემშვიდობოს და სათავეში ჩაუდგეს „ლიონს", რომელსაც ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობა გარანტირებული აქვს. ფრანგული გამოცემა იქვე დასძენს: „ტურინულ კლუბში სიტუაცია არცთუ იდილიურია, დიდიეს უთანხმოება აქვს სპორტულ დირექტორთან, მისი ოჯახი კი ძნელად ეგუება ტურინულ ცხოვრებას". ოლას სასურველი მწვრთნელების სიაში „ლილის" ამჟამინდელი დამრიგებელი **კლოდ პიუელიც** ფიგურირებს, მაგრამ პირველ ადგილზე დეშამია, „რადგან - წერს „ფრანს ფუტბოლი" – დიდიეს რეპუტაციის წყალობით, შეძლებს, რომ ბევრი ლიდერი "ლიონში" დარჩენაზე დაითანხმოს და სხვა ვარსკვლავები მიიზიდოს, პირველ რიგში, დავიდ ტრეზეგე".

**გოგა ახალაძე**

## ᲢᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲚᲔᲛᲞᲐᲠᲓᲘ ᲐᲠ ᲩᲥᲐᲠᲝᲑᲔᲜ

**ᲯᲝᲜ ᲢᲔᲠᲘ** და **ფრენკ ლემპარდი** "ჩელსისთან" კონტრაქტების გაფორმებას არ ჩქარობენ. "სანდი მირორის" მტკიცებით, ისინი **ჟოზე მოურინიოს** საკითხის გარკვევას ელოდებიან. "არისტოკრატების" აღმასრულებელი დირექტორი **პიტერ კენიონი** ირწმუნება, რომ მოურინიო რჩება, ხოლო ვარსკვლავებთან სიტყვიერი შეთანხმება მიღწეულია. გუშინ ტერიმ ასეთი კომენტარი გააკეთა: *"სეზონის ბოლომდე კონტრაქტზე საუბარიც კი არ მსურს. არ მინდა, უმნიშვნელოვანესი თამაშების წინ ყურადღება გამეფანტოს."* ლემპარდს არაფერი უთქვამს, მაგრამ მისმა აგენტმა **სტივ კუტნერმაც** მოლაპარაკებები ივნისამდე შეაჩერა.

## ᲠᲘᲩᲐᲠᲓᲡᲘ ᲚᲘᲕᲔᲠᲞᲣᲚᲡ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ

"ᲚᲘᲕᲔᲠᲞᲣᲚᲘ" დარწმუნებულია, რომ "მანჩესტერ სიტის" მარჯვენა მცველი **მიკა რიჩარდსი** მას დარჩება. ახალგაზრდა ფეხბურთელს "ჩელსიც" ეპატიჟება. იანვრის ტრანსფერებისას "სიტიმ" "არისტოკრატებისაგან" 20 მილიონი გირვანქა მოითხოვა. გარიგება არ შედგა, მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოლაპარაკებებს ივნისში განაახლებდნენ. მერსისაიდელებს სჯერათ, რომ ამერიკული ინვესტიციის შემდეგ მათ შესწევთ უნარი, აუქციონში ჩაებან და გაიმარჯვონ. რიჩარდსის ხელში ჩასაგდებად 15 მილიონი გირვანქა და რამდენიმე მეორეხარისხოვანი ფეხბურთელის დათმობაა საჭირო.

## ᲚᲘᲓᲡᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲨᲘ

ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ასოციაცია ლიდსის "ელანდ როუდზე" მომხდარ ინციდენტს შეისწავლის. "იფსვიჩთან" მატჩის 87-ე წუთზე, როცა სტუმრებმა ანგარიში გაათანაბრეს, მინდორზე ასეულობით ფანი გადაეშვა. არბიტრმა თამაში 30 წუთით შეწყვიტა. ამ გოლმა იორკშირელები, ფაქტობრივად, მესამე დივიზიონში დააქვეითა. ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე "ლიდსი" უსაფრთხო ზონაში მყოფ "ჰალს" სამი ქულით ჩამორჩება. ბოლო შეხვედრაში "ლიდსმა" აუცილებლად უნდა გაიმარჯვოს, "ჰალი" კი აუცილებლად უნდა დამარცხდეს. თანაც იორკშირელებმა ცხრაბურთიანი დეფიციტი უნდა აღმოფხვრან. ეს შეუსრულებელი ამოცანაა. ამიტომაც ფანებმა და მიმომხილველებმა ლიდსელები შაბათსვე გამოიტირეს. დაუჯერებელია, რომ ხუთი წლის წინ 2002 წელს, ეს კლუბი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში თამაშობდა.

## ᲙᲣᲠᲐᲜᲘ: ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ

ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ იმისა, რომ პარასკევს "შალკემ" "ბოხუმთან" წააგო (1:2) და ლიდერობის დაკარგვის საფრთხე დაემუქრა ("ვერდერს" კვირას უნდა ეთამაშა), გელზენკირხენელთა საუკეთესო ბომბარდირი და "ბოხუმის" კარში გატანილი ერთადერთი გოლის ავტორი **კევინ კურანი** შაბათს შესანიშნავ ხასიათზე იყო. მიზეზიც ჰქონდა: 25 წლის ფორვარდმა მეგობარ გოგონა **ვიქტორია პელიჩიჩთან** იქორწინა. ცერემონია შტუტგარტში ჩატარდა (მოგეხსენებათ, კურანი შვაბია). **ლევან კობიაშვილის** თანაგუნდელი და 26 წლის ვიქტორია ცხრა წელია, ერთად ცხოვრობენ. მათ წელიწადნახევრის ვაჟიც ჰყავთ, რომელსაც **კარლო** ჰქვია. ახლად დაქორწინებულებმა რეგისტრაციის ბიურო 1950 წელს გამოშვებული "მერსედეს-ბენცით" დატოვეს, ავტომობილით, რომელიც კურანის შტუტგარტის მუზეუმმა ათხოვა.

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲯᲝᲕᲐᲜᲘ ᲢᲠᲐᲞᲐᲢᲝᲜᲘᲡᲗᲐᲜ

# ᲙᲘᲓᲔᲕ ᲛᲝᲕᲘᲒᲔᲑ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲐᲦᲐᲠ...

**ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ, ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲢᲠᲐᲞᲘ ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲪ ᲒᲐᲮᲓᲐ...**


ჯოვანი ტრაპატონი

**ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ, გერმანიისა და პორტუგალიის ჩემპიონი ჯოვანი ტრაპატონი შაბათიდან ავსტრიის ჩემპიონიცაა. მისმა „ზალცბურგმა" შინ ვენის „აუსტრიასთან" 2:2 ითამაშა და ხუთი ტურით ადრე, ისტორიაში მეოთხედ გახდა ქვეყნის ჩემპიონი. სამწვრთნელო კარიერაში ტრაპს სულ 22 სხვადასხვა ტიტული აქვს მოგებული, აქედან ათი ეროვნული პირველობა („იუვენტუსში", „ინტერში", „ბაიერნში", „ბენფიკასა" და ახლა „ზალცბურგში"). იტალიელი სპეციალისტი უკვე 68 წლისაა, მაგრამ პენსიაზე ისევ არ ფიქრობს. „როდის დავამთავრებ? ამ კითხვას საკუთარ თავსაც ხშირად ვუსვამ, მაგრამ პასუხი ჯერ კიდევ არ მიპოვნია" – უთხრა ტრაპმა „გაძეტა დელო სპორტის" კორესპონდენტს. საუბარში ტრაპატონის მეუღლე, სინიორა პაოლა ჩაერთო: "ასე თუ გააგრძელა და ყოველ წელს მოიგო, რაღას დაანებებს? მე კიდევ მთელი ცხოვრება მსოფლიოს გარშემო სამოგზაუროდ წასვლაზე ვეხვეწები..."**

**- გილოცავთ გამარჯვებას, სინიორ ტრაპატონი. კარიერაში მეათე ჩემპიონატის მოგებას კიდევ შეუძლია, რომ ძველებურად აგაღელვოთ?**

- მღელვარებით არა, ამ ასაკიდან უკვე გამოვედი, მაგრამ უზომოდ კმაყოფილი ვარ. მეათე საჩემპიონო ტიტული რომ არის, ეს ახლა თქვენგან გავიგე. ტიტულებს არასდროს ვითვლი, უფრო მნიშვნელოვანი ის სიხარულია, როცა უმაღლეს მიზანს აღწევ და შენი შრომის ნაყოფს ხედავ.

**- ამჯერად გამარჯვება უფრო იოლი იყო: „ზალცბურგი" ყველაზე მდიდარი კლუბია.**

- გამარჯვება არასდროს არის იოლი. იგივე ფული ჰქონდათ შარშანაც, მაგრამ ავსტრიის ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავიდნენ. მე ვარ უცხოელი, რომელსაც პირველად მიწევდა ახალ კულტურაში ფეხის შედგმა, გუნდს თავიდან ჩამოყალიბება სჭირდებოდა, ყოველ სეზონში ათზე მეტი ფეხბურთელი იცვლებოდა, საჭირო იყო ძლიერი მენტალიტეტის მქონე კოლექტივის შეკვრა. ვისაც ჰგონია, რომ ეს ტიტული ერთი გასეირნებით მოვიგეთ, საგნებს ძალიან ზედაპირულად უყურებს, ბანალურად მსჯელობს, თავად არასდროს მიუღწევია მაღალი მიზნებისთვის.

**- თითქმის 50 წელია, რაც თქვენი ყოველდღიური ცხოვრება მოედანთან არის დაკავშირებული. როგორ ინარჩუნებთ ენთუზიაზმს?**

- ყოველთვის ვეძებ ახალ პროექტებს, სადაც მთავარი არის არა მხოლოდ გამარჯვება, არამედ გუნდისთვის რაღაც სათამაშო სტილის მიცემა. ბედნიერი ვარ, როცა ვხედავ, რომ ჩემი ფეხბურთელები გაზეპირებულად თამაშობენ, რომ მცველი შეტევას ეხმარება, რომ გამთამაშებელი თანამედროვე განაპირა ნახევარმცველად გადაიქცა. ესაა მთელი ჩემი სიმდიდრე, რომელიც ენთუზიაზმს მიახლებს.

**- ეროვნული ჩემპიონატები ოთხ სხვადასხვა ქვეყანაში მოიგეთ. ამ მხრივ ევროპაში ტომისლავ ივიჩი და ბოლა გუტმანი გისწრებენ. მათი გასწრება გაქვთ ჩაფიქრებული?**

- ერთი მხრივ მსიამოვნებს ის, რომ აქ უკვე ჩემპიონთა ლიგას მთხოვენ და უნდათ, რომ 2008 წლამდე დადებული კონტრაქტი ახლავე გამიგრძელონ. მაგრამ ასევე ძალიან მიზიდავს კიდევ რომელიმე ახალ ქვეყანაში მუშაობისა და გამარჯვების იდეა. ჩემი მეუღლე მეუბნება, რომ გავჩერდე, აღარ უნდა გარემოს შეცვლა, მაგრამ ეს იდეა მე მოსვენებას არ მაძლევს.

**- წინადადება იტალიიდან რომ მიიღოთ, როგორ მოიქცევით?**

- უარს ვიტყოდი. დარწმუნებული ვარ, რომ იტალიაში მწვრთნელად აღარ ვიმუშავებ: უკვე ვიცი რასაც იტყვიან პირველივე წაგებაზე. ისტორია გვასწავლის, რომ ვინც იტალიის ნაკრებს ხელმძღვანელობდა, მერე იტალიურ კლუბებში საქმე ცუდად მისდიოდა. სხვების შეცდომების გამეორებას აღარ ვაპირებ.

**- თავს იტალიიდან გადასახლებულად თვლით თუ ემიგრანტად, რომელიც სამშობლოში ენატრებათ?**

- ძალიან ამაყი ვარ იმით, რასაც ვაკეთებ, მორჩა და გათავდა. 50 წელს რომ გადაცილდები, აღარ გჯერა ზღაპრების, მონატრებებისა და გადასახლებების.

**- რას ფიქრობენ უცხოეთში იტალიაზე მას შემდეგ, რაც ევრო 2012 მასპინძლობაზე ქვეყნის კანდიდატურა ჩავარდა?**

- თამაშის ცოდნისა და მოედანზე მიღწეული შედეგებით, იტალიური ფეხბურთის მიმართ აღფრთოვანება კვლავაც დიდია, მაგრამ სამწუხაროდ, ამას ყოველთვის თან ახლავს ნაკლოვანებების ხაზგასმაც, მაგალითისთვის, სკანდალისა და ძალადობის ფაქტების. საქმე ისე კი არაა, თითქოს ევროპის სხვა ქვეყნებში იგივე არ ხდებოდეს, მაგრამ გამარჯვებულის მიმართ პატარა ფარული შური ყოველთვის აქვთ და ამიტომ კრიტიკაც ძალიან ხშირად ისმის.

**- „მილანი" თუ შეძლებს, რომ უცხოელების თვალში იტალიური ფეხბურთის პრესტიჟი აამაღლოს?**

- მჯერა, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლა შეუძლია, თუმცა ისიც აშკარაა, რომ ინგლისური გუნდები აღარ არიან ისეთები, ერთ დროს რომ იყვნენ, განსაკუთრებით, ტექნიკურად მოუმატეს. მაგრამ ტრადიცია მაინც ჩვენს მხარესაა.

**- თქვენი გამარჯვება „ინტერის" გამარჯვებას დაემთხვა. ბოლო სკუდეტო, 1989 წელს, „ინტერს" თქვენთან ერთად ჰქონდა მოგებული. უყურეთ „ნერაძურის" ზეიმს? დამსახურებული იყო თუ ცოტა გადამეტებული?**

- დამსახურებული იყო. „ინტერს" დიდი სეზონი ჰქონდა, „იუვენტუსიც" რომ ყოფილიყო და რამდენიმე გუნდს ქულები რომ არ ჰქონოდა დაკლებული, ჩემპიონატი ამ შემთხვევაშიც ანალოგიური შედეგით დასრულდებოდა. სწორია, რომ იზეიმეს, გამარჯვება მშვენიერია.

**- თქვენ ის ადამიანი ხართ, რომელმაც გამარჯვების გემო კარგად იცის. ამ ბოლო გამარჯვებისთვის ვინმეს განსაკუთრებულად ხომ არ ემადლიერებით?**

- პირველ რიგში ჩემს ფეხბურთელებს, რომლებსაც ისეთი ტვინის მბურღველი ადამიანის ატანა უხდებათ, როგორიც მე ვარ. მადლობას ვუხდი ჩემს მეუღლესაც, დიდი მოთმინებისთვის და იმისთვის, რომ ამდენი წელი მიძლებს. თქვენ, იტალიაში, კარგად იცით, რომ როცა ფეხბურთელებისთვის დავალებები მაქვს მისაცემი, ყველაფერი მავიწყდება და ჩემს სტიქიაში შევდივარ. ამაზე დიდი სიამოვნება ჩემთვის არ არსებობს.

**გოგა ახალაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა





დატკბნენ კაპელო და კალდერონი?

ინტერვიუ ფაბიო კაპელოსთან

# რეალი ჩემპიონობის უპირველესი კანდიდატია

## იტალიელ სპეციალისტს სჯერა, რომ კონკურენტები ქულებს დაკარგავენ...

**პრიმერა დივიზიონის დასრულებამდე სულ რაღაც ექვსი ტური რჩება. ვინც ესპანური ფეხბურთის პერიპეტიებს თვალს ადევნებს, დაგვეთანხმება, რომ სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა. გათამაშების ლიდერებმა დაგეგმილი ქულები მოიპოვეს. მართალია, ცხრილის სათავეში ვითარება არ შეცვლილა, მაგრამ სეზონის დასასრულის მოახლოვება საზოგადოებას მაინც დიდ ინტრიგას ჰპირდება. „ბარსელონა“ „სევილიისა“ და „რეალის“ წაფორხილებას ელის. თავის მხრივ, ანდალუსიელებსა და მადრიდელებს დიდი იმედი აქვთ, რომ კატალონიური გრანდი ქულებს დაკარგავს და პირველ ადგილს დათმობს. ლიდერთა სამეულს კიდევ ერთი საერთო შეხედულება აქვთ, ისინი აცხადებენ, რომ ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ მათზეა დამოკიდებული. თუ დარჩენილ შეხვედრებში გავიმარჯვებთ, აუცილებლად ჩემპიონები გავხდებითო. ერთი შეხედვით ეს ყველაფერი უცნაურად ჟღერს, მაგრამ ამ ხალხის ლოგიკა სულაც არ არის გაუგებარი. სჯერათ, რომ კონკურენტები წაიფორხილებენ და სანუკვარი ტიტული სწორედ მათ დარჩებათ. ფაბიო კაპელო სწორედ ასე ფიქრობს.საკუთარი შეგირდების ბოლო გამარჯვებამ იტალიელი სპეციალისტი უზომოდ გაახარა. სამეფო კლუბის დამრიგებელი მომავალს ახლა კიდევ უფრო მეტი ოპტიმიზმით შესცქერის. კაპელომ ესპანელი ჟურნალისტებისთვის გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე პირველად განაცხადა, რომ „რეალს“ ჩემპიონობის ფანტასტიკური შანსი გაუჩნდა. აქამდე ის მხოლოდ ზოგადი ფრაზებით საუბრობდა და ამბობდა, თავმდაბლობაზე უკეთესი თვისება არ არსებობსო. როგორც ჩანს, კაპელოს „ბილბაოსთან“ მიღწეულმა შესანიშნავმა გამარჯვებამ თავმდაბლობა დააკარგვინა. ყოველ შემთხვევაში, უდავოა, რომ აპენინელი გაცილებით ამბიციური და ამპარტავანი გახდა.**

**- ელოდით ასეთ იოლ გამარჯვებას? ყველა ფიქრობდა, რომ „ბილბაო“ უშეღავათო ბრძოლას გაგიმართავდათ, თუმცა ბასკებმა უჩვეულოდ უსახურად და სუსტად ითამაშეს.**

- რატომ გგონიათ, რომ იოლად მოვიგეთ? საკვირაო შეხვედრაში არაფერი ყოფილა იოლი და მარტივი. ბურთის დასაუფლებლად თავგანწირული ბრძოლების გამართვა გვიწევდა. ერთ ეპიზოდსაც ვერ მონახავთ, როცა ჩვენი მოწინააღმდეგეები არ გვებრძოდნენ. ბასკებმა მშვენიერი შეხვედრა ჩაატარეს, მაგრამ მათი უბედურება ის იყო, რომ „რეალმა“ კიდევ უფრო კარგად ითამაშა. ჩემი აზრით, „ბილბაო“ ასეთი თამაშით ნებისმიერს მოუგებდა, რა თქმა უნდა, სამეფო კლუბის გარდა. ბედნიერი ვარ, რომ ჩემმა ბიჭებმა საუკეთესო თვისებების გამომჟღავნება შეძლეს. როცა „რეალი“ მთელი ძალით თამაშობს, მისი შეჩერება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. „სან მამესზე“ სწორედ ასეთი შეხვედრა ჩავატარეთ. მოკლედ, გაცილებით ძლიერები ვიყავით და სრულიად დამსახურებულად გავიმარჯვეთ, თუმცა ნუ იფიქრებთ, რომ სამი ქულა იოლი მონაგარი იყო. უშრომლად ვერაფერს მიაღწევ. შრომა კი არ შეიძლება იოლი იყოს.

**- კაპელო, სეზონის ორი მესამედი ძალიან უსახურად ჩაატარეთ. შემდეგ მოუმატეთ და თამაშის ხარისხი საგრძნობლად გამოასწორეთ. ახლა კი სრულყოფილი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებთ. ამ გარემოებას რითი ახსნით? ფეხბურთელებს ადაპტაციისთვის იმაზე მეტი დრო სჭირდებოდათ, ვიდრე ყველაზე მშვიდი და მომთმენი გულშემატკივარი წარმოიდგენდა?**

- წარმატება და წარუმატებლობა გარკვეულ საკითხებზეა დამოკიდებული. წარმატებისთვის ხარისხი, ხასიათის სიმტკიცე და პროფესიონალიზმია საჭირო. სამეფო კლუბს ხარისხი და პროფესიონალიზმი არასოდეს აკლდა. ესე იგი, ხასიათის სიმტკიცეში მოვიკოჭლებდით. რამდენიმე წარუმატებლობა ერთმანეთს დაემთხვა და ბიჭებს საკუთარი შესაძლებლობების რწმენა შეერყათ. თითქოს „რეალისთვის“ მსგავსი საფრთხე სერიოზულ საშიშროებას არ წარმოადგენს, მაგრამ ცხოვრებამ ყველას დაანახა, რომ „სანტიაგო ბენაბეუზეც“ ჩვეულებრივი ადამიანები თამაშობენ. პრობლემების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ საკუთარ შესაძლებლობებში დაეჭვება გახლდათ. შეშინებული და დაეჭვებული ადამიანი კი ხასიათის სიმტკიცეს ვერასოდეს გამოამჟღავნებს. სასიხარულოა, რომ სირთულეები დავძლიეთ. ჩემმა შეგირდებმა დაინახეს, საქმეები კარგად აეწყო და პრიმერა დივიზიონში გამარჯვების ინამეს. ადაპტაციას რაც შეეხება, გეთანხმებით, ახალ გარემოსთან შეგუება ნებისმიერ შემთხვევაში დროს მოითხოვს, მაგრამ ვერ ვიტყოდი, რომ ჩვენი მთავარი პრობლემა ადაპტაცია იყო. დიახ, ახალ სეზონში არაერთი ახალწვეული გამოჩნდა, მაგრამ ძირითადი ბირთვი უცვლელი დარჩა. მათ შესაგუებელი არაფერი სჭირდათ. ასე რომ, ყველაზე დიდი სირთულე არამტკიცე ხასიათმა შეგვიქმნა.

**- ხომ არ მოგეჩვენათ, რომ მთავარმა მსაჯმა დევიდ ბექჰემი ყვითელი ბარათით უსამართლოდ დასაჯა?**

- თუ ღმერთი გწამთ, მსაჯებზე საუბარი აღარ მინდა. იმდენი ვილაპარაკეთ, ვგონებ, სასაუბროც აღარაფერი დაგვრჩა. თუ რაიმე განსაკუთრებული და გაუგონარი არ ხდება, არბიტრების მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას ყოველთვის გავურბივარ. მოგეხსენებათ, ტურიენსო ალვარესის წინააღმდეგ გალაშქრების ფაქტმა საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება ჰპოვა. აღარ მინდა, სამეფო კლუბი კვლავ რთულ და უსიამოვნო სიტუაციაში აღმოჩნდეს. ბედნიერი ვარ, რომ დევიდ ბექჰემი ჩინებულ ფორმაში იმყოფება. ოდნავადაც არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ინგლისელმა „ბილბაოსთან“ გენიალური მატჩი ჩაატარა.

**- კარგით რა, როგორ შეგიძლიათ მშვიდად იყოთ, როცა დაუმსახურებელი ყვითელი ბარათის გამო, ბექსი „სევილიასთან“ ვერ ითამაშებს. ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციაში საჩივრის შეტანაზე ხომ არ ფიქრობთ?**

- წარმოდგენა არ მაქვს, იჩივლებს თუ არა კლუბი ფედერაციაში. დამეთანხმებით, ამ საკითხებს მწვრთნელი არ განაგებს. მათ მოსაგვარებლად დირექტორატი არსებობს. თუ საჭიროდ მიიჩნევენ, რა თქმა უნდა, ყველა დოკუმენტს მოამზადებენ და აპელაციას შეიტანენ. დასანანი იქნება, თუ ბექჰემი მომდევნო ტურის შეხვედრაში ვერ დაგვეხმარება.

**- სისინიო ფეხბურთს შვიდთვიანი იძულებითი შვებულების შემდეგ დაუბრუნდა. რამდენად კმაყოფილი ხართ მისით?**

- სისინიო შესანიშნავადაა. ის ძალიან მხიარული და სიცოცხლით აღსავსე ბიჭია. სხვათა შორის, თქვენმა კოლეგებმა მის შესახებ გასულ კვირასაც მკითხეს. ბუნებრივია, სიმართლე არავისთვის დამიმალავს და პირდაპირ ვთქვი, რომ ბრაზილიელი მოედანზე დასაბრუნებლად ემზადება. ჯერჯერობით, მხოლოდ მსუბუქად ვარჯიშობს. ბოლო დღეებია, დატვირთვებს მოუმატა. მისით მოხიბლული დავრჩი, მაგრამ მიმაჩნია, რომ ჯერაც არ არის 100 პროცენტით მზად. გარისკვას არანაირი აზრი არ აქვს. ძირითად შემადგენლობაში რომ დავაყენო, შესაძლოა, საკუთარ ჯანმრთელობასაც ავნოს და გუნდის კეთილდღეობასაც. ბევრი რომ არ გავაგრძელო, სისინიომ ცოტაც უნდა მოითმინოს. შვიდთვიანი ავადმყოფობის შემდეგ, პირდაპირ მოვლენათა ეპიცენტრში მოხვედრა, პრაქტიკულად, შეუძლებელია. მით უმეტეს, დაუშვებელია, ჯეროვნად მოუმზადებელი ფეხბურთელი ისეთ პრინციპულ შეხვედრაში ვიხილოთ, როგორიც „რეალისა“ და „სევილიის“ დაპირისპირებაა.

**- როგორ ფიქრობთ, ამ მოგების შემდეგ პრიმერა დივიზიონში გამარჯვების შანსი გაგეზარდათ?**

- რა თქმა უნდა. სეზონის დასრულებამდე სულ რაღაც ექვსი ტური დარჩა. ძალიან მნიშვნელოვანია, დასკვნითი ეტაპი მაღალ დონეზე ჩავატაროთ. როგორც გითხარით, ბიჭებს თავდაჯერება განუმტკიცდათ. ამ საქმეში „ბილბაოსთან“ გასვლით შეხვედრაში მიღწეულმა წარმატებამ განსაკუთრებული როლი ითამაშა. ჩემი აზრით, „რეალი“ ჩემპიონობის უპირველესი კანდიდატია. მართლაც ფანტასტიკური შანსი გვაქვს.

**- „ბარსელონასა“ და „სევილიას“ უფრო მოკრძალებული შანსი გააჩნიათ?**

- (იცინის) რა თქმა უნდა, ისინიც ფავორიტები არიან, მაგრამ გულწრფელად მჯერა, რომ ჩვენ გარკვეულ უპირატესობას ვფლობთ. ეს უპირატესობა არა დარჩენილი შეხვედრების კალენდარს, არამედ სამეფო კლუბის განწყობას ემყარება. კატალონიელებმა რამდენიც არ უნდა უარყონ, მათ აუტანელი ფსიქოლოგიური წნეხის თანხლებით ასპარეზობა უწევთ. „სევილიას“ კი სახლში ვხვდებით. ანდალუსიელებს ერთდროულად ორ ფრონტზე ბრძოლა უწევთ. ხუანდე რამოსს დასათმობად არც ერთი ტურნირი არ ემეტება. ჩემი ფეხბურთელები დიდებულ ხასიათზე იმყოფებიან.

**- და მაინც, „ბარსელონა“ და „სევილია“ თქვენზე წინ არიან...**

- ეს არ არის დაუძლეველი ჰანდიკაპი. მთავარია, აღებულ გეზს არ გადავუხვიოთ და ყველა შეხვედრა მოვიგოთ. დამეთანხმებით, „რეალი“ თამაშიდან თამაშამდე პროგრესირებს. სეზონის შუაში ვერავინ იფიქრებდა, რომ პირველობის მოპოვების რეალური შანსი გვექნებოდა. ნაბიჯ-ნაბიჯ წინ სიარულით დარჩენილი ექვსი შეხვედრის მოგება უნდა შევძლოთ. დარწმუნებული ვარ, ჩვენი კონკურენტები ქულებს დაკარგავენ და პრიმერა დივიზიონს დავიპყრობთ. ვერ წარმოიდგენთ, რაოდენ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი...

**- თქვენს ამ ოპტმიზმს ყველაზე მეტად რა განაპირობებს, კონკურენტთა პრობლემები, თუ სამეფო კლუბის სიძლიერე?**

- ჩემს ოპტიმიზმს მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელების ანთებული თვალები განაპირობებს. ბიჭებმა გააცნობიერეს, რომ თეთრ მაისურს მისტიკური დატვირთვა და ძალა აქვს.

**ილია ნიკოლაიშვილი**

რეალი

# კაპელო რეკორდს იმეორებს

## მადრიდელებმა ვილია მოიკითხეს, ბექჰემს ერთი მატჩის გამოტოვება ემუქრება...

**ფაბიო კაპელოს** „რეალმა“ ისტორიულ წარმატებას მიაღწია. მართალია, სამეფო კლუბი ესპანეთის ვადამდელი ჩემპიონი არ გამხდარა, მაგრამ გულშემატკივრებისთვის საკლუბო რეკორდის განმეორება სასიხარულო ფაქტია. საქმე ის არის, რომ გასულ კვირას ბილბაოს „სან მამესზე“ ესპანურმა გიგანტმა სეზონის მეათე გასვლითი პაექრობა მოიგო. ასეთ შედეგს კი 105 წლის „რეალმა“ წარსულში მხოლოდ ორჯერ მიაღწია: 1960-61 და 1987-88 წლების სეზონებში. დაგვეთანხმებით, კაპელოსა და მის შეგირდებს შესანიშნავი შანსი აქვთ, სულაც ყველა დროის საუკეთესო საკლუბო რეკორდს გამოჰკრან ხელი. პრიმერა დივიზიონის დასრულებამდე დედაქალაქელები სტუმრად კიდევ ორ თამაშს გამართავენ. „რეკრეატივოს“ დამარცხება შეუძლებელი არ უნდა იყოს. აი, „სარაგოსასაც“ თუ მოუგებენ, მაშინ მადრიდელებმა, შეიძლება, ჩემპიონობასაც გამოჰკრან ხელი.

“რეალი” **დავიდ ვილიასთვის** ბრძოლაში ჩაება. პრეზიდენტ **რამონ კალდერონს** ინჩასების გულის მოგება სურს. ხმაურიანი ტრანსფერის განხორციელება იდეალური გამოსავალი იქნებოდა. ვალენსიელ ვარსკვლავს “ჩელსი” და “იუვენტუსიც” აკვირდებიან. ვილია ამბობს, რომ მესტალიაზე შესანიშნავად გრძნობს თავს, მაგრამ მისმა აგენტმა ასეთი კომენტარი გააკეთა: *“ჯერ ამაზე საუბარი ნაადრევია. “ვალენსიამ” ლიგაში პრინციპული მატჩები უნდა ჩაატაროს. სეზონის ბოლოს კი მოლაპარაკებების გამართვაც შეიძლება. ვფიქრობ, დავიდის გადასაბირებლად წლიურად 4-5 მილიონ ევროს შეთავაზება საკმარისი იქნებოდა.”*

ვილიას ტრანსფერამდე სამეფო კლუბს სხვა ამოცანები აქვს გადასაჭრელი. “ბილბაოსთან” მატჩში **დევიდ ბექჰემმა** სეზონის მეათე გაფრთხილება დაიმსახურა. ეს ავტომატურ ერთმატჩიან დისკვალიფიკაციას ნიშნავს. დევიდი უშუალო კონკურენტ “სევილიასთან” შეხვედრას გამოტოვებს. “რეალის” ხელმძღვანელობა აპელაციის შეტანას აპირებს. თუ სასჯელი ძალაში დარჩება, ბექჰემს მადრიდელთა მაისურით ხუთი თამაშიღა დარჩება ჩასატარებელი.





დევიდ ბექჰემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

## რაგბი



რატი ურუშაძე და დიმიტრი პავლოვი

ლეგიონერები

# ორი ნაბიჯი მიზნამდე

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის მეორე ფედერალური დივიზიონის ფლეიოფში ბრძოლას ექვსი "ქართული" კლუბი აგრძელებს. წინასწარი ეტაპის შემდეგ ქართველ მორაგბეთა ექვსი გუნდიდან ტურნირს სამი - "ნიცა", "ვილფრანში" და "ფიჟაკი" შემორჩა, ამათ მეთექვსმეტედფინალში პირდაპირ მოხვედრილი კიდევ სამი გუნდი : "სერჟ პონტუაზი", "ბასტია" და "ლილი" დაემატება.

პირველ ეტაპზე **დიმა პავლოვისა** და **რატი ურუშაძის** "ნიცა", რომელმაც "ვიენს" სძლია 22:10, მომდევნო შეხვედრაში "ვილერბანს" დაუპირისპირდება. **ბესო უდესიანის** "ვილფრანშმა" **პალიკო ჯიმშელაძის, სერგო გუჯარაიძისა** და **ოთარ ელოშვილის** "არასი" დაამარცხა 35:19 და ახლა "ლონსთან" მოუწევს ურთიერთობის გარკვევა.

**რეზო ბელქანიასა** და **ალექსანდრე მჭედლიშვილის** "ფიჟაკმა" 10:9 დაამარცხა "ერ სურ ადური" და მეთექვსმეტედფინალში "რიბერაკს" შეხვდება. თავიანთი შეხვედრები დათმეს და პლეი ოფს გამოეთიშნენ **ბადრი ხეხელაშვილის** "კონიაკი, **ლევან ჯაველიძის, ილია მაისურაძისა** და **დავით კაჭარავას** "ნანტი".

მეთექვსმეტედფინალში **დიმიტრი ხოჭოლავას** "სერჟ პონტუაზის" მეტოქე "სურესნე" იქნება. **თემურ სოხაძის** "ბასტია" "სორგოს" დაუპირისპირდება, **დავით ბოლღაშვილის** "ლილი" კი "მასონის" დამარცხებას შეეცდება. პირველ ფედერალურ დივიზიონში გადასასვლელად მეოთხედფინალში მოხვედრაა საჭირო.

შვიდკაცა ნაკრები

# სოპოტი-თვიქნემი-მარიფილდი-თბილისი

საქართველოს შვიდკაცა ნაკრები ორ კვირაში სეზონს გახსნის. ქართველ მეშვიდკაცეებს ერთი თვის განმავლობაში ოთხ ტურნირში მოუწევთ თამაში. აქედან ორი მსოფლიო სერიის ეტაპია და ორიც - ევროპულის. ნაკრების მწვრთნელები **მამუკა ტყეშელაშვილი** და **კახა ალანია** რთული ამოცანის წინაშე დგანან. რადგან გუნდს ულეგიონერებოდ მოუწევს თამაში.

პირველი ტურნირი ევროპის სერიისაა და 19-20 მაისს, პოლონეთის ქალაქ სოპოტში გაიმართება. აქ შვიდკაცა ბორჯღალოსნები ჯგუფში საფრანგეთის, ლატვიის, ისრაელისა და შვედეთის ნაკრებებთან მოხვდნენ. მეორე ჯგუფის ბინადარნი კი რუსეთი, პოლონეთი, შვეიცარია, მონაკო და აზერბაიჯანი იქნებიან.

ერთწლიანი პაუზის შემდეგ საქართველოს ნაკრები, 26-27 მაისს, ლონდონში მსოფლიოს სერიას დაუბრუნდება. აქ შეხვედრები, ტრადიციულად, ინგლისური რაგბის მექა, "თვიქნემზე" გაიმართება. B ჯგუფში ჩვენი მეტოქეები ავსტრალიის, სამოასა და კანადის ნაკრებები იქნებიან.

მომდევნო კვირას, საქართველოს ნაკრები უკვე შოტლანდიაში გადაინაცვლებს და ედინბურგში, "მარიფილდზე" გასამართ მსოფლიოს სერიის დასკვნით ეტაპზე იასპარეზებს. აქ D ჯგუფში ზელანდიის, ინგლისისა და არგენტინის ნაკრებებს გავეჯიბრებით.

9-10 ივნისს კი შვიდკაცა რაგბის ტურნირს უკვე თბილისი უმასპინძლებს. ტრადიციულად ქცეულ "თბილისის შვიდკაცას" სტუმრები საფრანგეთის, მოლდოვის, უკრაინის, ბელგიის, ლატვიის, ისრაელის, ბულგარეთის, საბერძნეთისა და აზერბაიჯანის ნაკრებები იქნებიან. შეგახსენებთ, რომ ორი ეტაპის ჯამში დაგროვილი სარეიტინგო ქულებით 12 საუკეთესო გუნდი 7-8 ივლისს ფინალურ სტადიაზე მოსკოვში იასპარეზებს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ზე-14

# ჯერ მხოლოდ კრუსეიდერზი

ზე-14-ის რეგულარული სეზონის ბოლოსწინა ტურში დაიმტვრა "ჰარიკენზისა" და "ოლ ბლექსის" მორკინალი **ჯეისონ ითონი**. მას მუხლი ისე დაუშავდა, რომ წლევანდელ მსოფლიო თასს გამოტოვებს. კანბერაში ტურის ცენტრალური მატჩი ერთადერთი ულელოო აღმოჩნდა შვიდ შეხვედრაში - "ბრამბიზმა" 15:6 მოუგო ჩემპიონ "კრუსეიდერზს". საკუთარი პუბლიკის წინაშე ბოლოჯერ ითამაშეს "ბრამბიზის" მაისურით "ბებრებმა" **ჯორჯ გრეგანმა, ჯერემი პოლმა** და **სტივენ ლარქემმა** - მსოფლიო თასის მერე ისინი ჩრდილოეთ ნახევარსფეროში თამაშს აპირებენ. "კრუსეიდერზს" ექვსმატჩიანი მოგებათა სერია გაუწყდა, ამისდა მიუხედავად, ზელანდიური კლუბი ერთადერთია, რომელმაც ფლეი-ოფის საგზური გაინაღდა. თავის მხრივ, "ბრამბიზმა" მოგებით" ფლეი-ოფში გაღწევის შანსი შეინარჩუნა.

ველინგტონში მასპინძლებმა 22:21 მოუგეს "ჰაილენდერზს", ზელანდიურ ჯახში ყველაფერი ბოლო წამს გადაწყდა, როცა სტუმართა დამრტყმელმა **ნიკ ევანსმა** გარდასახვა ააცილა. სწორედ ამ თამაშში მიიღო მასპინძელთა მეორეხაზელმა **ჯეისონ ითონმა** მარცხენა მუხლის უმძიმესი ტრავმა. "ვორათაზმა" "ოზი სტედიუმზე" თვალსასეირო მატჩში 23:28 წააგო ზელანდიურ "ჩიფსთან". "ფორსმა" კი "ჩიტაზს" გადაუარა - 45:17. ფლეი-ოფში გასვლა დასავლეთავსტრალიელებსაც შეუძლიათ. თუკი ზელანდიური "ბლუზი" ფლეი-ოფში ვერ გავა, მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დააბრალოს, "ბლუზი" ამჯერად პრეტორიაში დამარცხდა - 19:40.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**XIII ტური**

27-28 აპრილი

**ჰარიკენზი-ჰაილენდერზი 22:21**

ჰარიკენზი (ზელ): 2ლ (გოპერტი, გიარი), 4ს (ვეეპუ)

ჰაილენდერზი (ზელ): 2ლ (ევანსი, მორლანდი), გ,3ს (ევანსი)

**ვორათაზი-ჩიფსი 23:28**

ვორათაზი (ავს): 2ლ (ნორტონ-ნაითი, ტერნერი), 2გ, 3ს (ჰიუეტი)

ჩიფსი (ზელ): 3ლ (სივივატუ, მესამი, ტუიპულოტუ), 2გ, 3ს (დონალდი)

**ფორსი-ჩიტაზი 45:17**

ფორსი (ავს): 7ლ (ქროსი 2, იოანი, სტენიფორზი 2, ვოლეი, მაკისააკი), 5გ (გიტო)

ჩატაზი (აფრ): 3ლ (ბერგერი, ფანდერ მერვე, ფლურსი), გ (დე ვაალი)

**ბულზი-ბლუზი 40:19**

ბულზი (აფრ): 4ლ (ფან ჰეერდენი, ფანენბურგი, დუპრე, ადამსი), 4გ,3ს, ა (ჰუგაარდი)

ბლუზი (ზელ): 1ლ (ფლეიველი), 1გ და 4ს (ნატეევა)

**ბრამბიზი-კრუსეიდერზი 15:6**

ბრამბიზი (ავს): 4 ს(მორტლოკი 3, ჰაქსლი), ა (ლარქემი)

კრუსეიდერზი (ზელ): 2 ს (კარტერი)

**შარქსი-ლაიონზი 33:3**

შარქსი (აფრ): 4ლ (პიტერსენი 2, ბოუტსი 2), 2გ (მონტგომერი), 3ს (მონტგომერი 2, შტაინი)

ლაიონზი (აფრ): ს (როუზი)

**სტორმერსი-რედსი 37:24**

სტორმერსი (აფრ): 5ლ (უოტსონი 2, რასელი 2, ფან ნიკერკი), 3გ, 2ს (გრანტი)

რედსი (ავს): 2ლ (თუნი, ჰარდმენი), გ, 4ს (შიფკოვსკი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | პრ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კრუსეიდერზი | 12 | 8 | 0 | 4 | 358-205 | 9 | 41 |
| შარქსი | 12 | 9 | 0 | 3 | 319-204 | 4 | 40 |
| ბლუზი | 12 | 8 | 0 | 4 | 322-229 | 5 | 37 |
| ბულზი | 12 | 8 | 0 | 4 | 296-220 | 5 | 37 |
| ჩიფსი | 12 | 6 | 1 | 5 | 343-297 | 10 | 36 |
| ბრამბიზი | 12 | 8 | 0 | 4 | 205-163 | 3 | 35 |
| ფორსი | 12 | 6 | 1 | 5 | 270-259 | 6 | 32 |
| ჰარიკენზი | 12 | 6 | 0 | 6 | 233-262 | 3 | 27 |
| ჰაილენდერზი | 12 | 5 | 0 | 7 | 225-272 | 7 | 27 |
| სტორმერსი | 12 | 6 | 0 | 6 | 239-290 | 3 | 27 |
| ლაიონზი | 12 | 5 | 0 | 7 | 165-268 | 1 | 21 |
| ჩიტაზი | 12 | 3 | 1 | 8 | 249-332 | 4 | 18 |
| ვორათაზი | 12 | 2 | 1 | 9 | 228-303 | 6 | 16 |
| რედსი | 12 | 2 | 0 | 10 | 198-346 | 3 | 11 |

ბოლო ტური. 4-5 მაისი. კრუსეიდერზი-ჩიფსი, ჰაილენდერზი-ბრამბიზი, ჰარიკენზი-ვორათაზი, ფორსი-ბლუზი, ლაიონზი-ჩიტაზი, სტორმერსი-შარქსი, ბულზი-რედსი.

## აპრილის მოვლენები

**3. რაგბი:** მსოფლიოს 19-წლამდელთა ჩემპიონატის პირველ მატჩში საქართველომ რუმინეთს 28:0 მოუგო, თუმცა, საბოლოოდ, მიზანს ვერ მიაღწია და ელიტურ A ჯგუფში ვერ გადავიდა.

**6-8. ძიუდო:** ქართველებმა ევროპის ჩემპიონატზე ხუთი მედალი მოიპოვეს (1 ოქრო, 3 ვერცხლი, 1 ბრინჯაო). **ზაზა კედელაშვილი** (66 კგ) ევროპის ორგზის ჩემპიონია. ვერცხლის მედალი მოიპოვეს **დავით ქევხიშვილმა** (73), **ირაკლი ცირეკიძემ** (100) და **ლაშა გუჯეჯიანმა** (მძიმე), ბრინჯაო - ნესტორ ხერგიანმა (60).

**6-8. ჩოგბურთი:** დევისის თასზე საქართველოს ნაკრებმა ბელგრადში სერბეთის წინააღმდეგ 0:5 წააგო.

**7. რაგბი:** ერთა თასის მატჩში საქართველოს ნაკრებმა რეკორდი დაამყარა, ჩეხეთს 98:3 მოუგო.

**15. ჭადრაკი:** დრეზდენში, ევროპის ჩემპიონატზე ქართველ მოჭადრაკეთაგან ათეულში მხოლოდ **ნინო ხურციძე** გავიდა. მსოფლიო ჩემპიონატის საგზურები გაინაღდეს: ხურციძემ, **სოფიკო ხუხაშვილმა** და **ლელა ჯავახიშვილმა**. ვაჟებმა ვერცერთი საგზური ვერ მოიპოვეს.

**17-20. ჩოგბურთი:** საქართველოს ქალთა ნაკრებმა (მაკა ჩახნაშვილი, ოქსანა კალაშნიკოვა, **ეკატერინე გორგოძე** და **სოფიო ქვაცაბაია**) წარმატებით ითამაშა მავრიკეთში, ფედერაციის თასზე და საგაისოდ ევროპა-აფრიკის პირველი ზონის საგზური დაისაკუთრა.

**20. ანტიკური ჭიდაობა:** **მანუჩარ კვირკველიამ** და **რამაზ ნოზაძემ** სოფიაში ევროპის ჩემპიონობა მოიპოვეს.

**21-22. თავისუფალი ჭიდაობა:** ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა ერთი ვერცხლისა (**გელა სალირაშვილი**) და ბრინჯაოს ორი (**გიორგი გოგშელიძე** და **ალექსი მოდებაძე**) მედალი მოიპოვა.

**25. სუმო:** გამოქვეყნდა ახალი რეიტინ-ლისტი, კოკაი ხუთი საფეხურით დაწინაურდა და აღმოსავლეთის მეორე მაეგაშირა გახდა.

**28-29. სამბო:** ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა 7 მედალი მოიხვეჭა (3 ოქრო და 4 ბრინჯაო). ჩემპიონები გახდნენ: **უშანგი კუზანაშვილი, დავით სვიმონიშვილი** და **მინდია ბოდაველი**.

**28-29. ძიუდო:** მსოფლიო თასის ტურნირზე რომში საქართველოს ნაკრებმა ბრინჯაოს 3 მედალი მოიპოვა - **ზურაბ ზვიადაურმა** (90), **ლომერ ჟორჟოლიანმა** (100) და **ზვიად ხანჯალიაშვილმა** (მძიმე);

## მხატვრული ტანვარჯიში

# დონაძე მეოცე ადგილზე

პორტუგალიის საკურორტო ქალაქ პორტიმაოში დასრულებულ მსოფლიო თასის მორიგ ეტაპზე სამმა ქართველმა ტანმოვარჯიშემ იასპარეზა. მსოფლიოს 40 ქვეყნის 73 ტანმოვარჯიშეს შორის საქართველოს ნაკრების მეორე ნომერმა **თათია დონაძემ** 59.679 ქულით მე-20 ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს თასის კიევის ეტაპზე ნაჩვენები შედეგი დონაძემ 10 საფეხურით გააუმჯობესა, რაც საშუალებას აძლევს მსოფლიო თასის მომდევნო, აგვისტოს ბოლოს სლოვენიის ქალაქ ლუბლიანაში გასამართ ეტაპზე უძლიერესთა შორის, A ჯგუფში იასპარეზოს.

თავის შესაძლებლობებზე გაცილებით უარესად გამოვიდა საქართველოს ჩემპიონი **ქეთევან ხატიაშვილი**, რომელმაც მრავალჭიდში 56.775 ქულა დააგროვა და 31-ე ადგილს დასჯერდა. შეჯიბრის მესამე ქართველი მონაწილე **ელენე გავარდაშვილი** 52.175 ქულით 56-ე იყო.

**კობა ხატისაშვილი**



თათია დონაძე

## ჩოგბურთი

# ისევ წინ, უკანდახევის შემდეგ

გუშინ გამოქვეყნდა WTA-ის და ATP-ის ახალი რეიტინგ-ლისტები. გთავაზობთ ქართველ ჩოგბურთელთა დღევანდელ მდგომარეობას. საქართველოს პირველი ჩოგანი ქალი **მაკა ჩახნაშვილი** 199.5 ქულით მსოფლიო კლასიფიკაციაში 152-ე პოზიციაზეა, რაც ერთი კვირის წინანდელს 6 საფეხურით ჩამოუვარდება. შესამჩნევად წაიწია წინ **ანა ტატიშვილმა** - მან 59.75 ქულა დააგროვა და მსოფლიოს 335-ე ჩოგანია. ანამ ერთ კვირაში ერთბაშად 57 ადგილით გაიუმჯობესა მდგომარეობა. უკან დაიხია **სოფიო მელიქიშვილმა** - 36 ქულით მან 464-ე ადგილზე ჩაინაცვლა (-13). **სალომე დევიძე** (28.25 ბალი) 19 საფეხურით დაწინაურდა და 520-ე ჩოგანი გახდა. სხვები: 688 (-1) **სოფიო შაფათავა** - 15.25, 770 (-1) **ეკა გორგოძე** - 12.00, 816 (-2) **მანანა შაფაქიძე** - 10.25, 915 (-1) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 7,5, 1068 (+1) **თეონა ცერცვაძე** - 5,25, 1186 (+2) **სოფიო ქვაცაბაია** - 4.00, და 1317 (+2) **მარიამ ქურდაძე** - 2,75

ვაჟთა შორის **ირაკლი ლაბაძემ** ორი საფეხურით წაიწია წინ, ირაკლის 235 ქულით კლასიფიკაციაში 174-ე ადგილი უჭირავს. 4 ადგილით დაწინაურდა **ლადო ჩიხლაძეც**, 60 ქულა - 469-ე პოზიცია. **ნოდარ ითონიშვილი** 2 ქულით 1342-ე ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სპორტის აკადემია
N 4 (40) აპრილი 2007
საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის გამოცემა
ეროვნული ბიბლიოთეკა



# სტუდენტობიდანვე მეცნიერებისკენ!

ათეული წლების განმავლობაში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სპეციალისტთა სამჭედლო, ჩვენი უმაღლესი სასწავლებელი, მეცნიერთა მომზადების კერაც იყო. მერე ვითარება შეიცვალა, სამეცნიერო მუშაობა კი არ განელდა, ჩაკვდა. ახლა, იმ რადიკალურ ცვლილებებს შორის, რაც ბოლო დროს გატარდა აკადემიაში, ერთ-ერთ თვალსაჩინო მოვლენად სწორედ მეცნიერებისკენ შემობრუნება უნდა ჩაითვალოს. მეცნიერება კი სტუდენტობიდან იწყება. პირადად რექტორის, პროფესორ ჯემალ გუგუშვილის თაოსნობით, ძველი ტრადიცია კვლავ აღდგა აკადემიაში. 19-20 აპრილს ჩატარდა აკადემიის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია.

*"ცხოვრების ყველა გზა და ბილიკი სათავეს იღებს სტუდენტობიდან. გეძლევათ შესაძლებლობა, გამოავლინოთ თქვენი ნიჭი და შესაძლებლობები, გზა გაიკაფოთ მეცნიერებისკენ. ისწრაფეთ სიახლისკენ, მხოლოდ სიახლეებით მიდის ცხოვრება წინ. გამორჩეული ნაშრომები შეიძლება სახელმწიფო გრანტზეც წარვადგინოთ. წარმატებებს გისურვებთ"* - ასე დამოძღვრა რექტორმა კონფერენციის საზეიმო გახსნისას მისი მონაწილეები.

სექციებმა ოთხი მიმართულებით იმუშავა: 1. სპორტულ-პედაგოგიური, 2. მედიკო-ბიოლოგიური, 3. ჰუმანიტარული, 4. იურიდიული. თითოეული სექციის მუშაობას ხელმძღვანელობდა კომპეტენტური ჟიური. სულ 70-მდე მოხსენება იქნა წარმოდგენილი და განხილული ოთხივე მიმართულებით.

გაგაცნობთ გამარჯვებულებსა და პრიზიორებს. სპორტულ-პედაგოგიური სექცია: 1. **დავით დარბაიძე, გიორგი გელდიაშვილი** (ორივე - II კ), **ოლეგ სიმონიანი** (I კ) - ხელმძღვანელი დ. კვინიკაძე; 2. **მარიანა ოვანესიანი** (III კ) - ხელმძღვანელი ნ. პაპუკაშვილი; 3. **სალომე სარჯველაძე** (IV კ) - ხელმძღვანელები, პროფ. გ. რატიშვილი და მასწ. დ. კვინიკაძე. ყველა სტუდენტი მწვრთნელთა ფაკულტეტიდანაა. აგრეთვე გამოვლინდა გამარჯვებული მაგისტრებს შორის - **ალექსანდრე ჩახუნაშვილი** (II კ) - ხელმძღვანელები, პროფ. გ. რატიშვილი და კ. მოცრაძე.

მედიკო-ბიოლოგიური სექცია: 1. **რუსუდან კაკულაშვილი** (IV კ, სამკურნალო ფიზკ. და რეაბილიტ. ფაკ.) - ხელმძღვანელი ასოც. პროფ. მ. ჩხიკვიშვილი; 2. **სოფო ცაციაშვილი** (II კ, სამკ. ფაკ.) - ხელმძღვანელი, უფრ. მასწ. ლ. კაკიაშვილი; 3. **ნოდარ ივანაშვილი** (II კ, პედაგოგ. ფაკ.) - ხელმძღვანელი, ასოც. პროფ. დ. ქობელაშვილი.

ჰუმანიტარული სექცია: 1. **მიხეილ თოთრაშვილი** (III კ, მწვრთ. ფაკ.) - ხელმძღვანელი, მ. ხორბალაძე; 2. **ბექა ჯოხაძე** (IV კ, სამკურნალო ფაკულტეტი) - ხელმძღვანელი, მ. ხორბალაძე; 3. **ანა რომანოვა** (II კ, პედაგ. ფაკ. )- ხელმძღვანელი, ასოც. პროფ. ნ. მაცხონაშვილი. ოლიმპიური აკადემიის სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა **ინგა გეთიაშვილი** (III კ, ევროპ. ენების ფაკ.) - ხელმძღვანელი, პროფ. შ. შაბურიშვილი.

იურიდიული სექცია: 1. **ბელა შინდელიშვილი** - ხელმძღვანელი, პროფ. შ. ფაფიაშვილი; 2. **ნიკოლოზ არევაძე** - ხელმძღვანელი, პროფ. შ. ფაფიაშვილი; 3. **მაკა ჭილიტაშვილი** - ხელმძღვანელი, ასისტ. პროფ. დ. ხობელია. სამივე იურიდიული ფაკულტეტის IV კ. სტუდენტია. საინტერესო მოხსენებად სცნეს **ზურაბ ჩინჩალაძის** (II კ. იურიდ. ფაკ.) ნაშრომი - ხელმძღვანელი, ასისტ. პროფ. ს. ტუკვაძე.



გამარჯვებული სტუდენტები ხელმძღვანელებთან და ჟიურის წევრებთან ერთად

# ვაკეთოთ ის, რაც გვევალება და არ ვაკეთოთ, რაც არ გვევალება

"სპორტის აკადემიის" ამ ნომრიდან ვიწყებთ საუბრებს დეკანებთან. პროფილით აკადემიაში მთავარი მაინც მწვრთნელთა ფაკულტეტია. გთავაზობთ ინტერვიუს ამ ფაკულტეტის დეკანთან, პროფესორ ტრისტან გულბიანთან.

## დოსიე

**დაიბადა 1951 წელს. დაამთავრა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ინსტიტუტი 1972 წელს. მუშაობა დაიწყო მწვრთნელთა სკოლაში მასწავლებლად და ინსტიტუტში ფეხბურთის, ხელბურთისა და ჩოგბურთის კათედრაზე საათობრივ ანაზღაურებაზე. საკანდიდატო დაიცვა 1991 წელს. პროფესორია. 2003 წლიდან არის მწვრთნელთა ფაკულტეტის დეკანი. მინიჭებული აქვს საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება. არის ეროვნული კატეგორიის მსაჯი ხელბურთში, სპეციალური ოლიმპიური კომიტეტის სპორტული დირექტორი...**

**- ბატონო ტრისტან, რა შეცვალეთ ფაკულტეტზე?**

- კაბინეტი (იცინის). ეს ხუმრობით, სერიოზულად კი, ბევრი რამ შეიცვალა ახალი მოთხოვნების შესაბამისად.

**- მაინც...**

- სტუდენტთა მენტალიტეტი, დამოკიდებულება სწავლისადმი...

**- უკეთესობისკენ?**

- რა თქმა უნდა. მთავარია ის, რომ გადახალისდა სასწავლო პროგრამები, მთლიანად შეიცვალა სასწავლო გეგმა.

**- რითაა უპირატესი სიახლეები ძველთან შედარებით? რა სიკეთე მოიტანა ერთიანმა ეროვნულმა გამოცდებმა?**

- ეროვნულმა გამოცდებმა გზა გაუხსნა ცოდნას, შემთხვევით და "ჩაწყობით" სტუდენტი ველარავინ გახდება. სტუდენტთა გარკვეული პროცენტი სწავლას სერიოზულად ეკიდება, რადგან იცის, რომ პერსპექტივა მხოლოდ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტს აქვს ცხოვრებაში. მათ კარგად ესმით, რა არის საბაზრო ეკონომიკა.

**- კმაყოფილი ხართ თქვენი მუშაობით?**

- ბოლომდე ვერ ვახორციელებ ჩანაფიქრს. მიუხედავად სიძნელეებისა, საქმე, რასაც ვემსახურები, სიამოვნებას მანიჭებს. ამას ალალად გეუბნებით.

**- დისციპლინაზე რას იტყვით?**

- უამრავ სასიკეთო ღონისძიებას შორის, რაც გატარდა აკადემიაში რექტორის, ბატონ ელგუჯა გუგუშვილის ხელმძღვანელობით, უმნიშვნელოვანესად დისციპლინის განმტკიცება მიმაჩნია . თქვენ წარმოიდგინეთ, წესრიგის დამყარებით თვით სტუდენტებიც კმაყოფილნი დარჩნენ. ეამაყებათ კიდეც, რომ ასეთ სასწავლებელში სწავლობენ. ჩვენი აკადემია სუფთა გარემოდ იქცა ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. ასეც უნდა იყოს: "ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია"!

**- რა არის თქვენი კრედო?**

- აკეთე შენი საქმე და გაიღე მაქსიმუმი, ანუ კეთილსინდისიერად ვაკეთოთ ის, რაც გვევალება და არ ვაკეთოთ ის, რაც ჩვენი საქმე არ არის.

**- რა გაღიზიანებთ?**

- საქმისადმი გულგრილობა, გნებავთ, სწავლაში, გნებავთ ცხოვრებაში.

**- რას აფასებთ ყველაზე მეტად პიროვნულ ღირსებებში?**

- ერთგულებასა და პატიების უნარს. ვისაც ეს არ შეუძლია, საცოდავია.

**- თავად გიგემიათ უარყოფითი შედეგი?**

- კი, მაგრამ ეს პირადი საქმეა...

**- თქვენი ნება რომ იყოს, რას შეცვლიდით აკადემიაში?**

- სტუდენტ-ახალგაზრდობის დღევანდელი და ხვალინდელი მოთხოვნების შესაბამისად, შევუქმნიდი სწავლისა და სპორტში დაოსტატების მაქსიმალურ პირობებს. საბედნიეროდ, ეს პრ-



ოცესი ჩვენს სასწავლებელში, ბოლო ხანებში, ინტენსიურად მიმდინარეობს, რაც ახალი რექტორის დამსახურებაა. კიდევ იცით, რაზე ვოცნებობ? ჩვენი აკადემიის მეორე კი არა, მესამე სართულიც დაიკავოს, მეტიც, ვერ დაიტიოს ამ სასწავლებელში აღზრდილი ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონების, ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი ადამიანების პორტრეტებმა.

ესაუბრა
**თენგიზ თომაშვილი**

**მომდევნო გვერდზე გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები**

**თარაზულად**: 3. დინამო; 6. ტალი; 8. კალაძე; 9. ალანია; 12. კაკულია; 13. საა; 14. კაკა; 15. ზონინი; 16. ბა; 17. არაუ; 19. ათლი; 21. ლიდერი; 24. ცვეიბა; 25. ნხლ; 26. უჩაძე; 30. ნეტო; 31. ვილი; 32. დვირი; 33. იტო; 34. სო; 35. ჩუი.

**შვეულად**: 1. მარათონი; 2. ბაკურიანი; 3. დელისი; 4. ნბა; 5. მოა; 6. ტუა; 7. ლომაია; 10. ლუკა; 11. ნიკე; 17. ასათიანი; 18. ულიე; 20. ფანატი; 21. ლილი; 22. როა; 23. ივერია; 27. ჩილე; 28. ენდო; 29. დოლი.

## მილოცვა

სპორტის აკადემიის რექტორატი და თანამშრომლები ცხოვრების ღირსსახსოვარ მოვლენას - დაოჯახებას ულოცავენ ამავე აკადემიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ირაკლი დოლაბერიძეს.

1 მაისს, აკადემიაში იწყება სამკურნალო ფიზკულტურისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის საკვალიფიკაციო გამოცდები.

# კონსულტაცია

რუბრიკას უძღვება მწვრთნელთა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, მსოფლიო ჩემპიონი სპორტულ აკრობატიკაში, პროფესორი მანანა მნათობიშვილი.

შეკითხვა: აკადამიაში ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხული სტუდენტები, როგორ მოიპოვებენ სემესტრულ გამოცდებზე გასვლის უფლებას?

პასუხი: აუცილებელი პირობაა: 1. ლექციებზე დასწრების მაჩვენებელი; 2. სასწავლო პროცესში აქტიურობა; 3. კოლოქვიუმებში მონაწილეობა. დასწრება მაქსიმუმ 20 ქულაა, აქტიურობა - 10, პრაქტიკულ მეცადინეობებში მონაწილეობა - 30. გამოცდა იძლევა 40 ქულას. ჯამში ეს შეადგენს მაქსიმუმ 100 ქულას (იხ. ცხრილი).

შეკითხვა: **რა არის საჭირო, რომ სტუდენტი ხელმეორედ გავიდეს გამოცდაზე?**

პასუხი: თუ გამოცდამდე სტუდენტს მოგროვილი აქვს მინიმუმ 31 ქულა (დასწრება, აქტიურობა, კოლოქვიუმი), გამოცდაზე კი 10-19-მდე და ჯამში 41-50 ქულას მოუყარა თავი, მას ეძლევა გამოცდაზე განმეორებით გასვლის უფლება.

შეკითხვა: **ვთქვათ, გამოცდაზე პირველად გასვლისას სტუდენტმა 10 ქულაზე ნაკლები მოაგროვა, რა უნდა მოიმოქმედოს?**

პასუხი: ასეთ შემთხვევაში, სტუდენტს განაცხადი შეაქვს დეკანატში კურსის ხელმეორედ გავლის მოთხოვნით.

## შეფასების 100 ქულიანი სისტემა

| ქულები | შეფასება |
|---|---|
| 91-100 | A "ფრიადი" |
| 81-90 | B "ძალიან კარგი" |
| 71-80 | C "კარგი" |
| 61-70 | D "საშუალო" |
| 51-60 | E "დამაკმაყოფილებელი" |
| ქულები | შეფასება |
| 41-50 | EX "არადამაკმაყოფილებელი", სტუდენტს ეძლევა მოცემულ დისციპლინაში საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება |
| 0-40 | F "სრულიად არადამაკმაყოფილებელი", სტუდენტმა კრედიტის მიღებისთვის თავიდან უნდა გაიაროს მოცემული დისციპლინის კურსი |




ისარგებლეთ აკადემიის ვებ გვერდით:
http://www.sportacademy.edu.ge/

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოკითხვა

## რას ფიქრობენ სტუდენტები...

სპორტის აკადემიის საზოგადოებრივი პროფესიების ჟურნალისტიკის III და IV კურსელთა დახმარებით, რედაქციამ ჩაატარა სტუდენტთა გამოკითხვა. რესპონდენტებს უნდა ეპასუხათ სამ შეკითხვაზე:

1. როგორ აფასებთ აკადემიაში გატარებულ რეფორმებს;
2. თქვენზე რომ იყოს დამოკიდებული, რას შეცვლიდით აკადემიის ცხოვრებაში;
3. გაკმაყოფილებთ თუ არა სტუდენტთა თვითმმართველობის საქმიანობა.

გამოკითხვაში მონაწილეობდა სხვადასხვა კურსისა და ფაკულტეტის 126 სტუდენტი.

პირველ შეკითხვაზე გამოკითხულთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ (79%) უპასუხა, რომ რეფორმა დროული და დადებითი მოვლენაა. მცირე ნაწილი (9%) ფიქრობს, რომ რეფორმა ფორსირებულად დაიწყო, თუმცა ამას შედეგებზე უარყოფითად არ უმოქმედია. უფრო მცირე ჯგუფის (4%) აზრით, მათთვის სულ ერთი იყო, რეფორმა გატარდებოდა თუ არა. დანარჩენმა პასუხისგან თავი შეიკავა. სტუდენტები მიესალმებიან დისციპლინის გამტკიცებას აკადემიაში.

მეორე შეკითხვაზე გამოკითხულთა უმეტესობამ (58%) ინერტულობა გამოავლინა. მათი პოზიცია შეიძლება ასე გამოიხატოს: "ჩვენი საქმე სწავლა. რა ჯობია? სურვილს რა აზრი აქვს. მომავალში სხვა საქმეა, როცა სურვილის რეალიზების შესაძლებლობა თავად მოგვეცემა.

მესამე შეკითხვაზე პასუხები ასეთი იყო: სტუდენტთა თვითმმარველობის საქმიანობა დამაკმაყოფილებელია (76%); თვითმმართველობას მეტი აქტიურობა მართებს (8%); მუშაობის გაუმჯობესებაში საჭიროა ადმინისტრაციის მეტი მხარდაჭერა (6%). დანარჩენმა თავი შეიკავა.

## გამოვა რეფერირებული სამეცნიერო ჟურნალი

სპორტის აკადემიაში კიდევ ერთი სიახლეა. ამიერიდან, გამოქვეყნდება რეფერირებული სამეცნიერო ჟურნალი. სარედაქციო კოლეგიაში შევიდნენ პროფესორები: **ჯ. გუგუშვილი** (მთავარი რედაქტორი), **დ. ჩიტაშვილი, გ. ძაგანია, შ. ფაფიაშვილი, მ. მირცხულავა, ჯ. ზალდასტანიშვლი, მ. ტულუში, გ. იაშვილი, ლ. აფციაური, ლ. ბიბილაშვილი**; ასოცირებული პროფესორები **ვ. ბაკაშვილი, ა. ბოკუჩავა, თ. ცხოვრებაძე, თ. ბუაჩიძე, თ. გაჩეჩილაძე**; უფროსი მასწავლებელი **მ. როგავა**.

### ვიქტორინა

1. რომელ ფეხბურთელს უწოდეს "ნაციის ბომბარდირი"?
   - ა - დიეგო მარადონას
   - ბ - მიშელ პლატინის
   - გ - გერდ მიულერს
2. რომელ წელს მიიწვია ნოდარ ახალკაცმა ქუთაისის "ტორპედოდან" თბილისის "დინამოში", ერთდროულად, ოთარ გაბელია, თამაზ კოსტავა და რამაზ შენგელია?
   - ა - 1976 წელს
   - ბ - 1977 წელს
   - გ - 1979 წელს
3. ვის ეკუთვნის სიტყვები: "70-იანი წლების თბილისის "დინამო" ისეთი აწყობილი მექანიზმი იყო, შენ უნდა მორგებოდი".
   - ა - რევაზ ჩელებაძეს
   - ბ - თამაზ კოსტავას
   - გ - რამაზ შენგელიას
4. რომელ წელს შედგა თბილისის "დინამოს" დებიუტი ჩემპიონთა თასზე?
   - ა - 1979 წელს
   - ბ - 1980 წელს
   - გ - 1981 წელს
5. გაიხსენეთ ის ერთადერთი ქართველი ფეხბურთელი, რომელიც ორჯერ დასახელდა სსრ კავშირის საუკეთესო მოთამაშედ.
   - ა- დავით ყიფიანი
   - ბ- რამაზ შენგელია
   - გ- მურთაზ ხურცილავა
6. რომელი წლიდან აწარმოებს ინგლისური ჟურნალი "უორლდ სოკერი" გამოკითხვას მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად?
   - ა - 1979 წლიდან
   - ბ - 1980 წლიდან
   - გ - 1981 წლიდან

პასუხები: 1-გ, 2-ბ, 3-გ, 4-ა, 5-ა, 6-გ

# მთა და ადამიანები

## გიყვარდეთ, მაგრამ... ფრთხილად!





ადამიანისა და მთების ურთიერთობა უხსოვარი დროიდან ვითარდება, მაგრამ ალპინიზმი, როგორც სპორტი, თავისი განვითარების ორას წელიწადზე ცოტა მეტს ითვლის. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი მთებისადმი მოკრძალებული დამოკიდებულება იყო. მთა, მწვერვალი წმინდა ადგილად ითვლებოდა და ადამიანები ერიდებოდნენ ამ სიწმინდის ხელყოფას. მთებისადმი ასეთი კდემამოსილი დამოკიდებულების ტრადიცია თაობიდან თაობას გადაეცემოდა. იგი დღესაც ძალაშია, როგორც მთიან რეგიონებში, ისე ალპინისტურ წრეებში. რაც უფრო მაღალია მთამსვლელის კვალიფიკაცია, მით უფრო საგრძნობია მთებისადმი პატივისცემის გრძნობა, მიუხედავად მთის სიმაღლისა თუ სირთულისა. მაგრამ, რამდენადაც ლამაზი და მიმზიდველია მთა, იმდენად სასტიკი და დაუნდობელია იგი მათ მიმართ, ვინც უგულისყურობას გამოავლენს და მთის მკაცრ კანონებს არ გაითვალისწინებს.

წინამდებარე წერილის იდეა სატელევიზიო რეპორტაჟის ნახვის შემდეგ გამიჩნდა. ერთი შეხედვით უწყინარი სიუჟეტი მოგვითხრობდა თუ როგორ გაატარეს ახალი წლის სადღესასწაულო დღეები მთაში თბილისელი ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა - როგორი წვალებით გადალახეს მათ მყინვარწვერის დათოვლილი ფერდობები სამებიდან მეტეოსადგურამდე და უკან. თითქოს არაფერია განსაკუთრებული - რომანტიკის მოყვარულთ შეუძლიათ საკუთარი შეხედულებისამებრ გაატარონ დასვენების დღეები. მაპატიოს ჩემმა ახალგაზრდა თანამოქალაქეებმა, არ მინდა, მათ გული ვატკინო, მთებთან ასეთ "ზერელე" დამოკიდებულებას ვერ მოვუწონებ, რადგან იგი ძალიან ხშირად ტრაგედიით მთავრდება, ჯაჭვური რეაქციით გადაეცემა საზოგადოებას, ზიანს აყენებს ალპინიზმისა და ალპინისტების ავტორიტეტს, გადარჩენილთა ფსიქოლოგიას. ვისაც ალპინიზმი აინტერესებს - უნდა გაისარჯოს, ოფლი მოიდინოს, სათანადოდ მოემზადოს, საკუთარ სიცოცხლესაც გაუფრთხილდეს და ნურც სხვას ჩააგდებს განსაცდელში; თუ დღესასწაულის ერთად გატარება გსურთ, წაბრძანდით იქ, სადაც ძალაც გეყოფათ და მომზადებაც.

მთაში, ქაოსი დაუშვებელია. დროა, სათანადო უწყებებმაც იზრუნონ ამ საკითხზე.

**ვაჟა მათითაიშვილი,**
საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ასისტენტი, პროფესორი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი

**P.S. თუ ვინმეს ჩემი გაფრთხილება ზედმეტად მოეჩვენება, ვურჩევ, გადახედოს ამ ოციოდე წლის წინანდელი პრესის მასალებს, ან გაესაუბროს იმავე მეტეოსადგურის თანამშრომლებს, გაიგოს რამდენი ტრაგედიის მოწმეა "ზებერი მყინვარი".**

## მასწავლებელი სასკოლო პრაქტიკიდან იწყება

პრაქტიკის მნიშვნელობა მომავალი სპეციალისტის აღზრდაში, ყველასთვის კარგადაა ცნობილი. საერთოდ, ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებაც პრაქტიკაა, რადგან ყოველი დღე გვმატებს გამოცდილებას. სწორედ ეს გამოცდილება ეხმარება ადამიანებს ცხოვრების არსის შეცნობაში.

მომავალი პედაგოგებისთვის კი პრაქტიკა სკოლაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მართალია, მწვრთნელის პრფესიას ვეუფლები, სასკოლო პრაქტიკას მაინც გავდივარ თანაკურსელებთან ერთად. ხუთკვირიანი პრაქტიკა, უდავოდ დაგვეხმარება ბავშვებთან მუშაობის პრინციპებისა და თავისებურებების შეთვისებაში. მეცადინეობას ვატარებ V და VI კლასებთან. ჩვენსა და მოსწავლეებს შორის ასაკობრივი სხვაობა, დიდი არ არის, მაგრამ ჩვენზე უმცროსები მაინც განსხვავებულად აზროვნებენ, განსხვავებული აქვთ ქცევებიც - ჩვენ მათ ასაკში სულ სხვანაირები ვიყავით.

ბავშვების ფსიქოლოგიას არ განვსჯი, მაგრამ ერთს კი ვიტყვი - ოთხი კვირა, რომელიც უკვე გავატარე სკოლაში, საკმარისი აღმოჩნდა მივმხვდარიყავი, რომ თანამედროვე ბავშვებთან მუშაობას არავითარ შემთხვევაში არ მოვინდომებ.

**ნინო რამიშვილი,**
აკადემიის მწვრთნელთა ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი, თბილისის 161-ე საშუალო სკოლის პრაქტიკანტი

## სპორტი და მეცნიერება

მარტის ბოლო დეკადაში დონეცკის ჯანმრთელობის, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ინსტიტუტში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აქტუალურ საკითხებზე

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიიდან კონფერენციაზე მე ვმონაწილეობდი, რისთვისაც მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენი აკადემიის რექტორს, ბ-ნ **ჯემალ გუგუშვილს**.

კონფერენციამ ნაყოფიერად ჩაიარა. საუკეთესო მოხსენებისთვის სპეციალური სერთიფიკატი გადმომეცა. ვიზიტის დროს გაფორმდა ხელშეკრულება საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიასა და დონეცკის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობის შესახებ, ახლახან ანალოგიური ხელშეკრულება გაფორმდა ლვოვის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის უნივერსიტეტთან.

ამრიგად, ჩვენი აკადემია აქტიურად თანამშრომლობს უკრაინის მონათესავე პროფილის სასწავლებლებთან.

**კახა ხარიტონაშვილი,**
პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანის მოადგილე

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიის ვეტერანი თანამშრომელი
**გიორგი საყვარიშვილი**
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## აკადემიის ცხოვრების ფოტოქრონიკა



















# კროსვორდი




თარაზულად: 3. საქართველოს საფეხბურთო კლუბი; 6. წარსულში რიგელი დიდოსტატი, მოჭადრაკე; 8. ყველაზე ტიტულოვანი ქართველი ლეგიონერი ფეხბურთელი; 9. რუსეთის საფეხბურთო კლუბი; 12. წარსულში ცნობილი ქართველი ჩოგბურთელი ვაჟი; 13. "მანჩესტერ იუნაიტედის" ფრანგი თავდამსხმელი; 14. კახა კალაძის თანაგუნდელი ბრაზილიელი ნახევარმცველი; 15. თბილისის "დინამოს" საფეხბურთო გუნდის რუსი მწვრთნელი (1987-88 წლებში); 16. "ოსერის" სენეგალელი ნახევარმცველი; 17. შვეიცარიის საფეხბურთო კლუბი; 19. ლეგენდარული თურქი ფალავანი, მსოფლიო ჩემპიონი (1954) თავისუფალ ჭიდაობაში; 21. შეჯიბრებაში დაწინაურებული; 24. აფხაზი ფეხბურთელი, ახრიკ...; 25. ჰოკეის ნაციონალური ლიგა (შემოკლებით); 26. ქართველი ტყვიით მსროლელი ქალი; 30. საბჭოთა საფეხბურთო ნაკრების კაპიტანი, იგორ...; 31. ინგლისის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის (1966) თილისმა; 32. სასკოლო ტანვარჯიშული ინვენტარი; 33. იაპონიის საფეხბურთო ნაკრების ვეტერანი; 34. ინგლისელი ფეხბურთელი, ლე...; 35. გაფრთხილება ძიუდოში.

შვეულად: 1. რბენა ყველაზე გრძელ დისტანციაზე; 2. საქართველოს სათხილამურო ცენტრი; 3. ადგილი, სადაც იპოდრომია თბილისში გაშენებული; 4. ნაციონალური საკალათბურთო ასოციაცია (შემოკლებით); 5. "ბარსას" ყოფილი ფეხბურთელი; 6. პროფესიონალი მოკრივე; 7. ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარე; 10. მოჭიდავე კურტანიძის ახალი სახელი; 11. გამარჯვების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 17. ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ფარიკაობაში; 18. "ლივერპულის" მთავარი მწვრთნელი; 20. ზღვარგადასული გულშემატკივარი; 21. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი; 22. ვეტერანი არგენტინელი ფეხბურთელი, მეკარე; 23. ხაშურის საფეხბურთო კლუბი; 27. ფეხბურთში 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყანა; 28. იაპონიის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ტანმოვარჯიშე, ოლიმპიური ჩემპიონი (1964); 29. ცხენთა შეჯიბრება სისწრაფეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

ლეგიონერები. მიმოხილვა

# სერგო გამოფხიზლდა, ესტუსა და კახას ჩაექინათ

გასულ კვირაში ქართველთა მონაგარის ძიებისას ჯერ ესპანური მასალები მოვიძიე და გადავწყვიტე, დღევანდელი მიმოხილვა პირენეული ამბებით დამეწყო, შემდეგ იყო ესტონეთის ჩემპიონატის ნახევარფინალები ცინცაძის მონაწილეობით, ბოლოს - ლიტვა და სერგო ათუაშვილი. ბალტიისპირეთში იმდენად საინტერესო რამ მოხდა, რომ ესპანეთიც გვერდზე უნდა გადავდო, იტალიაც და სერგო ათუაშვილით დავიწყოთ.

მისმა "ნეპტუნასმა" ლიტვის ჩემპიონატის ნახევარფინალში "ლიეტუვოს რიტასის" წინააღმდეგ ითამაშა და ორივე მატჩი დათმო. თუმცა ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ სერიის პირველი შეხვედრა ქართველმა ცენტრმა სასტარტო ხუთეულში დაიწყო და სეზონის ორი რეკორდიც გამოაცხო - 24 წუთი ითამაშა და 7 მოხსნა მოაგროვა. არც შეტევისას ყოფილა პასიური - 7-დან 3 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო გამოიყენა და საბოლოოდ 7 ქულას გამორჩა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს გახლდათ სერგოს საუკეთესო მატჩი ბოლო ორი წლის განმავლობაში. იმის იმედიც გვაქვს, რომ ათუაშვილი საქართველოს ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში მოხვდება...

ნახევარფინალის პირველი მატჩი "ნეპტუნასმა" სტუმრად 72:105 დათმო, ხოლო შინ შედარებით "საპატიო" ანგარიშით წააგო - 72:96. განმეორებით შეხვედრაში 222 სმ სიმაღლის ქართველმა ცენტრმა 11 წუთი ითამაშა, ბურთი ორჯერ მოხსნა და ფარქვეშიდან ტყორცნის ერთადერთი მცდელობა შედეგიანად დაასრულა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ლიტვის პირველობის ფინალში ორი გრანდი, "რიტასი" და "ჟალგირისი" გავიდნენ. ხოლო "ნეპტუნასი" ბრინჯაოს მედლისთვის "შიაულიაისთან" იბრძოლებს.



ნიკოლოზ ცქიტიშვილი

### ესტონეთი

ლიტვიდან მეზობლად, ესტონეთში გადავინაცვლოთ, სადაც ჩემპიონატის ნახევარფინალები სამ მოგებამდეა. გასულ კვირას გაცნობეთ, რომ **გიორგი ცინცაძის** "ტარტუ როკმა" სერიის პირველ მატჩში შინ "დალკიას" აჯობა. მეორე შეხვედრა გუშინ "დალკიას" მოედანზე გაიმართა და "როკი" ყველასთვის მოულოდნელად 58:68 დამარცხდა. ტარტუელებმა ვერც პირველ ნახევარში ითამაშეს, მაგრამ მეორე ტაიმი მთლად უსუსურად ჩაატარეს - მხოლოდ 23 ქულა ჩააგდეს.

ცინცაძემ ეს შეხვედრაც სათადარიგოთა სკამიდან დაიწყო და მოედანზე შესულმა დამაჯერებლად ითამაშა: 20 წუთში 4-დან 3 ორქულიანი ჩააგდო, ზედ 2 საჯარიმო მიამატა. გასულ კვირას ისიც მოგახსენეთ, რომ გიორგი "როკის" ხუთეულიდან ამერიკელმა **დევიდ ბეილიმ** ამოაგდო. თუმცა ვერც იმას ვიტყვით, რომ დევიდი სტატისტიკით ჩვენიანს სჯობს. ამ ორი მოთამაშის მონაგარის შედარებაში წუთობრივი მაჩვენებელიც დაგვეხმარება: ორივემ 20 წუთი და 17 წამი ითამაშა. გიორგიმ 8 ქულას 3 მოხსნა და 1 ჩაჭრა მიამატა. ხოლო ბეილიმ 4 ქულა (3-დან 1 ორქულიანი, 2-დან 0 სამიანი), 1 მოხსნა და 4 პასი მიითვალა. სერიის მესამე მატჩი ტარტუში 2 მაისს გაიმართება.

### სლოვენია

მანუჩარ მარკოიშვილი ტრადიციას არ ღალატობს და 10 ქულის ქვემოთ არ ეშვება. "ელექტრასთან" მოგებულ (78:66) მატჩში ქართველმა 27 წუთში 14 ქულა ჩააგდო. თუმცა, ერთი ტრადიციის დარღვევა მაინც მოუწია - წინა ორ შეხვედრაში მას თამაშიდან ყველა ტყორცნა რეალიზებული ჰქონდა, "ელექტრასთან" კი 5-დან 2 ორქულიანი და 4-დან 3 სამიანი გამოიყენა.

სლოვენიის ჩემპიონატი. 10 ტურის შემდეგ. 1. ჰელიოსი - 9 მოგება, **2. ოლიმპია - 8**, 3. სლოვანი - 7, 4. ელექტრა - 6, 5. ზლატოროგი - 4, 6. კრკა - 3, 7. ლოკა - 2, 8. ალპოსი - 1.

### იტალია

სერია A-ს ფლეი ოფების წინ **ვლადიმერ ბოისას** "მონტეპასკი" საუკეთესო ფორმაშია. მისთვის სულერთია შინ და გარეთ გამართული მატჩები და ძლიერი და სუსტი მეტოქეები - თამაშს თამაშზე იგებს.

თუკი სიენელებმა ეს ფორმა ფინალებამდე შეინარჩუნეს, ძნელი სავარაუდოა მანამდე ღირსეული კონკურენტი გამოუჩნდეს. ბოისას კი სერიოზული კონკურენტი ჰყავს - ამერიკელ **სტოუნრუკს** თამაში მისდის თუ არა, მწვრთნელი მაინც დიდხანს ათამაშებს. ვოვა ბოისას კი ხან 12-14 წუთით უწევს დაკმაყოფილება.

ფლეი ოფის ზონაშია **ტაირონ ელისის** "ნაპოლიც". თუ ნეაპოლელებმა ნახევარფინალში გააღწიეს, იოლი სავარაუდოა, მეტოქედ "მონტეპასკი" ერგოთ.

იტალიის ჩემპიონატი. 32 ტურის შემდეგ. **1. მონტეპასკი - 28 მოგება**, 2. რომა - 21, 3. მილანი - 20, 4. ბენეტონი - 20, 5. ვიდივიჩი - 20, **6. ნაპოლი -17**, 7. კანტუ -16, 8. პრემიატა - 16, 9. ვარეზე -16, 10. ბიელა -15, 11. სკაფატი -15, 12. კლიმამიო -13, 13. უპეა - 12, 14. უდინე -12, 15. აველინო - 12, 16. რეჯო ემილია - 12, 17. სივილია - 11, 18. ლივორნო - 9.

### საფრანგეთი

ვახტანგ ნაცვლიშვილის "დიჟონი" სეზონის დასაწყისში სატურნირო ცხრილის ოთხეულში იყო, შემდეგ თამაშს მოუკლო და 12-ეულსაც ჩამოსცილდა. თუმცა, რეგულარული ჩემპიონატის ბოლოს კვლავ მოუმატა და თუ ასე გააგრძელა, შესაძლოა, ხუთეულშიც მოხვდეს. ბოლო მატჩში დიჟონელებმა სტუმრად, ოვერტაიმში "ბეზანსონი" დაამარცხეს - 98:90. ვატო გუნდს 9 წუთში 2 ქულითა და 3 მოხსნით შეეწია.

საფრანგეთის ჩემპიონატი. 32-ე ტური. 1. ნანსი - 24 მოგება, 2. როანი - 22, 3. შალონი - 21, 4. სტრასბური - 21, 5. ლე მანი - 19, 6. ვილერბანი - 19, 7. შოლე - 18, 8. ორლეანი - 17, 9. პო ორტეზი - 17, 10. დიჟონი - 17, 11. გრაველინი - 16, 12. ლე ავრი - 15, 13. კლერმონი - 14, 14. პარიზი - 13, 15. ბეზანსონი - 11, 16. ტულონი -11, 17. ბურჟი - 8, 18. რეიმსი - 5.

### ესპანეთი

გუშინწინ "ვალენსია" "ესტუდიანტესის" მატჩის მსვლელობისას "ევროსპორტის" რუსმა კომენტატორმა საგულისხმო ფრაზა თქვა: *"სტუდენტები დაცვის გარეშე თამაშობენ. ასეთ გუნდს ფლეი ოფში არაფერი ესაქმება"*.

ნიშანდობლივია, რომ ეს "ვალენსიასთან" მატჩში ითქვა, გუნდთან, რომელიც მეოთხედფინალის საგზურის მოპოვებაში "ესტუს" მთავარი კონკურენტი იყო. კვირის მატჩში გამარჯვებით "ვალენსიამ" **ვიქტორ სანიკიძის** გუნდს ორი მოგებით გადაასწრო. რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე კი მხოლოდ სამი ტური რჩება...

გაცილებით უარეს დღეშია **ნიკა ცქიტიშვილის** "კახა", რომელმაც ფლეი ოფში მოხვედრის ყოველგვარი შანსი შინ, "ბილბაოსთან" წაგების შემდეგ დაკარგა. მარცხის მიზეზებზე საუბრისას ნიკას მისამართით აუგის სათქმელად ენა ვერავის მოუბრუნდება, რადგან 14 წუთში 12 ქულა, 3 მოხსნა და 1 პასი გააკეთა. საინტერესოა ისიც, რომ ცქიტომ ამ მცირე დროში 10 ორქულიანის ტყორცნა მოასწრო.

**ესპანეთის ჩემპიონატი**. 32-ე ტური. 1. ტაუ -24, 2. რეალი - 24 მოგება, 3. ბარსელონა - 21, 4. ხუვენტუდი - 21, 5. ხირონა -19, 6. გრან კანარია -18, 7. უნიკახა -17, **8. ვალენსია -17, 9. ესტუდიანტესი - 15, 10. კახა - 14**, 11. ბილბაო - 14, 12. ფუენლაბრადა -13, 13. გრანადა - 12, 14. ალიკანტე -12, 15. ვალიადოლიდი -12, 16. მურსია - 11, 17. მენორკა - 11, 18. ბრუესა - 8.

**ვაჟა სიმონიშვილი**

| მოთამაშე | ტურნირი | თარ. | მატჩი | წ. | მ | პ | ჩ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვატო ნაცვლიშვილი | საფრანგეთი (თ.) | 28.04 | ბეზანსონი-დიჟონი 90:98 | 9 | 3 | 1 | 0 | 2 |
| ვიქტორ სანიკიძე | ესპანეთი (ჩ.) | 28.04 | პამესა-ესტუდიანტესი 91:70 | არ უთამაშია | | | | |
| ნიკა ცქიტიშვილი | ესპანეთი (ჩ.) | 28.04 | კახა-ბილბაო 73:96 | 14 | 3 | 1 | 0 | 12 |
| გიორგი ცინცაძე | ესტონეთი (ჩ.) | 26.04 | როკი-დალკია 88:73 | 17 | 4 | 2 | 2 | 6 |
| | ესტონეთი (ჩ.) | 30.04 | დალკია-როკი 68:58 | 20 | 1 | 4 | 2 | 4 |
| ვლადიმერ ბოისა | იტალია (ჩ.) | 25.04 | მონტეპასკი-მილანი 80:59 | 12 | 6 | 1 | 0 | 1 |
| | იტალია (ჩ.) | 29.04 | პრემიატა-მონტეპასკი 82:89 | 14 | 3 | 0 | 0 | 5 |
| ტაირონ ელისი | იტალია (ჩ.) | 25.04 | ნაპოლი-უდინე 88:96 | 27 | 4 | 3 | 1 | 6 |
| | იტალია (ჩ.) | 29.04 | მილანი-ნაპოლი 99:61 | 25 | 2 | 3 | 1 | 12 |
| მანუ მარკოიშვილი | სლოვენია (ჩ.) | 25.04 | სლოვანი-ოლიმპია 73:69 | 33 | 6 | 5 | 4 | 18 |
| | სლოვენია (ჩ.) | 28.04 | ოლიმპია-ელექტრა 78:66 | 27 | 4 | 2 | 2 | 14 |
| სერგო ათუაშვილი | ლიტვა (ჩ.) | 26.04 | რიტასი-ნეპტუნასი 105:72 | 24 | 7 | 0 | 0 | 7 |
| | ლიტვა (ჩ.) | 28.04 | ნეპტუნასი-რიტასი 72:96 | 11 | 2 | 0 | 0 | 2 |

# ფაჩულია მეოცე ადგილზე

ESPN-მა სეზონის შემაჯამებელი რამდენიმე საინტერესო რეიტინგი შეადგინა, რომელთაგან ერთ-ერთში "ატლანტა ჰოქსისა" და საქართველოს ნაკრების წევრი **ზაზა ფაჩულიაც** მოხვდა. ზაზა ლიგის უძლიერეს ლეგიონერთა შორის მეოცე პოზიციაზე გავიდა.

ფაჩულიამ ისეთ ხალხს გადაასწრო, როგორებიც **ანდერსონ ვარეჟაო, ნენად კრსტიჩი, ბორის დიაო, დარკო მილიჩიჩი, ჰედო თურქოღლუ** და **ხორხე გარბახოსა** არიან. აღნიშნულ რეიტინგში 30-ე ადგილზე წლევანდელი დრაფტის პირველი ნომერი, "ტორონტოს" იტალიელი ვარსკვლავი **ანდრეა ბარნიანი** გავიდა.

პირველი ოცეული ასე გამოიყურება: **1. დირკ ნოვიცკი** (გერმანია), **2. ტიმ დანკანი** (ვირჯინიის კუნძულები), **3. სტივ ნეში** (კანადა), **4. იაო მინი** (ჩინეთი), **5. პაუ გასოლი** (ესპანეთი), **6. მანუ ჯინობილი** (არგენტინა), **7. ტონი პარკერი** (საფრანგეთი), **8. ლუოლ დენგი** (სუდანი-დიდი ბრიტაეთი), **9. მეჰმეთ ოქური** (თურქეთი), **10. ბენ გორდონი** (იამაიკა), **11. ლეანდრო ბარბოსა** (ბრაზილია), **12. ნენე** (ბრაზილია), **13. ანდრეი კირილენკო** (რუსეთი), **14. ჟიდრუნას ილგაუსკასი** (ლიტვა), **15. ანდრეს ნოჩიონი** (არგენტინა), **16. პეჟა სტოიაკოვიჩი** (სერბეთი), **17. ხოსე კალდერონი** (ესპანეთი), **18. ენფრიუ ბოგუტი** (ავსტრალია), **19. ანდრის ბიედრინსი** (ლატვია), **20. ზაზა ფაჩულია** (საქართველო).



ბურთით გიორგი ცინცაძე

# ქართველი ჯადოქარი

**ეს სათაური ჩვენ არ მოგვიფიქრებია - ბალტიის თასის ოფიციალურ საიტზე ამ ფოტოს ერთვის. ეს სურათი ერთ-ერთია იმ ათასს შორის, რომლებიც წლის საუკეთესო ფოტოს ნომინაციაზეა წარდგენილი. ვნახოთ, გაიმარჯვებს თუ არა "ქართველი ჯადოქარი".**

## ცხენოსნობა

# ასპარეზობას იგებს ასპარეზი

თბილისის იპოდრომის ჟოკეი კლუბის მხედარმა **შალვა გაჩეჩილაძემ** და მისმა მერანმა "ასპარეზმა", შეხმატკბილებულად იასპარეზეს და მთავარ ჯილდოსთან ერთად კიდევ ერთი, წარსულში ცნობილი ცხენოსნის, **ავთანდილ კიკიანის** ხსოვნის პრიზი დაისაკუთრეს. დიახ, სპორტში ცხენოსნობა ერთადერთი სახეობაა, სადაც წარმატებისთვის ორი სულიერი არსება ერთად იბრძვის.

შაბათს, დაბრკოლებათა გადალახვაში თბილისის ღია პირველობის და დედაქალაქის თასის გათამაშების ბოლო დღე იყო. როგორც უკვე ვთქვით, მთავარი პრიზი (შეჯიბრება უფროსი ასაკის ცხენებით) შ. გაჩეჩილაძეს ხვდა წილად. მეორე ადგილზე გავიდა საცხენოსნო ესკადრონის მხედარი **როინ მარგიანი** (ცხენი "ზეცა"), მესამე იყო ჟოკეი კლუბის წარმომადგენელი **ივანე ნორაკიძე**, რომელმაც, როგორც ვნერდით, შეჯიბრების პირველ დღეს ახალგაზრდა ცხენებით ასპარეზობაც მოიგო.

ჭაბუკთა ტურნირში **გიორგი თოხაძემ** ორ ცხენზე ("სულგრძელი", "ზული") იასპარეზა და ორივეთი ერთნაირად საუკეთესო შედეგი აჩვენა. მსაჯებმა I და II ადგილები მას მიაკუთვნეს. მესამე პრიზიორი გახდა **ირაკლი კასრაძე** (ცხენი "სარანგი"). ორივე სპორტსმენი ჟოკეი კლუბიდანაა.

საუკეთესო მხედრებისგან შემდგარი საქართველოს ნაკრები ბაქოში გაემგზავრება და მონაწილეობას მიიღებს "კასპიის თასის" გათამაშებაში. ტურნირი 9 მაისს დაიწყება.

**თორნიკე გაჩეჩილაძე**

## ხელბურთი

# ნორვეგიული სემინარი

როგორც იცით, საქართველოს ხელბურთის ასოციაციამ ნორვეგიის ხელბურთის ფედერაციასთან ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმა. მალე ქართულ-სკანდინავიური თანამშრომლობის პირველი ნაბიჯი გადაიდგმება: 10 მაისს, ჩვენი მწვრთნელები – **ირაკლი კეკელიძე** და **მამუკა მჟავანაძე** ოსლოში გაემგზავრებიან, სადაც 15 მაისამდე დარჩებიან და მწვრთნელთა სემინარებში მიიღებენ მონაწილეობას.

ნორვეგიაში წასვლის მსურველები სხვა მწვრთნელებიც იყვნენ, მაგრამ ჩვენი ხელბურთის ასოციაციის ხელმძღვანელობის განმარტებით, მათ ამ ეტაპზე უპირატესობა მიანიჭეს ეროვნული ჩემპიონატის ორი ლიდერი კლუბის თავკაცს - კეკელიძე სტუ-"თელავს" წვრთნის, მჟავანაძე კი "თბილისის" მთავარი მწვრთნელია. ამასთან, ორივე მწვრთნელი ლაპარაკობს ინგლისურად, რაც სემინარებში მინაწილეობას გაუადვილებთ.

ოსლოდან ჩამოსვლის შემდეგ, 18-19 მაისს, ირაკლი კეკელიძისა და მამუკა მჟავანაძის კლუბები ფლეი ოფების საჩემპიონო სერიას დაიწყებენ.

**კობა ხატისაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



NBA. ფლეი ოფი. I წრე

# მაიამიმ თან წაიღო, დირკს კიდევ დაანწევენ

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

**ნ. ჯერსი (6)–ტორონტო (3) 102:81**

32:15, 24:22, 30:19, 16:25

**ნიუ ჯერსი:** ვ. კარტერი (27 ქ. 7 მ. 7 პ), რ. ჯეფერსონი (23 ქ), კიდი (17 ქ. 13 პ. 8 მ. 2 ჩ), ნახბარი (11 ქ).

**ტორონტო:** ბარნიანი (16 ქ. 4 მ. 4 პ. 1 ჩ), ბოში (13 ქ. 10 მ), პი.ჯეი. ფორდი (13 ქ. 5 პ. 3 ჩ).

**სერია 3:1**

**მაიამი (4)–ჩიკაგო (5) 79:92**

28:23, 20:21, 16:24, 15:24

**მაიამი:** უეიდი (24 ქ. 10 პ. 5 მ), შ. ონილი (16 ქ. 7 მ. 2 დ), მურნინგი (14 ქ), ჰასლემი (8 ქ. 10 მ), პოუსი (5 ქ. 18 მ. 2 დ).

**ჩიკაგო:** გორდონი (24 ქ. 4 პ. 3 ჩ), დენგი (22 ქ. 12 მ. 4 ჩ), ბ. უოლასი (13 ქ. 11 მ. 2 პ), ნოჩიონი (11 ქ. 5 მ).

**ჩიკაგომ მოიგო სერია 4:0**

**დასავლეთის კონფერენცია**

**გოლ. სტ. (8)–დალასი (1) 103:99**

21:27, 28:22, 28:28, 26:22

**გოლდენ სტეიტი:** ბ. დევისი (33 ქ. 8 მ. 5 პ. 3 ჩ), ჯ. რიჩარდსონი (22 ქ. 5 მ. 3 ჩ), ს. ჯექსონი (19 ქ. 2 დ), მ. პიეტრუსი (16 ქ. 5 მ).

**დალასი:** სტექჰაუზი (24 ქ. 3 პ), ნოვიცკი (23 ქ. 15 მ. 4 ჩ), ჯოშ ჰოვარდი (22 ქ. 12 მ. 4 პ), ტერი (19 ქ. 5 პ), დიოპი (2 ქ. 13 მ. 5 დ).

**სერია 3:1**

**ლეიკერ. (7)–ფინიქსი (2) 100:113**

28:33, 23:25, 20:27, 29:28

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (31 ქ. 9 პ. 7 მ. 2 ჩ), ოდომი (19 ქ. 13 მ. 5 პ), მ. ევანსი (11 ქ), უოლტონი (10 ქ. 2 ჩ).

**ფინიქსი:** ა. სტაუდმაიერი (27 ქ. 21 მ. 2 ჩ), მერიონი (22 ქ. 11 მ. 2 ჩ), ნეში (17 ქ. 23 პ. 2 ჩ), ბარბოსა (16 ქ. 2 ჩ), ჯ. ჯოუნსი (11 ქ).

**სერია 1:3**

სიმართლე გითხრათ, ნაღდად ვერ ვიხსენებ ბოლოს როდის იყო, რეგულარულის საუკეთესო მოთამაშეს აღნიშნული და ყველაზე პრესტიჟული ინდივიდუალური ჯილდო სადმე შორს, ოჯახთან ან მეგობარ გოგონასთან ერთად დასვენებისას მიეღოს. წელს კი **დონ ნელსონი, ბაირონ დევისი** და არანორმალური "გოლდენ სტეიტის" დანარჩენი წევრები ყველაფერს აკეთებენ და, ალბათ, გააკეთებენ კიდეც, რათა **დირკ ნოვიცკის** უძვირფასესის პრიზი ფლეი ოფის ციებ-ცხელებას მოწყვეტილს გადაეცეს.

დირკი და მისი ამაყი "მავერიქსი" ფლეი ოფს ისე შეხვდნენ, თითქოს პირველი სამი წრე მათთვის არარსებული იყო. რეგულარულს ცუნამივით რომ გადაუარა, **ეივერი ჯონსონის** დალაგებული და შვეიცარიული საათივით აწყობილი "დალასი" ფლეი ოფსაც გრიგალი კატრინასავით დაემუქრა, მაგრამ...

"გოლდენ სტეიტი" ფლეი ოფს ყველანაირი ზეწოლის გარეშე შეხვდა, ბაირონ დევისი კი კარიერაში საუკეთესო კალათბურთს თამაშობს.

დალასში პირველმა გამარჯვებამ "უორიორზს" თვითრწმენა შემატა, მაგრამ იმის წარმოდგენა მაინც რთული იყო, რომ ნოვიცკი, **ჯოშ ჰოვარდი, ჯერი სტექჰაუზი** და **ჯეისონ ტერი** ამ ერთ ბულდოგს დანებდებოდნენ.

მეოთხე შეხვედრაში "დალასი" თითქოსდა, უფრო ახლოს იყო სერიაში ანგარიშის გათანაბრებასთან, ვიდრე - მასპინძელი ორმატჩიანი ფორის მოპოვებასთან, თუმცა, როდესაც სასწორზე დირკის ნიჭი და ბაირონის ცხოველური ინსტინქტი შეაგდეს, მეორემ გადაწონა.

ძირითადის დასრულებამდე 3 წუთითა და 20 წამით ადრე "დალასი" ოთხ ქულას იგებდა. სტექჰაუზმა სამიანი გააფუჭა, დირკმა შეტევაში ბურთი მოხსნა და იმის ნაცვლად, რომ თამაშის ტემპი დაეგდო (დრო "დალასზე" მუშაობდა), გერმანელმა **ანდრის ბიედრინსის** ხელებს ზემოდან ურთულესი სროლით ბურთი "გოლდენ სტეიტს" გადააბარა. მასპინძელთა შეტევა კი ეფექტური ჩატენვით დევისმა დაასრულა.

მერე კი დირკის კიდევ ერთი შეცდომა (ორტარება) და ბაირონის ზედიზედ ორი ფილიგრანული პასი იყო. პირველ შემთხვევაში იმავე ბიედრინსმა მოიგო ორი ქულა, ხოლო შემდეგი შეტევა კი **სტივენ ჯექსონის** ზუსტი საშუალო სროლით დასრულდა.

"გოლდენ სტეიტმა" უცბად, წუთნახევარში გააკეთა 7 ქულა, დევისმა საშუალო მანძილიდან ერთი ზუსტი გასროლაც წაამატა და ნოვიცკის მიერ ბოლო წუთზე ერთმანეთის მიყოლებით ორ ზუსტ სამიანს ბევრი არაფერი შეუცვლია.

მას მერე, რაც პირველ წრეშიც ოთხი მატჩის მოგება გახდა საჭირო, მერვედ განთესილს კონფერენციის პირველი ნომერი არ გამოუგდია. ბოლოს ფავორიტი აუტსაიდერთან 1994-ში დამარცხდა, როდესაც **გარი პეიტონის** (ამ ბებერს მალე შევეხებით), **შონ კემპისა** და **დეტლეფ შრემფის** "სუპერსონიქსმა" ფიასკო "დენვერთან" სერიაში განიცადა.

პირველ ნახევარში შეუდარებელი იყო ჰოვარდი, მაგრამ საწყის 16 წუთში გაკეთებულ 20 ქულას ნიჭიერმა ფორვარდმა დიდი შესვენების მერე მხოლოდ ორი წაუმატა.

ნოვიცკი? საერთო სტატისტიკით თითქოსდა, უნდა წაელეკა ყველაფერი, მაგრამ ბოლო წუთზე ორი ავანტიურული სამიანი ერთი წამით მხედველობაში რომ არ მივიღოთ, დირკს აღნიშნულ შეხვედრაშიც უჭირდა ქულების დაგროვება. ბოლო წუთამდე მისი მონაგარი 16 ქულა იყო და ეს, ისევ და ისევ, დონ ნელსონის მიერ უშეცდომოდ არჩეულმა ტაქტიკამ განაპირობა. ბაირონი კი ბოსია, რომელიც მთავარია, არც თვითონ ჩავარდეს ეიფორიაში და არც მის თანაგუნდელებს გაუჩნდეთ იმის ილუზია, რომ "დალასის" ბარიერი 100 პროცენტითაა გადალახული.

■ ■ ■

დღევანდელი "ჩიკაგო" რალაცით 2003/04 წლების ფორმაციის "დეტროიტს" წააგავს. მიჩიგანელთა მაშინდელ თანავარსკვლავედს სათავეში **ლარი ბრაუნი** ედგა და გუნდმა ფლეი ოფი ერთი ამოსუნთქვით, დომინანტურად განვლო, ფინალში კი **შაკის, კობი ბრაიანტის, კარლ მელოუნისა** და მანამდე ნახსენები პეიტონის "ლეიკერსი" გაანადგურა.

ამ "ბულზს" არ ჰყავს **ჩონსი ბილაპსი**, მაგრამ ილინოისელთა განკარგულებაში **კირკ ჰაინრიხია**, რომელიც ჩონსის გამოცდილებით თუ ჩამოუვარდება, წმინდა სათამაშო ნიუანსებითა და განსაკუთრებით, დაცვაში ერთი ერთზე თამაშით კირკი ბილაპსზე ძლიერია.

მაშინდელი "დეტროიტის" არ იყოს, დღევანდელ "ჩიკაგოშიც" ცენტრად **ბენ უოლასია**, მის ფონზე კი შაკი უკვე აღარ მოჩანს ქულა-მოხსნის მანქანად, რომელიც ფლეი ოფში რეგულარულზე გაცილებით სახიფათო და ძნელად პროგნოზირებადი იყო.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, "ბულზმა" პირველივე წრეში ფლეი ოფის მთავარი სენსაცია დააფიქსირა და მოქმედი ჩემპიონი "მაიამი" თავის ვარსკვლავ მწვრთნელთან ერთად, დამსახურებულ პენსიაზე ერთი მატჩის მოუგებლად გაუშვა.

დაბერებული და მოტივაციადაკარგული "ჰიტი" "ჩიკაგოსთან" მთელი სეზონის განმავლობაში საგვემ მასალად უფრო მოჩანდა, ვიდრე იმ გუნდად, რომელმაც შარშანდელ ფლეი ოფში ყველა პროგნოზსტერეოტიპი დაამსხვრია და ჯერ "დეტროიტი", შემდეგ კი "დალასი" დააჩოქა.

სწრაფი და იღბლიანი "ბულზი" "მაიამის" ყველა სათამაშო კომპონენტში დიდ ფორას აძლევდა.

**დუეინ უეიდი** ჯანმრთელი რომ ყოფილიყო, მეტი ბრძოლა და ინტრიგა დაიდებოდა საამსერიო საინზე, მაგრამ შარშანდელი ფლეი ოფის გმირმა ფორსირებულად გამოჯანმრთელება მოინდომა და პირველი წრის ჯახებში საკუთარი თავის აჩრდილს წააგავდა.

სერიის ბოლო მატჩში შაკმა შვიდივე საჯარიმო გააფუჭა, **ალონზო მურნინგმა** კი ამდენივე იდენტური სროლიდან მხოლოდ ორი გამოიყენა.

უეიდმა 10 ზუსტი პასი კი გააკეთა, მაგრამ ყველაფერი ეს 7 შეცდომით გააფერმკრთალა, 3 შეცდომა კი ფლორიდელთა სუპერვარსკვლავმა ბოლო 4 წუთში დაუშვა.

**ლუოლ დენგი** სერიაში საშუალოდ 26.3 ქულასა და 9.1 მოხსნას აგროვებდა, სროლების 58 პროცენტი გამოიყენა და ერთხელაც არ უსვრია სამიანი.

**ბენ გორდონის** საშუალო მონაგარი 25.5 ქულა იყო. მან სამიანების 40 პროცენტი შეასრულა ზუსტად და ოთხ შეხვედრაში თავის გუნდში ყველაზე მეტი, 22 ზუსტი პასი ჩამოურიგა პარტნიორებს.

**ანდრეს ნოჩიონიმ** "ცოცხალი" სროლების მხოლოდ 37 პროცენტი შეირგო, მაგრამ 19 სამიანიდან 9 ზუსტად შეასრულა.

ბენ უოლასი, რომელიც შარშანდელ ფლეი ოფში საჯარიმოებს კატასტროფული, 27-პროცენტიანი სიზუსტით ასრულებდა, ბოლო მატჩში შეუდარებელი იყო და 8-დან 7 ტყორცნა გამოიყენა.

სერიის მსვლელობისას "ჩიკაგო" ერთ მატჩში საშუალოდ "მაიამიზე" 6 მოხსნით მეტს უყრიდა თავს.

საკმარისია?

ალბათ, კი, მაგრამ ამ სერიამ ასეც არ გაგვცა პასუხი კითხვაზე - დაბრუნდება თუ არა მომდევნო სეზონში **პატ რაილი** "მაიამის" მთავარ მწვრთნელად, თუ ამ თანამდებობაზე **სტენ ვან განდის** ვიხილავთ?

შაკი? ონილმა მორიგი ფიასკო განიცადა. ყველა დროის მეფლეიოფეთა შორის ერთ-ერთმა უდიადესმა ვარსკვლავმა მეხუთედ ისე დაასრულა სერია, რომ მისმა გუნდმა ერთი მატჩიც ვერ მოიგო. შაკი სამჯერ მშრალზე "ორლანდოში" (1994-96) ყოფნისას შერცხვა, ორჯერ იგივე მის "ლეიკერსს" (1998-99) დაემართა, ახლა კი "ჰიტის" დროც დადგა.

დაბოლოს, იმასაც გეტყვით, რომ ფლეი ოფის ისტორიაში წინა წლის ჩემპიონი მომდევნო სეზონში მშრალად სულ ექვსჯერ დამარცხებულა და სამჯერ ამ გუნდებს პატ რაილი ედგა სათავეში. 1983-ში დიდი გურუს "ლეიკერსს" "ფილადელფიამ" აჯობა, 1989-ში კი მეჯიქ ჯონსონის შოუ თაიმი **აიზია ტომასის** დაუნდობელმა და ხისტმა "დეტროიტმა" მოსპო.

**ზურაბ თალაკვაძე**




მთელი სერიის ანარეკლი: ჩიკაგო მაიამიზე მაღლა იდგა






დი ლუკა ფინიშზე

პრო ტური

# დი ლუკამ შამპანურის გემო გაიხსენა

მძლავრი შეტევა ფინიშამდე ოთხი კილომეტრით ადრე, საკმარისი გამოდგა იმისთვის, რომ პრო ტურის სერიის პირველ ჩემპიონს, იტალიელ **დანილო დი ლუკას** ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟის ურთულესი კლასიკური რბოლა მოეგო.

დი ლუკას შეტევას ყველაზე აქტიურად რბოლის შარშანდელი ჩემპიონი, ესპანელი **ალეხანდრო ვალვერდე** და ლუქსემბურგელი **ფრანკ შლეკი** გამოეპასუხენ. განსაკუთრებით ეს უკანასკნელი ცდილობდა იტალიელის დაწევას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა - ფინიშის სწორზე გასულს, ფეხებში სპაზმა დაეწყო და საბოლოოდ, მესამე ადგილს დასჯერდა.

დი ლუკამ კი კიდევ უფრო გაზარდა ტემპი და ეულად გადაკვეთა ფინიშის ხაზი. მან პირველად მოიგო პრესტიჟული რბოლა, რომელიც 93-ედ ჩატარდა. არადა, თურმე ნუ იტყვით და ბოლო კილომეტრზე სპაზმებს ისიც შეუწუხებია.

*"ბოლო კილომეტრს რომ შევუდექი, ფეხები საშინლად ამტკივდა. მეგონა, ფინიშამდე ვერც მივაწევდი, მაგრამ შემდეგ ყურადღება მთლიანად რბოლაზე გადავიტანე და ამან გაჭრა. ვიცოდი, რომ მოგების რეალური შანსი მქონდა. ოღონდ, ძალები არ უნდა დამეზოგა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ლიდერობას ვინმე სხვა ჩამომართმევდა - მდევრებს შორის ხომ არაერთი ძლიერი ველომრბოლი მეგულებოდა", -* ნარბოლევს განაცხადა იტალიელმა, ვისაც ბოლოს დიდი კლასიკური ორი წლის წინათ (ამსტელის რბოლა) ჰქონდა მოგებული.

*"ყველამ იცოდა, რომ რბოლის ფავორიტი ვიყავი და სწორედ ამან გამირთულა საქმე. დანილომ რომ შეტევა დაიწყო, გავიფიქრე, რომ თუ არ ვუპასუხებდი, მერე გვიან იქნებოდა. ცოტა მოცდა ვარჩიე, მაგრამ აჩქარება დამიგვიანდა. რას ვიზამ, ხდება ხოლმე",* - განაცხადა ვალვერდემ. შლეკმა კი თავისი მესამე ადგილითაც კმაყოფილება გამოთქვა - ამსტელის რბოლისას ნეკნი მოვიტეხე და აქ რომ მესამე ვარ, ესეც დიდი მიღწევააო.

ამსტელის რბოლის მომგებმა, გერმანელმა **შტეფან შუმახერმა** ამჯერადაც სცადა გაბრძოლება. ფინიშამდე ოცი კილომეტრით ადრე, მან შეტევა დაიწყო, თუმცა ფავორიტთაგან მანამ არავინ უპასუხა, სანამ ბოლო ალმართი (სენ ნიკოლას მთა) დაიწყებოდა.

მდევრებმა რომ შუმახერის დაწევა შეძლეს, ეს პირველ რიგში, იტალიელი **პაოლო ბეტინის** დამსახურება იყო, მაგრამ ამან დი ლუკას შეტევას ველარ უპასუხა და საბოლოოდ, მეოთხე ადგილს დასჯერდა.

დაბოლოს, გუშინ "გაძეტა დელო სპორტმა" გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ "ოპერასიონ პუერტოში" მოხსენიებულ ველომრბოლთა სიას კიდევ 49 სუბიექტი შეემატა. საქმის მასალები კი 500-დან 6000 ფურცლამდე გაიზარდა. იტალიური სპორტული გამოცემა არ აკონკრეტებს ახალ სიაში შესული ველომრბოლების ვინაობას, თუმცა პუბლიკაციის ავტორი ირწმუნება, რომ მათ შორის რამდენიმე ცნობილი სპორტსმენია. თანაც, ველომრბოლთა გარდა, სიაში სხვა სპორტსმენებიც არიან მოხსენიებულნი. სულ, ესპანელ ექიმ **ეუფემიანო ფუენტესის** "შავ სიაში" დაახლოებით 200 სპორტსმენის სახელი ფიგურირებს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

**ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟის კლასიკური (262 კმ)**

1. დანილო დი ლუკა (იტალია, ლიკიგაზი) 6:37.24 (39.56 კმ/სთ); 2. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 0.03; 3. ფრანკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) 0.03; 4. პაოლო ბეტინი (იტალია, ქვიკსტეპი) 0.06; 5. დავიდე რებელინი (იტალია, გეროლშტაინერი) 0.06; 6. მიხაელ ბოოგერდი (ჰოლანდია, რაბობანკი) 0.07; 7. დამიანო კუნეგო (იტალია, ლამპრე) 0.09; 8. მათიას კესლერი (გერმანია, ასტანა) 0.09; 9. ხუან ხოსე კობო (ესპანეთი, სონიე დიუვალი) 0.09; 10. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, T-მობილი) 0.09...

**პრო ტურის კლასიფიკაცია**

1. დავიდე რებელინი (იტალია, გეროლშტაინერი) 157 ქულა; 2. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 107; 3. დანილო დი ლუკა (იტალია, ლიკიგაზი) 100; 4. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, რაბობანკი) 82; 5. სტიუარტ ო'გრეიდი (ავსტრალია, CSC) 79; 6. შტეფან შუმახერი (გერმანია, გეროლშტაინერი) 75; 7. ფრანკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) 63; 8. ხუან ხოსე კობო (ესპანეთი, სონიე დიუვალი) 62; 9. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, დისქავერი ჩენელი) 58; 10. ტომ ბოონენი (ბელგია, ქვიკსტეპი) 57...

ბეისბოლი

## ტრაგედია ჩემპიონთა რიგებში

ბეისბოლის ლიგის (MLB) მოქმედი ჩემპიონის, "სენტ ლუის კარდინალსის" მოთამაშე - **ჯოშ ჰენკოკი** ავტოკატასტროფაში დაიღუპა. როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, ბეისბოლისტმა საკუთარ მანქანაზე კონტროლი დაკარგა და სატვირთო ავტომანქანას შეეჯახა.

სხვათა შორის, "სენტ ლუისმა" ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, მეორე ბეისბოლისტი დაკარგა. 2002 წელს, არტერია გაუსკდა და დაიღუპა ამ გუნდის კიდევ ერთი წევრი - **დერილ კილი**.

ჰენკოკის ტრაგედიასთან დაკავშირებით, "კარდინალსის" მორიგი კალენდარული მატჩი "ჩაკაგო კაბსთან" მოგვიანებით გაიმართება.

კალათბურთი

## შარლოტმა მწვრთნელი იპოვნა?

ცნობილი საკალათბურთო სპეციალისტი, 63 წლის **პოლ სილასი** შესაძლოა, "შარლოტ ბობკეტსის" მთავარი მწვრთნელი გახდეს - წერს Sports Illustrated.

სილასი 2005 წლის შემდეგ უმუშევარია. ორი წლის წინათ ის "კლივლენდ კავალიერსის" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვეს.

თუ "შარლოტის" ბოსები და სილასი კონტრაქტის პირობებზე შეთანხმდნენ, ეს გამოცდილი სპეციალისტი **ბერნი ბიკერსტაფის** ადგილს დაიკავებს, რომელმაც დატოვა მთავარი მწვრთნელის პოსტი, მაგრამ "შარლოტის" სტრუქტურაში დარჩა სამუშაოდ.

თუმცა, სილასთან დაკავშირებით საბოლოო სიტყვა, "ბობკეტსის" თანამფლობელ **მაიკლ ჯორდანს** ეკუთვნის - სწორედ ის წყვეტს მსგავს საკითხებს. ამბობენ, რომ "შარლოტის" დამრიგებელი შეიძლება ამ სეზონში საუკეთესო მწვრთნელად აღიარებული **სემ მიტჩელიც** გახდეს, რომლის კონტრაქტსაც "ტორონტოსთან" ამ სეზონის შემდეგ გასდის ვადა.

## ჰოკეი

NHL. ფლეი ოფი. კონფერენციების 1/2 ფინალი

# ვანკუვერმა ძალით წააგო

### აღმოსავლეთი

**რეინჯერ. (6)–ბაფალ. (1) 2:1 (2ო)**

0:0, 1:0, 0:1, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 იაგრი-3 (სტრაკა-5, მალიკი-3), 1:1 ბრიერი-2 (ქონოლი-5, ბ. კემპბელი-4), 2:1 როჟსივალი-3 (ნიულანდერი-6, მარსელ ჰოსა-2).

**სერია 1:2**

ეს გუნდები რეგულარულ ჩემპიონატში ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ოთხივეჯერ გამარჯვება "ბაფალოს" მხარეს იყო (სხვათა შორის, ამ ოთხიდან სამი მატჩის ბედი ბულიტების სერიით გადაწყდა). სულ, "სეიბრზს" ზედიზედ ექვსჯერ ჰქონდა მოგებული "რეინჯერსისთვის". ამას გარდა, ზედიზედ ხუთი მოგება იყო "ბაფალოს" აქტივში ნიუიორკული კლუბების წინააღმდეგ - ფლეი ოფის პირველ წრეში, რეგულარულის ჩემპიონის მეტოქე "ნიუ იორკ აილენდერსი" გახლდათ.

ეს ფაქტები იმაზე მოწმობენ, რომ ნიუიორკელებს უჭირთ "ბაფალოს" წინააღმდეგ თამაში, მაგრამ ამჯერად, "რეინჯერსმა" ნავსი გატეხა და სერიაში სხვაობა შეამცირა.

გამარჯვებულის გამოსავლენად ორი ოვერტაიმის ჩატარება გახდა საჭირო. შეხვედრა კიდევ უფრო დიდხანს გაგრძელდებოდა, რომ არა სტუმართა მეკარის - **რაიან მილერს** შეცდომა, რომელმაც **მიხალ როჟსივალის** მიერ თითქმის ცისფერი ხაზიდან დარტყმული შაიბა გაუშვა.

არადა, სწორედ მილერისა და მისი ვიზავის - **ჰენრიკ ლუნდკვისტის** დამსახურებაა ის, რომ მატჩი ამდენი ხანი გაგრძელდა. საბოლოო ჯამში, მასპინძელთა კარის დარაჯმა 38 დარტყმა მოიგერია, მილერმა კი, უფრო მეტი - 46 დარტყმა.

სტენლის თასზე თავისი საიუბილეო, 70-ე შაიბა გაიტანა ვეტერანმა ჩეხმა - **იარომირ იაგრმა**. ამ მაჩვენებლით, ის მოქმედ ჰოკეისტებს შორის მეორე ადგილზეა. იაგრის წინ მხოლოდ კოლორადოელი **ჯო საკიკია** (82 გოლი), რომელიც წელს ვერ მოხვდა ფლეი ოფში.

### დასავლეთი

**ვანკუვერი (3)–ანაჰაიმი (2) 2:3**

1:1, 1:1, 0:1

**გოლები:** 0:1 პენერი-2 (პერი-3), 1:1 ნესლუნდი-3 (ოლუნდი-3, ბ. მორისონი-3), 1:2 ბოშემენი-3 (კუნიტცი-4, პრონგერი-6), 2:2 დ. სედინი-2 (პიატი-4, კრაიჩეკი-2), 2:3 პერი-2 (პრონგერი-7, ე. მაკდონალდი-2).

**სერია 1:2**

"ვანკუვერმა" საკუთარ თავს უნდა დააბრალოს ეს წაგება. გუნდს, რომელსაც მატჩში ორჯერ წუთზე მეტ ხანს ყინულზე ორკაციანი უპირატესობა ექნება და ამ შანსს ვერ გამოიყენებს, ის ნამდვილად წაგების ღირსია.

პირველი შემთხვევა საწყის პერიოდში დაფიქსირდა, როცა "ანაჰაიმს" ორი საუკეთესო მცველი - **კრის პრონგერი** და **სკოტ ნიდერმაიერი** ჰყავდა გაძევებული, მაგრამ წუთისა და 23 წამის განმავლობაში, მასპინძლებმა მხოლოდ 1 ზუსტი დარტყმა შეასრულეს.

სტუმრები მეორედ 3 კაცით თავს მესამე პერიოდში, 1:1-ზე იცავდნენ და ამჯერადაც არ გაახარეს "კენაქსი". ამ წუთნახევრიან მონაკვეთს მასპინძელთა კიდევ ერთი რიცხობრივი უპირატესობა მოჰყვა. კვლავ უშედეგო შეტევები და საბოლოოდ, ასეთი გულუხვი საჩუქარი "ანაჰაიმმა" კარგად შეირგო. მესამე პერიოდის მერვე წუთზე, **კორი პერიმ** ახლო მანძილიდან აილო **რობერტო ლუონგოს** კარი.

სულ "ვანკუვერს" რვაჯერ ჰქონდა რიცხობრივი უპირატესობა და შვიდჯერ შანსი ხელიდან გაუშვა, სამაგიეროდ, "იხვებმა" ხუთიდან ორ შემთხვევაში კარგად გაითამაშეს ზედმეტი ჰოკეისტი. წლევანდელ სტენლის თასზე "კენაქსს" რიცხობრივი უპირატესობის გამოყენების საშინელი პროცენტი აქვს - 58-დან 4 გოლი (!).

თუმცა, გუშინდელი შედეგი მარტო მასპინძლების უნიათობას არ უნდა დავაბრალოთ. ბრწყინვალედ თამაშობდა "ანაჰაიმის " კარში **ჟან-სებასტიან ჟიგერი**, რომელმაც რამდენიმე ეპიზოდში "მკვდარი" შაიბა მოიგერია. მაგალითად, საწყის 2 წუთში 4 ბრწყინვალე სეივი განახორციელა, ხოლო ბოლო წამებზე, სამჯერ გადაარჩინა თავისიანები აშკარა გოლს.

პირველ პერიოდში, "ანაჰაიმის" თავს უცნაური ამბები ხდებოდა. შედეგიანი შეტევითი ხაზით განთქმულმა გუნდმა, საწყის 20 წუთში მხოლოდ 2 (!) ზუსტი დარტყმა შეასრულა, სამაგიეროდ, აქედან ერთი გოლად აქცია - **პენერის** დარტყმისას აშკარა შეცდომა დაუშვა ლუნოგომ.

და კიდევ ერთი უცნაური ფაქტი, რომელიც ამ შეხვედრაში დაფიქსირდა - სტუმრების საუკეთესო ფორვარდმა, **ტეემუ სელიანემ** მატჩი ზუსტი დარტყმის გარეშე დაასრულა. თუმცა, ამას "იხვებისთვის" გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონია - "ანაჰაიმმა" მოიგო და საკუთარი მოედნის უპირატესობა დაიბრუნა.



იაგრი საიუბილეო შაიბას ზეიმობს

## ჩოგბურთი

### რეიტინგები

**ATP-ის რეიტინგი**

| | |
|---|---|
| 1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 7290 |
| 2(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 4875 |
| 3(3). ენდი როდიკი (აშშ) | 2980 |
| 4(4). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 2825 |
| 5(6). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 2595 |
| 6(7). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 2535 |
| 7(5). ტომი რობრედო (ესპ) | 2445 |
| 8(8). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 2220 |
| 9(9). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2150 |
| 10(10). ენდი მარეი (ბრიტ) | 2120 |
| 11(11). ტომი ჰაასი (გერ) | 2100 |
| 12(12). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 1905 |
| 13(14). დავიდ ნალბანდიანი (არგ) | 1840 |
| 14(13). მარიო ანჩიჩი (ხორ) | 1775 |
| 15(15). რიშარ გასკე (საფ) | 1745 |
| 16(16). დავიდ ფერერი (ესპ) | 1725 |
| 17(17). მიხაილ იუჟნი (რუს) | 1575 |
| 18(18). ხუან კარლოს ფერერო (ესპ) | 1325 |
| 19(19). მარკოს ბაღდატისი (კვი) | 1320 |
| 20(20). ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) | 1250 |

**WTA-ს რეიტინგი**

| | |
|---|---|
| 1(1). ჟუსტინ ანენ-არდენი (ბელ) | 3859 |
| 2(2). მარია შარაპოვა (რუს) | 3388 |
| 3(3). ამელი მორესმო (საფ) | 2776 |
| 4(4). კიმ კლაისტერსი (ბელ) | 2699 |
| 5(5). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 2667 |
| 6(6). მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 2294 |
| 7(7). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 2257 |
| 8(8). ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 1957 |
| 9(9). ნადია პეტროვა (რუს) | 1869 |
| 10(10). დინარა საფინა (რუს) | 1863 |
| 11(11). ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 1847 |
| 12(12). სერენა უილიამსი (აშშ) | 1770 |
| 13(13). ელენა დემენტიევა (რუს) | 1635 |
| 14(14). დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 1616 |
| 15(15). ანა ივანოვიჩი (სერ) | 1525 |
| 16(16). შაარ პეერი (ისრ) | 1508 |
| 17(17). ნა ლი (ჩინ) | 1432 |
| 18(18). ტატიანა გოლოვინი (საფ) | 1390 |
| 19(18). პატი შნიდერი (შვეიც) | 1337 |
| 20(20). ვერა ზვონარევა (რუს) | 1253 |

**ATP-ის საჩემპიონო რბოლა**

| | |
|---|---|
| 1(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 365 |
| 2(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 346 |
| 3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 287 |
| 4(4). ენდი მარეი (ბრიტ) | 212 |
| 5(5). ენდი როდიკი (აშშ) | 210 |
| 6(6). ტომი ჰაასი (გერ) | 209 |
| 7(7). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 195 |
| 8(11). დავიდ ფერერი (ესპ) | 172 |
| 9(8). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 171 |
| 10(15). გილერმო კანიასი (არგ) | 162 |
| 11(9). მიხაილ იუჟნი (რუს) | 159 |
| 12(10). ხუან იგნასიო ჩელა (არგ) | 158 |
| 13(13). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 140 |
| 14(12). ტომი რობრედო (ესპ) | 132 |
| 15(15). ხუან კარლოს ფერერო (ესპ) | 121 |
| 16(16). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 119 |
| 17(17). რიშარ გასკე (საფ) | 110 |
| 18(18). რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 106 |
| 19(20). კარლოს მოია (ესპ) | 101 |
| 20(19). მარდი ფიში (აშშ) | 99 |

**WTA-ს საჩემპიონო რბოლა**

| | |
|---|---|
| 1. სერენა უილიამსი (აშშ) | 1531 |
| 2. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 1430 |
| 3. ჟუსტინ ანენი (ბელ) | 1050 |
| 4. მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 1036 |
| 5. მარია შარაპოვა (რუს) | 1030 |
| 6. კიმ კლაისტერსი (ბელ) | 985 |
| 7. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 937 |
| 8. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 936 |
| 9. ტატიანა გოლოვინი (საფ) | 865 |
| 10. დინარა საფინა (რუს) | 851 |
| 10. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 851 |
| 12. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 850 |
| 13. შაარ პეერი (ისრ) | 827 |
| 14. ამელი მორესმო (საფ) | 825 |
| 15. ნადია პეტროვა (რუს) | 816 |
| 15. ანა ივანოვიჩი (სერ) | 816 |
| 17. ნა ლი (ჩინ) | 742 |
| 18. ვერა ზვონარევა (რუს) | 637 |
| 19. სიბილ ბამერი (ავსტრია) | 600 |
| 20. ლუსი საფაროვა (ჩეხ) | 540 |

**ფულადი მონაგარი**

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 1 560 370 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპ) | 1 152 320 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 1 029 890 |
| 4. ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 587 630 |
| 5. ტომი ჰაასი (გერ) | 584 790 |
| 6. ენდი როდიკი (აშშ) | 540 640 |
| 7. ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 538 445 |
| 8. ენდი მარეი (ბრიტ) | 530 955 |
| 9. მიხაილ იუჟნი (რუს) | 504 860 |
| 10. ხუან იგნასიო ჩელა (არგ) | 393 200 |
| 11. გილერმო კანიასი (არგ) | 385 500 |
| 12. ბობ ბრაიანი (აშშ) | 385 335 |
| 12. მაიკ ბრაიანი (აშშ) | 385 335 |
| 14. დავიდ ფერერი (ესპ) | 329 250 |
| 15. ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 321 330 |
| 16. ტომი რობრედო (ესპ) | 300 190 |
| 17. რიშარ გასკე (საფ) | 263 080 |
| 18. ხუან კარლოს ფერერო (ესპ) | 261 515 |
| 19. რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 256 010 |
| 20. ტომაშ ბერდიჩი (ჩეხ) | 241 480 |

**ფულადი მონაგარი**

| | |
|---|---|
| 1. სერენა უილიამსი (აშშ) | 1 445 403 |
| 2. ჟუსტინ ანენი (ბელ) | 724 805 |
| 3. მარია შარაპოვა (რუს) | 575 677 |
| 4. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 561 453 |
| 5. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 531 437 |
| 6. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 487 716 |
| 7. მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 483 539 |
| 8. კიმ კლაისტერსი (ბელ) | 406 929 |
| 9. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 382 176 |
| 10. შაარ პეერი (ისრ) | 344 654 |
| 11. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 327 274 |
| 12. ამელი მორესმო (საფ) | 316 894 |
| 13. ლიზელ ჰუბერი (ს.აფრ) | 290 318 |
| 14. ნადია პეტროვა (რუს) | 284 901 |
| 15. სამანტა სტოსური (ავტრა) | 284 182 |
| 16. ნა ლი (ჩინ) | 279 497 |
| 17. კარა ბლეკი (ზიმ) | 279 101 |
| 18. დინარა საფინა (რუს) | 273 448 |
| 19. ტატიანა გოლოვინი (საფ) | 261 983 |
| 20. ვერა ზვონარევა (რუს) | 243 425 |

## TV სპორტი

### 1 მაისი. სამშაბათი

**რუსთავი 2**

22:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლივერპული-ჩელსი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ინგლისის ჩემპიონატი. რედინგი-ნიუკასლი.
14:15 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:15 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:30 პორტუგალიის ჩემპიონატი. ბენფიკა-სპორტინგი.
18:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
18:40 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
19:10 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:10 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:25 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლივერპული-ჩელსი (LIVE).

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:00 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ბენფიკა-სპორტინგი.
09:00 სპორტკლუბი.
10:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-რეალი.
11:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:40 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. ბუდაპეშტი. უნგრეთი.
14:15 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
14:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:40 მინი-მოედანი.
15:55 სპორტული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი. ამსტერდამი. ჰოლანდია.
20:25 ჰოკეი. სტენლის თასი.
22:10 ჰოკეი. სტენლის თასი. დღის მიმოხილვა.
22:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლივერპული-ჩელსი (LIVE).
00:45 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
01:45 ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი.
03:30 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-რეალი.
05:15 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
06:10 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
06:35 ჰოკეი. სტენლის თასი.

**EUROSPORT**

09:30 ექსტრემალური სპორტი.
10:00 მულტისპორტი.
11:15 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
12:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
15:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. მანჩესტერ იუნ-მილანი (LIVE).
16:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
19:30 კრივი. მ. ორალი (გერმანია)-დ. სპადა (იტალია). ჰამბურგი. გერმანია.
21:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
00:00 პოკერი. ევროტური. ბადენი. ავსტრია.
01:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი.

**EUROSPORT-2**

08:30 ახალი ამბები.
11:00 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ესტუდიანტესი.
12:00 ხელბურთი. EHF-ის თასი. ფინალი. საპასუხო მატჩი. მაგდებურგი (გერმანია)-არაგონი (ესპანეთი).
13:00 ახალი ამბები.
15:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ფინალი. საპასუხო მატჩი. კილი (გერმანია)-ფლენსბურგი (გერმანია).
16:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ეშტორილი. პორტუგალია (LIVE).
17:45 არენა ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ფილადელფია.
19:00 ახალი ამბები.
19:30 ექსტრემალური სპორტი.
20:00 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
20:30 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ანტიგუა. გვატემალა.
21:00 ახალი ამბები.
21:30 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. ასენი. ჰოლანდია.
23:00 არენა ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ფილადელფია.
00:00 ახალი ამბები.
00:15 პრო-რესტლინგი.
01:15 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ჰოკეი**

**მსოფლიო ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| შვეიცარია-იტალია | 2:1 |
| სლოვაკეთი-გერმანია | 5:1 |
| კანადა-ნორვეგია | 4:2 |
| ლატვია-შვედეთი | 2:8 |

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| რედინგი-ნიუკასლი | 1:0 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ესენი-პანზა | 0:0 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| კაენი-გენიონი | 1:1 |
| **პორტუგალია** | |
| აკადემიკა-ბრაგა | 0:1 |
| **შოტლანდია** | |
| სტ. მირენი-დანფერმლაინი | 0:1 |
| **ნორვეგია** | |
| ლილესტრიომი-ლინი | 3:1 |
| **შვედეთი** | |
| ერებრუ-ტრელებორგი | 2:0 |
| გეფლე-გაის | 1:0 |
| გიოტებორგი-ჰალმსტადი | 1:1 |
| **ფინეთი** | |
| იარო-მარიეჰამნი | 1:1 |
| **ჩეხეთი** | |
| ბანიკი-სპარტა | 2:2 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. ეშტორილი** | |
| დელ პოტრო-ფალა | 1:6, 6:2, 6:4 |
| ჯოკოვიჩი-ანდრეევი | 6:2, 4:6, 7:6 |
| მონაკო-მონფილსი | 7:5, 1:6, 6:2 |
| ვენტურა-როიტმანი | 7:5, 6:2 |
| მარტინი-კოროლიოვი | 6:1, 6:0 |
| რამირეს იდალგო-ჟილი | 1:6, 6:4, 3:6 |
| **ATP. მიუნხენი** | |
| ო. როხუსი-მელცერი | 2:6, 4:6 |
| ბაღდატისი-ჰარტფილდი | 7:6, 6:3 |
| კოლშრაიბერი-კლემანი | 6:2, 7:6 |
| იუჟნი-კუბეკი | 6:4, 3:6, 6:1 |
| ვასალო არგელო-ლი | 7:6, 6:4 |
| ფერკერკი-ბრანდსი | 6:7, 3:6 |
| **WTA. ეშტორილი** | |
| როდიონოვა-პუჩკოვა | 3:6, 6:4, 6:7 |
| საფაროვა-რეზაი | 7:6, 7:5 |
| ლაგოსტერა ვივესი-ნოგეირა | 6:1, 7:6 |
| რაზანო-აზარენკა | 6:7, 5:7 |
| **WTA. ვარშავა** | |
| სანტანჯელო-ბრემონი | 6:2, 6:3 |
| ჩაკვეტაძე-კრეიბასი | 7:6, 7:5 |
| პეტროვა-პიტერი | 6:3, 7:5 |
| სრებოტნიკი-ბონდარენკო | 3:6, 6:4, 1:6 |

**ჭადრაკი**

### კრამნიკმა ლეკოს მოუგო

საინტერესო მატჩი გაიმართა უნგრეთის ქალაქ მიშკოლცში. სწრაფ ჭადრაკში ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიო ჩემპიონი, რუსი **ვლადიმერ კრამნიკი** და უნგრელი **პეტერ ლეკო**.

რვა პარტიისგან შემდგარ მატჩში, დიდოსტატებს მოსაფიქრებლად 25 წუთი ეძლეოდათ და ამას ემატებოდა, ყოველ მომდევნო სვლაზე 5 წამი.

კრამნიკმა რვიდან ორი პარტიის მოგება შეძლო, ერთხელ ლეკომ გაიმარჯვა, ხოლო დანარჩენი ხუთი პარტია ყაიმით დასრულდა. ასე რომ, რუსმა დიდოსტატმა 4.5: 3.5 დაამარცხა უნგრელი მოჭადრაკე.

**კალათბურთი**

### ბელინელიმ დრაფტი უარყო

იტალიელმა მარკო ბელინელიმ უარყო ცნობები იმის შესახებ, თითქოს ის NBA-ის მომავალ დრაფტზე აპირებს თავისი კანდიდატურის წამოყენებას.

*"NBA-ზე საერთოდ არ ვფიქრობ. აშშ-ში გადასვლა უკანასკნელია, რაც კი შეიძლება თავში მომივიდეს. ამ სეზონის ბოლომდე აღნიშნულ საკითხს საერთოდ არ განვიხილავ"*, - ამბობს ბოლონიის "კლიმამიოსა" და იტალიის ნაკრების მცველი, რომელიც ამ სეზონში საშუალოდ მატჩში 17.8 ქულას აგროვებს.

**ფორმულა 1**

### ბრიატორე 2008 წელზე ფიქრობს

წლევანდელ სეზონში წარუმატებელი სტარტის შემდეგ, მსოფლიო ჩემპიონ "რენოს" შეფი **ფლავიო ბრიატორე** მთლიანად 2008 წლის სეზონის ბოლიდის მომზადებაზე გადაერთო - იტყობინება ყოველკვირეული Autosprint.

*"უკვე დავიწყეთ ახალი მანქანის აწყობა. თავიდანვე ვიტყვი, რომ არასწორია ის განცხადებები, თითქოს წელს უკვე შევწყვიტეთ ჩემპიონობისთვის ბრძოლა. თუმცა, ისიც მესმის, რომ შანსები ძალიან მიზერული გვაქვს. ერთი რამ სავსებით ცხადია: ამ სეზონში მხოლოდ იმ მანქანებს გამოვიყენებთ, რომლებითაც ახლა ჩვენი პილოტები ასპარეზობენ"*, - ამბობს ფლავიო ბრიატორე.

ფორმულა 1. ინტერვიუ ლუის ჰამილტონთან

# საჭირო დროს საჭირო ადგილას აღმოვჩნდი

## ფენომენალური დებიუტანტი დარწმუნებულია, რომ მას და ფერნანდო ალონსოს ჩემპიონობის თანაბარი შანსები აქვთ

**ფორმულა 1-ის 2007 წლის სეზონი ახალი დაწყებულია, მაგრამ მან უკვე შეიტანა კორექტივები "დიდი პრიზების" ისტორიაში. ამ ცვლილებების ავტორი "მაკლარენის" 22 წლის პილოტი - ბრიტანელი ლუის ჰემილტონი გახდა. ჯერ ერთი, ის ფორმულა 1-ის პირველი შავკანიანი პილოტია, მაგრამ ეს არ არის ლუისის მთავარი "მიღწევა". პირველად სამეფო ვტორბოლების ისტორიაში, პელოტონში გამოჩნდა დებიუტანტი, რომელმაც არა მარტო ნამდვილი ბრძოლა გაუმართა აღიარებულ ფავორიტებს, არამედ ზედიზედ სამჯერ ავიდა პოდიუმზე. ფორმულა 1-ს ასეთი დებიუტი არ ახსოვს. მაგრამ იუნიორის წარმატებები ამით არ ამოიწურება. ჰემილტონი პირდაპირ კავშირშია კიდევ ერთ ისტორიულ მოვლენასთან: ბაჰრეინის გრან-პრის შემდეგ, პირველად ფორმულას 58-წლიან ისტორიაში, ერთბაშად სამ პილოტს აქვს საერთო ჩათვლაში ერთნაირი რაოდენობის ქულები: მსოფლიო ორგზის ჩემპიონ ფერნანდო ალონსოსა და ვიცე-ჩემპიონ კიმი რაიკონენთან ერთად, ჩემპიონატს თვით ჰემილტონიც ლიდერობს. გთავაზობთ სენსაციურ ახალბედასთან ინტერვიუს, რომელიც ორ ნაწილად არის ჩაწერილი - ბაჰრეინის ეტაპის წინ და რბოლის შემდეგ.**



### რბოლამდე

**- ლუის ჰემილტონი ფორმულა 1-ის წლევანდელი სეზონის მთავარი სენსაცია გახდა. მელბურნში თქვენი სასტარტო მანევრი მეტად შთამბეჭდავი იყო, ხოლო მალაიზიაში უკვე ნამდვილ, ჩამოყალიბებულ პილოტად მოგვევლინეთ. გვერდიდან ისე ჩანდა, რომ თქვენ არა უბრალოდ მიჰქროდით ტრასაზე, არამედ საიმედოდ იცავდით პარტნიორ ფერნანდო ალონსოს კონკურენტებისგან...**

- მალაიზია ჩემს კარიერაში ყველაზე რთულ რბოლად უნდა ჩაითვალოს. უკანა ხედის სარკეში მუდმივად წითელი ლაქები მოჩანდნენ. ვიცოდი, რომ ორივე "ფერარი" ჩემს ბოლიდზე უფრო მჩატენი და სწრაფები იყვნენ, ასე რომ, მათი შეჩერება სულ უფრო და უფრო რთული ხდებოდა. ფელიპე მასა გამუდმებით მიტევდა, ხან შიდა, ხან კი გარე რადიუსით ცდილობდა გვერდის ავლას და წამით არ მაძლევდა მოდუნების საშუალებას. მაგრამ, საბედნიეროდ, მოვახერხე მისი მოტყუება - ერთ-ერთ მოსახვევში დამუხრუჭებით, ფელიპეს შეცდომის პროვოცირება მოვახდინე.

**- რამდენად კორექტული იყო ეს მოქმედება?**

- საერთოდ, ასეთი სარისკო მანევრისთვის, ალბათ, მასასთვის ბოდიში უნდა მომეხადა. მაგრამ მომეჩვენა, რომ ის ამ ყველაფერს საკმაოდ ფილოსოფიურად მიუდგა და ტრასიდან გადავარდნისგან დრამა არ შეუქმნია.

**- მასას იოლად გაუსწორდით, მაგრამ იქვე იყო კიმი რაიკონენიც...**

- ის კუდზე მთელი რბოლის განმავლობაში მაჯდა. ყველაფერ ამას ისიც ემატებოდა, კოკპიტში საშინელი სიცხე იყო და ოფლისგან საშინლად გაწუწული ვიყავი. ნახევარი გზა მქონდა გავლილი და ჩემს ბოთლში წყალი საერთოდ აღარ იყო.

**- და მაინც, თქვენ მოუგეთ დუელი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონს...**

- რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა, კიმისთვის უფრო მეტი ჰანდიკაპით რომ მომეგო, ვინაიდან ფინიშამდე შეუწყვეტელმა ბრძოლამ დიდი ენერგია წამართვა.

**- ადვილი წარმოსადგენია, რამდენად ამაყი იყავით, როცა "სეპანგზე" "მაკლარენმა" დუბლი შეასრულა...**

- დიახ, არცერთი შეცდომა არ დამიშვია, ხოლო მთლიანად გუნდმა ფანტასტიკური სამუშაო გასწია, რათა სტარტისთვის მანქანები იდეალურ მდგომარეობაში ყოფილიყვნენ. მექანიკოსები სამუშაოს დროულად დამთავრებისთვის, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, 24 საათი მუშაობდნენ.

**- თქვენ არა მარტო ბრწყინვალე ფინიში გქონდათ, არამედ რბოლის შუაშიც გაიარეთ რამდენიმე უსწრაფესი წრე...**

- ძალიან დამეხმარა ის, რომ გუნდის ბოსები რადიოთი მუდმივად მიკავშირდებოდნენ და მომხდარის შესახებ ყველანაირ ინფორმაციას მაწვდიდნენ. საქმე ისაა, რომ რბოლის ალიაქოთში, ვერ ვახერხებდი ტაბლოზე ციფრების ამოკითხვას. სხვათა შორის, მოწოდებული ინფორმაცია არასახარბიელო იყო: ფინიშთან ახლოს, რაიკონენი ყოველ წრეზე ნახევარ წამს მიგებდა! მოკლედ, მთელი შიდა რესურსების მობილიზება მომიწია. სიმართლე გითხრათ, იმ მომენტში გონებაში ერთი რამ მიტრიალებდა: კიმი არ უნდა გავატარო!

**- რაიმეს შეცვლის საშუალება რომ გქონოდათ, რას გააკეთებდით რბოლის შემდეგ?**

- რაიმეს შეცვლა? თქვენ ხუმრობთ! მეორე ადგილზე გავედი და პოდიუმზე ორ საუკეთესო პილოტთან ერთად ვიდექი! შეიძლება მოგებაზეც მეოცნება... მაგრამ რატომ უნდა დავაჩქარო მოვლენები?!

**- როცა თქვენს მონაყოლს ვისმენთ, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ყველაფერი ძალიან იოლად მოხდა...**

- იოლი სულაც არ ყოფილა. მოწინააღმდეგისგან თავის დაცვა უფრო ძნელია, ვიდრე გასწრება. ხოლო ორმაგად რთულია, როცა ზურგსუკან გაცილებით გამოცდილი მრბოლელები გყავს, თანაც მათ მანქანებში გაცილებით ნაკლები საწვავი ასხია.

**- დანებება ხომ არ გიცდიათ? ბოლოს და ბოლოს, დებიუტანტს არავინ დაადანაშაულებდა ამ ნაგებაში.**

- "მაკლარენის" პილოტი ვარ. ამ გუნდს მთელს ფორმულა 1-ში საუკეთესო ბოლიდი ჰყავს. როგორ ფიქრობთ, მე იქ ნაგებისთვის ამიყვანეს? თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ ძალიან გამიმართლა.

**- წრეზე ჩამორჩენილებს როგორ უმკლავდებოდით?**

- ვცდილობდი ნაკლები დრო დამეხარჯა, რადგან ვიცოდი, რომ რაიკონენი ძალიან ახლოს იყო. მიუხედავად ამისა, რამდენადაც არ ვეცადე, ყოველი ჩამორჩენილის გასასწრებად 2 წამს ვკარგავდი, რისი უფლებაც არ მქონდა. იცით, ყოველი რბოლის წინ, საკუთარ თავს ყოველთვის ასეთ შეკითხვას ვუსვამ: თუ ალონსო ან რაიკონენი შემომიტევენ, შევძლებ თუ არა მათი იერიშების მოგერიებას? და ყოველთვის ვპასუხობ: დიახ, შევძლებ.

**- სეზონის სტარტმა თქვენი შესრულებით, ზოგიერთი სპეციალისტი შოკში ჩააგდო. ორი რბოლა - ორი პოდიუმი... შეგეძლოთ თუ არა ჩემპიონატის წინ, ასეთი წარმატების წინასწარმეტყველება?**

- ერთი რამ ვიცი: ძლიერი პილოტი ვარ. ამასთან, ზამთარში, ტესტების დროს, გუნდმა ჩემთან კარგად იმუშავა. ყველანაირი რთული სიტუაციის რეპეტიცია გავიარეთ - მაგალითად ისეთი, როგორიც "სეპანგზე" რაიკონენის დევნა იყო, როცა შეცდომის დაშვების უფლება არ გაქვს. ასე რომ, სიტუაცია ნერვიული იყო, მაგრამ საკმაოდ ნაცნობი. მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, ვერ ვივარაუდებდი, რომ პირველივე რბოლებში შევძლებდი საპრიზო ადგილების დაკავებას.

**- სად უფრო რთული იყო - მელბურნში თუ მალაიზიაში?**

- ალბათ, უფრო მალაიზიაში, რადგან იქ საშინლად ცხელოდა.

**- ჯერ მესამე ადგილი, შემდეგ მეორე. ლოგიკის მიხედვით, ბაჰრეინში პირველი ადგილი გელოდებათ...**

- ყველაფერს ნაბიჯ-ნაბიჯ ვაკეთებ. ჩემი მომდევნო მიზანი პირველი ადგილია და ვიცი, რომ ამას მივაღწევ. სხვა საკითხია - როდის.

### რბოლის შემდეგ

**- სპეციალისტები განცვიფრებულები არიან: სეზონი წესიერად არ დაწყებულა და უკვე პუბლიკის კუმირი გახდით...**

- უნდა ვაღიარო, რომ მეც ცოტათი გაოგნებული ვარ. თუნდაც იმიტომ, ასეთ ბრწყინვალე გუნდში გამოსვლის შესაძლებლობა რომ მომცეს. ალბათ, საჭირო დროს საჭირო ადგილას მოვხვდი.

**- რამდენად ახლოს იყავით გამარჯვებასთან?**

- რთული შეკითხვაა: ჩემს აქტივში უკვე სამი პოდიუმია, მაგრამ ჯერაც დებიუტანტად ვრჩები. სიმართლე გითხრათ, ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს სასწავლი. გარეშე თვალისთვის ეს შეუმჩნეველია, მაგრამ საკუთარ თავს ვერ მოვატყუებ. ჩემი სუსტი მხარეები სხვებზე უკეთ ვიცი და ამაზე ჯერ კიდევ ბევრი მაქვს სამუშაო. მაგალითად, სერიოზულად უნდა შევისწავლო ნაკლებად ცნობილი ტრასები. მაგრამ, სადაც არ უნდა მომიწიოს გამოსვლა, მხოლოდ პირველი ადგილისთვის ვიბრძოლებ, მხოლოდ ამას ჩავთვლი ნამდვილ წარმატებად.

**- სამი რბოლა გავიდა და ჯერ შეცდომა არ დაგიშვიათ. არ გეშინიათ, რომ ოდესლაც სადმე მაინც შეცდებით?**

- ვიცი, რომ შეცდომებისგან არავინ არის დაზღვეული, მათ შორის, გამოცდილი პილოტებიც, აღარაფერს ვამბობ ჩემნაირ ახალბედებზე. მაგრამ ასე ვთქვათ - შეცდომის დაშვება ჩემს გეგმებში არ შედის. იმედი მაქვს, შრომისადმი სიყვარული ამას თავიდან ამაცილებს.

**- მუშაობთ თუ არა სხვადასხვა ტრიუკებზე, მაგალითად ისეთზე, რომელიც მალაიზიაში მასას წინააღმდეგ გამოიყენეთ?**

- არა, ჩემი მოწინააღმდეგეების მოტყუება თითქმის შეუძლებელია. ისინი უაღრესად ჭკვიანი ადამიანები არიან და ტრიუკებით მათ ვერაფერს დავაკლებ. ყველაზე დიდი, რაც შემიძლია გავაკეთო, ოპონენტის ზურგსუკან მოქცეულმა, მასზე შეტევა მივიტანო, რათა ის შედრკეს და გასწრების საშუალება მომცეს.

**- ხანმოკლე კარიერის განმავლობაში, ბაჰრეინში პირველად აღმოჩნდით სასტარტო ბილიკის პირველ ხაზზე.**

- ძნელია იმ გრძნობის გადმოცემა, როცა გავიგე, რომ სტარტზე ჩემს წინ არავინ იდგებოდა.

**- ფინიშის შემდეგ, პრესამ თქვენს მიმართ უდიდესი ინტერესი გამოიჩინა...**

- პოპულარობასა და დიდებას გულგრილად ვუყურებ.

**- ამჯერად, არ გამოგივიდათ ერთი კვირის წინანდელი გმირობის გამეორება - მასას ვერ გაასწარით...**

- სამწუხაროდ, ამჯერად მან მაჯობა. რადგან ჩვენი მანქანები თითქმის ერთი დონისანი არიან, ჩემი შანსები მინიმალური იყო. მთელი რბოლის განმავლობაში ვცილობდი, არ ჩამოვრჩენოდი ბრაზილიელს და შეტევისთვის ნებისმიერი შანსი გამომეყენებინა, მაგრამ არც ეს გამოვიდა. ამას, სამწუხაროდ ისიც დაემატა, რომ პიტ-სტოპზე მასაზე ადრე შევედი, ასე რომ, ჩემს იმედებს ასრულება არ ეწერა.

**- მეორე ადგილმა იმედები გაგიცრუათ?**

- რას ამბობთ! ამ ეტაპის შემდეგ ცხადი გახდა, რომ "ფერარისთან" ტექნიკური ჩამორჩენა შევამცირეთ და მომდევნო ეტაპის წინ, ბოლომდე გავაბათილებთ მას.

**- მართალია, დებიუტანტი ხართ, მაგრამ ქულების მიხედვით, ჩემპიონატს ლიდერობთ...**

- დიახ, ბედნიერი ვარ იმით, რომ ალონსოსა და რაიკონენს არ ჩამოვრჩები. ბოლომდე სამართლიანი თუ ვიქნები, ცოტათი გაკვირვებული ვარ.

**- როგორ ფიქრობთ, თქვენ და ალონსოს ჩემპიონატის მოგების ერთნაირი შანსები გაქვთ?**

- რატომაც არა. მანქანები აბსოლუტურად ერთნაირი გვყავს, მე კონკურენტუნარიანი პილოტი ვარ. რჩება მხოლოდ ის, რომ შეცდომები არ უნდა დავუშვა. თანაც, ჩვენი ბოსი - რონ დენისი სულაც არ გვიკრძალავს ერთმანეთის წინააღმდეგ პაექრობას. ერთადერთი, რასაც "მაკლარენის" ხელმძღვანელობა გვთხოვს, ცივი გონება შევინარჩუნოთ და სისულელე არ ჩავიდინოთ.

**- მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა ნიკი ლაუდამ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ფორმულა 1-ში არავის ჰქონია ასეთი შთამბეჭდავი დებიუტი. ალბათ, ინგლისში როგორც მეფეს, ისე მიგიღებენ?**

- ამაყი ვარ, რომ ასეთ მცირე დროში ამდენის გაკეთება შევძელი. მაგრამ იმედი მაქვს, რომ ხალხი ქუჩაში ნორმალურად სეირნობის საშუალებას მომცემს. თუმცა, ჯერ არ ვიცი, როდის მოვხვდები ლონდონში. ახლა, მაგალითად, შანხაიში მიწევს გამგზავრება.

**- ბევრნი უკვე ლეგენდად ქცეულ გოლფიტს ტაიგერ ვუდსს გადარებენ. კანის ფერისა და კიდევ იმის გამო, რომ მასსავით ახალგაზრდა ასაკში გახდით უაღრესად პოპულარული ადამიანი.**

- მე არა ვუდსი, არამედ ჰემილტონი ვარ. თუმცა, რა თქმა უნდა, უარს არ ვიტყვი ისეთივე წარმატებულ კარიერაზე, როგორიც ამ შესანიშნავ სპორტსმენს აქვს.

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სურიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეგანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა